ლიტერატურული გაზეთი

№23 (327) 9 - 22 დეკემბერი 2022 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

დათო მაღრაძე

აქ იყო იან ვან ეიკი

d'antico amor sentì la gran poten
za*, — არის წარწერა მეუღლის სახსოვარ
ბეჭედზე, რომელსაც ჯვრისწერას ანდობენ,
როდესაც სიყვარულს ანდობენ მაცხოვარს.
სიახლე არ მოაქვს არსად და არასდროს
მას, ვინც კი დაკავდა ძველის უარყოფით,
მიზეზი, თუ რატომ ვერ ძლევენ მარათონს,
ალბათ უქალობით...
ანდა უარყობით...
სულის სიღარიბე სულ უფრო ძვირდება,
ფასი უფასურზე დღითიდღე იმატებს,
გამქრალა ქუჩიდან ევროპის დიდება, —
ალბათ მუზეუმის არჩია კლიმატი.
გნებავთ, ჩამითვალეთ წრფელობა სატირად,
ზღვის სანაპიროზე ვინატრი თოლიას
— კარი გამოუღეთ საცავის პატიმარს!
— მიეცით ახალი სიცოცხლე ფოლიანტს!
...გზიდან ჩაიჩეხა უმანკო ბატკანი, —
თასი განკუთვნილი ღვინის და პურისთვის
იქცა ექსპონატად თრეველის, რადგანაც
ევროპის მთავარი გმირია:
— ტურისტი!

და თუნდაც შეშლილის ემსგავსოს ტირადას!
გავუწვდი ევროპას შუქ-ჩრდილებს თბილისის,
რადგან კარავაჯოს არ ვიცნობ პირადად,
ვურეკავ სტორაროს,
ან იქნებ უილისის
კამერა დავკიდო ამ ლექსის სტრიქონზე,
რომ მასკა ჩამოვხსნა
პრობლემას დღევანდელს,
ვიღაცა გაუძლებს...
ვიღაცა იბოზებს...
ვინმე ხომ გაჰყვება მადლიან ევანგელს.

...თუ პერიფერიას ენდობით ნაკლებად
და რომის სინდრომი გატყუებთ დიდების,
მწამს, გამონაკლისი წესს გამოაკლდება
და რადგან არ ვსვეცკობ,
არც დავგოიმდები.
არ ვითხოვ საბჭოსგან Honoris causa-ს,
უნიჭო სწავლებას მივიჩნევ ერესად,
მიკროფონს ვუთიშავ ამხანაგ მაუზერს
და სიტყვას გადავცემ თბილისურ რენესანსს.

რადგან ვერ აშუქებს ამ თემას მედია,
სტროფებით გთავაზობთ ქრონიკის მასალებს,
რომც კიპლინგს ეწყინოს,
დიდებულ რედიარდს,
აქ აღმოსავლეთი შეხვდება დასავლეთს!
და ლექსის ფურცლები რომც ქარმა არიოს,
თბილისურ განთიადს მივანდობ სანდო ფერს,
აქ მაკედონელი ზავს უდებს დარიოსს,
რომც ალბრეხტს ეწყინოს,
დიდებულ ალდოლფერს!

ზარს რეკავს ტაძართან სკოლა საკვირაო,
როგორც პირველყოფილ ვნებათა სადავე
და აღმოსავლური ლაზათის ირაოს
ჩააქრობს ბერძნული ფრესკის სისადავე.
ქართლოსად წოდებულს,
მე, მოძმეს ჰაოსის,
თითით მანიშნებენ, საითაც რიგია,
ტრენდით მთავაზობენ მორალურ ქაოსის
საკონსტიტუციო ახალ რელიგიას.
მედიაისრები ითვლიან სანიტრებს,
დაჭრილი ვჩურჩულებ:
— გავუძლებს ამასაც...
სასტიკი ომია და ომში დავითრევ
მორალურ ქაოსში დამალულ თამასას.

გავყურებ ნაპირზე ფრთებიან ფოლიანტს,
როდესაც მივყვებით ზღვისპირა ტროტუარს...
საათის ისრების ფრთები აქვს თოლიას
და ფრთებით მაჩვენებს, სათქმელის დრო თუა.
ხან გულწრფელ შეძახილს ვუნაცვლებ სატირას,
ვგრძნობ, Time travel-შიც მეგზური მყოლია,
— კარი გამოუღეთ საცავის პატიმარს!
— მიეცით ახალი სიცოცხლე ფოლიანტს!
— ახალი სიცოცხლე მიეცით ფოლიანტს!
რომ სული თავიდან ჩამედგას ტიტანის,
რომ თევზი მომტაცოს თეფშიდან თოლიამ,
ბოდიში მომესმას შემცბარი მიმტანის.

ფაუსტის ფოსტაა... ცალ თვალის ჩაკვრა ლუ-
ციფერის და მერე კონტრაქტზე ბეჭედი...
დაკარგავს პოეტის საკრავი საკრალურ
თვისებას, თუ ეჭვში ხანგრძლივად შევჩერდი,
თვალს ვუკრავ ანგელოსს, ვეხები არეულ
ინსტრუმენტს, მანიშნოს სიმართლე სიმების,
როგორც ტრატორიის შინაურ მზარეულს,
განსაკუთრებული მოპყრობის იმედით.
მივყვები ვარსკვლავის ნათებას ავია-
რეისით, საითაც მოგვებმა იარეს,
თაყვანი მივაგო, რომ ერთვარსკვლავიან
ბეთლემის ბაგაში ღვთის სამშობიაროს
სანთელმა, რომელიც ბოსელის პალაცოს
უნთია, წყვდიადი გააქრო უბრალოდ...
გუნდრუკის, საკმევლის და მურის სანაცვლოდ
სამ სიტყვას მივიტან:
— თაყვანს გცემ, უფალო.
ვეძახი პეპელას:
— სანთელზე მოფრინდი!
სიტყვით რომ ავანთებ, როდესაც დამიღამ-
დება და შუქჩრდილის ეს მიკროკონფლიქტი
ვიცი, რომ დიდებულ დუელში გამიყვანს.

...ჯოვანს და ჯოვანას როცა ვან ეიკი
კარივით შეუღებს რომანის გარეკანს,
და რადგან რომანი არ არი ფეიკი,
სარკეში საკუთარ პორტრეტსაც არეკლავს.
რომ მივწვდე სიმაღლეს, სამხრეთის კედელზე
ვაშენებ ხარაჩოს, მე, უფლის მონა ტრი-
პტიქის დასაწერად, რომ სულის მეთევზე
ოქროსფერს მივანდო გუმბათში მონასტრის.
და როცა აშლილი დაგხვდებათ ნადიმი,
კედელი გაარკვევს,
ვინ უფრო მაღლა წერს...
ვინ იცის, სარკემ თუ ამრეკლა ლანდივით...
წარწერით: აქ იყო დათო ვან მაღრაძე.

---

* „ძველი სიყვარული ახალი ენერგიის სათავეა" — დანტე ალიგიერი.

ვახტანგ ჯავახაძე

ვის-მეტი და ნი-მეტი და ზა-მეტი

რატომ ჰგვანან ნახატები ავტორებს? —
გვეკითხება ლეონარდო და ვინჩი,
მეფეებიც ჰგვანან იმპერატორებს,
დანარჩენს კი ვინ დაეძებს და ვინ ჩი-ვის.

მაცდურია გამარჯვების ნარკოზი,
ვიცი, რომი დაამარცხა პიროსმა,
უკვდავია ფერი ლეონარდოსი
და მე ჩემი მიხარია ფიროსმა-ნი.

ერთადერთი ამუნათებს ერთ-ერთებს,
ასეთია ამ შაირის მორალი:
აქ მარცვალი ერთი წაიზედმეტებს
და უღიმის მარგარიტას მონა ლი-ზა.

IV

ესსე
როსტომ ჩხეიძე

პროზა
ზაზა ბიბილაშვილი
გიორგი ლორთქიფანიძე

პოეზია
ირინა ტაბაღუა
თორნიკე კანდელაკი
მიხო მოსულიშვილი
მარიამ კაპანაძე — დებიუტი

ინტერვიუ
ნოდარ მაჭარაშვილი

რეცენზია
ნანა კუცია
სალომე კაპანაძეზე

თარგმანი
რაინერ მარია რილკე
თარგმნა
ირმა შიოლაშვილმა

როსტომ ჩხეიძე

ციკლიდან „კანტიკუნტად“

„ნატვრის ხის“ სივრცე ჟანრობრივი თავისებურების კვალზე

გიორგი ლეონიძე „ნატვრის ხეს“ ქვესათაურად რომ წააწერდა: ყრმობის მოგონებებიო — თამაზ ბიბილურს ეს აფიქრებინებდა, რომ:

თავდაპირველად პოეტს მთლად ნათლად არც ესმოდა ფასი თავისი ახალი წიგნისა, ახალ ჟანრში გადასახლებისა.

და გამოეკამათებოდა აჩრდილს:

ნუთუ უფრო დიდი განზრახვა არა ჰქონია „ნატვრის ხის“ ავტორს? ნუთუ ვერ გრძნობდა, რა გამოსდიოდა, რომ ამ თითქოსდა უპრეტენზიო წიგნში თავს იყრიდა მოგონებებზე უფრო დიდი რამ, უფრო ამაღლებული და მარადიული, ვიდრე ნამდვილად მომხდარის გახსენებაზე აგებული ჩანაწერებიაო?

და მაინც იმას „ყრმობის მოგონებანი“ ემჯობინებინა!..

უმცროსი თანამოკალმე ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც, რომ:

გაცდებოდი თავფურცელს თუ არა, მერყეობა ამ წიგნის მოქცევისა რომელიმე ჟანრის ჩარჩოებში უფრო მკვეთრდებოდა და აშკარა ხდებოდა.

პირველი ნაწილი წიგნისა, „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“, თითქოს ამ ეჭვის მკაფიო სურათი გახლდათ და... კიდეც გვესმოდა ბორგნეული სუნთქვა ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნის ვნებით შეპყრობილი ავტორისა, რომელსაც კვლავ ვერადავერ განესაზღვრა ჟანრი ამ წიგნისა, კვლავ არ იცოდა, რა დაერქმია, რომელ ცნობილ განსაზღვრებაში მოექცია.

ხან სახილე ტაბაკსა თუ ხახალს შეარქმევდა.

ხან გაზაფხულის დილიდან გამონაწურს.

ხან წყაროების გამონაჟურს.

ხანაც ვაზფურცელას.

და ამ ძიებას ჟანრისა თამაზ ბიბილური მიიჩნევდა მხოლოდ ხერხად, სამოსელად ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული ტრადიციული დასაწყისისა თუ პროლოგისა.

და მკითხველს ურჩევდა:

„ნატვრის ხის“ მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივი პერსონაჟები ერთ დიდ სოფლად დასახლებულად წარმოედგინა და... შეიძლებოდა რომანის კონტურებიც მოეხილა, რადგანაც გიორგი ლეონიძეს ხელთ ჰქონდა ცხადი შესაძლებლობა უაღრესად

თავისებური და კოლორიტული რომანის შექმნისა.

მერე კი შესთავაზებდა:

დაე ჩვენ გვეცადა „ნატვრის ხეში“ რომანის დანახვა, ჩვენს წარმოსახვაში გაგვეერთიანებინა ეს პატარა მარგალიტები — მოთხრობები, მინიატურები, მოგონებანი — ერთ მთლიან მხატვრულ ქსოვილად, აღგვემართა ერთი მთლიანი დეკორაციული დანადგარი, სადაც ამ პერსონაჟებს თავიანთი ავბედითი, უმთენარო ცხოვრების დრამა უნდა გაეთამაშებინათ; და გვერწმუნა, რომ რომანიც სწორედ ეს არის, მკვეთრად ნაძერწი, მსუყე მონასმებით შექმნილი სახეები პერსონაჟებისა, ყველას რომ თვალნათლივ ვხედავდით და ისე ახლოს მივდიოდით მათთან, თითქოს სადაცაა ხელით შევეხებოდით, ისე ნათლად ვიხედებოდით მათ სულში, რომ დაფარული თითქოს აღარაფერი რჩებოდა და მოგონებანი მწერლისა ერთბაშად ჩვენს საკუთარ მოგონებებად გარდაისახებოდა.

ეს ყოველივე უბიძგებდა, რომ „ნატვრის ხე“ არამცდაარამც არ მიეჩნია მოთხრობების ჩვეულებრივ კრებულად.

ეს განსაზღვრა, ფიქრში ისედაც ჩამოყალიბებული თამაზ ბიბილურისათვის, უნდა განემტკიცებინა ლუი არაგონის ძალზე თავისებურ წიგნს: „ანრი მატისი, რომანი“.

რას ნიშნავდა ეს თავისებურება და:

წიგნში თავმოყრილიყო წერილები, შთაბეჭდილებანი, დღიურები და მიმოწერა, შენიშვნები და ინფორმაციებიც კი — ფრანგი მხატვრის შემოქმედებაზე, მის პიროვნულ ხასიათზე. და მაინც ავტორი ამ წიგნს რომანს უწოდებდა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ ეს ყოველივე მატისის ცხოვრებას უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენდა, და რომ მისი ცხოვრება რომანი გახლდათ, რომანივით მრავალმხრივი.

კრიტიკოსთა შეფასებით:

„ანრი მატისი, რომანი“ მაინც რომანი იყო ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჩვენს წინაშე ჩამოყალიბებული დღევანდელი რომანი, ყველა ჟანრს რომ იწოვდა და სათავისოდ მოაქცევდა — პოემასა თუ ფილოსოფიურ ესეის, ლირიკულ აღსარებასა თუ ესთეტიკურ ანალიზს, ფიქრებს ადამიანური ყოფის არსზე თუ ნამდვილ ცხოვრებისეულ დოკუმენტს.

და მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა თამაზ ბიბილური, რომ:

ლუი არაგონი მარტო XX საუკუნის ფერწერის სპეციფიკურ თავისებურებებში ჩაწვდომას კი არ უადვილებდა მკითხველს, არამედ იმ ლიტერატურულ ფორმასაც აზიარებდა, დღესდღეობით რომ ყალიბდებოდა.

და ძალდაუტანებლად წამოჭრიდა რიტორიკულ შეკითხვას:

იქნებ „ნატვრის ხეც“ რაღაც ამგვარი რომანიაო?

სათაურადაც ესეისა იმთავითვე გაიტანდა ამ მოსაზრებას:

„ნატვრის ხე“ — რომანი“.

და მთელი ესეიც ამ შეხედულების დასაბუთება იქნებოდა — გიორგი ლეონიძის ამ ბელეტრისტული თხზულების ეპიკური, რომანისებრი აღნაგობისა.

უშუალოდ თუ რას ებიძგა, რომელ ქმნილებას გიორგი ლეონიძისათვის ამ ყაიდის წიგნის შესაქმნელად, არჩილ ჯორჯაძისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში — „წერილები იტრიის წისქვილიდან“ — უკვე გამოვთქვამდი და აქ ზედმეტად მიმაჩნია მისი განმეორება, მკითხველის ფიქრი სხვა მიმართულებით რომ არ წავიდეს, რაკიღა ამ ჩანაწერის მიზანი მხოლოდდამხოლოდ ისაა, კიდევ ერთხელ განამტკიცოს „ნატვრის ხის“ ეს ჟანრობრივი განსაზღვრება, მწერლის მიერ მიგნებული და სულაც მონოგრაფიის თემად შეთავაზებული ლიტერატურისმცოდნეთათვის.

კიდევ ერთხელ როგორ და რითი უნდა განამტკიცოს და:

კინოფილმის — „ნატვრის ხე“ — გახსენებით.

მისი კომპოზიციური აღნაგობით.

ნოველების, მოთხრობების კრებულით შთაგონებული კინოსურათი თითქოსდა მოზაიკური სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო, ანდა სცენარი ისე საფუძვლიანად გადამუშავებულიყო, რომ სრულიად ახალი კომპოზიციური ქარგა გამოკვეთილიყო „ნატვრის ხის“ მასალაზე დაყრდნობით.

არადა ნასახიც არ იგრძნობა საფუძვლიანი გადამუშავებისა და სცენარი — რევაზ ინანიშვილთან ერთად რომ მოამზადებდა კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე — უშუალოდ გაჰყვებოდა გიორგი ლეონიძისეულ თხრობას, ერთადერთი ჩარევა ის იქნებოდა, რომ „მარიტა“ მოექცეოდა ფილმის შუაგულში, ის შეიქნებოდა მთავარი ღერძი და მის ირგვლივ დატრიალდებოდა ყველა ნოველა, რაც კინოსურათისათვის გამოირჩეოდა — ყველა სიუჟეტი თუ ხასიათი.

საამისოდ უბიძგებდათ სწორედ შინაგანი სივრცე „ნატვრის ხის“ კრებულისა, მისი რომანული კონტურები თუ სულაც რომანული სტრუქტურა.

ასე უნდა დაეზუსტებინა და დაედასტურებინა ფილმს წიგნის ჟანრობრივი თავისებურება.

ასე უნდა გამოეკვეთა გიორგი ლეონიძის თხრობაში ჩამალული მთავარი ღერძი, ამოეზიდა და მის გარშემო დაეტრიალებინა მოვლენები, გულისშემძვრელი ფინალით დაგვირგვინებული.

ერთხელ პირადი საუბრისას შებედავდა რევაზ ინანიშვილი თავის ამ სათაყვანო მწერალს:

— „ნატვრის ხეში“ იმდენი რამ გაქვთ ჩადებული, ათ რომანს ეყოფოდა.

ის კი პასუხად თავისებურად დაიბუხუნებდა, გაოცებული, გაკვირვებული:

— მაქვს და არ ჩავდო?

მართლაც რა უნდა ეღონა:

ჰქონდა და... არ ჩაედო?!.

ათ რომანს ეყოფოდაო...

ჩვენ კი ერთი რომანიც ვეღარ უნდა დავარქვათ ამ წიგნს?!.

პოეტის სიცოცხლის მიმწუხრს დაემთხვეოდა „ნატვრის ხის“ შექმნა, რომლის მოთავებაც აღარ დასცალდებოდა და საღღაც შუა გზაზე გაუწყდებოდა.

რომ დასცლოდა, შესაძლოა მისთვისაც უფრო თვალნათლივი შექმნილიყო ამ წიგნის ჟანრობრივი თავისებურება და — მეტი სიმკვეთრისათვის — სწორედ „მარიტა“ მოექცია თხრობის შუაგულადაც და იმ მთავარ ღერძადაც, რომლის ირგვლივაც აამოქმედებდა დანარჩენ პერსონაჟებსაც, ამჟამად სხვადასხვა ნოველაში მიმოფანტულთ.

თუმც ამ სახითაც რომანს ჩამოჰგავს, და თუ ლუი არაგონს არც ეეჭვებოდა ანრი მატისზე შექმნილი წიგნის ჟანრობრივი თავისებურება, ჩვენც გავიქარვოთ ყოველგვარი ეჭვი და ვირწმუნოთ:

რევაზ ინანიშვილისა და თენგიზ აბულაძისა — კინოფილმისაც

და თამაზ ბიბილურის ესეისაც...

და „ნატვრის ხეს“ მივუჩინოთ შესაფერისი და კუთვნილი ადგილი ქართული რომანისტიკის მდინარებაში, მითუმეტეს, რომ არსებობს ამ ჟანრის თავისებური განშტოება: ამერიკული რომანი ნოველებად.

პირამიდის გრაფიკა
გამოძახილად ვერსიფიკაციული თამაშისა

სხვა პოეტს რომ დაეწერა პირამიდისადმი მიძღვნილი ლექსი, ჩვეულებრივი რვამარცვლიანი სტროფის კვალობაზე გააწყობდა:

ავაშენე პირამიდა,
დიდ ზე დიდი პირამიდა,
ახლა ვეღარ გამოვდივარ
პირამიდის სპირალიდან...

და შესაფერისადაც გააგრძელებდა.

მაგრამ ვახტანგ ჯავახაძეს ფიგურული, გრაფიკული ყაიდა რომ გაიტაცებდა პოეზიისა, ამ შინაარსის ლექსს გარეგნულადაც პირამიდის გამომსახველობას მიანიჭებდა.

და ტარიელ ჭანტურია, თვითონაც ოსტატი ფიგურული ლექსისა, საგანგებოდ აღნიშნავდა:

მისი წვლილი ქართული გრაფიკული ლექსის შექმნის საქმეში სხვებისაზე მეტიაო.

და ამ შემაჯამებელ ფრაზას მოადევნებდა იმ მსჯელობას, რომ:

— გრაფიკული ლექსით კაცის გაოცება დღეს, როცა უკვე კარგა ხანია სალექსო სტრიქონებისაგან აგებულია ეიფელის კოშკი და როცა ფრანგი ავანგარდისტების ლექსი რახანია „ენას უყოფს“ მკითხველს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღინიშნოს ვახტანგ ჯავახაძის ცდები...

ამ მსჯელობას კი დაისაჭიროებდა გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის — „უცნობი“ — პირველ შთაბეჭდილებებად შექმნილ რეცენზიაში, რათა მკითხველის ყურადღება მიექცია იმ პასაჟისა და იმ გარემოებისათვის, რომ:

ეს კაცი, ავტორი უკვე საკმაოდ ცნობილი „პირამიდისა“, აღნიშნავდა, გალაკტიონს ფიგურული ანუ გრაფიკული ლექსიც წამოუწყია სათაურით „სამკუთხედიო“:

ო
არა
მაინც

და დაურთავდა, რომ:

ხელნაწერი ფურცელი ამ ბოლო სიტყვაზე სწორხაზოვნად გადახეულიყო და ძნელდებოდა თქმა — გაეგრძელებინა და დაესრულებინა თუ არა გალაკტიონს ეს სამსტრიქონიანი პირამიდა.

ტარიელ ჭანტურია ცოტა არ იყოს ეჭვით შეხედავდა ამ მოსაზრებას:

არა მგონია, გრაფიკული ლექსის ეს ემბრიონული ნიმუში იძლეოდეს საშუალებას, დიდი პოეტი ამ ვერსიფიკაციული თამაშის პიონერადაც ჩავთვალოთო.

თუმც მიიჩნევდა, რომ:

ის ზუსტად ახასიათებდა „უცნობის“ ავტორს! ვახტანგ ჯავახაძე ხომ აპოლოგიას წერდა, აპოლოგიის ჟანრული კანონი კი სხვაზე მეტად ჰიპერბოლას ეყრდნობა.

ემბრიონულია თუ რა არის, წამოწყებად, პირველცდად ხომ მაინც ითქმის, მითუმეტეს, რომ ამას ადასტურებს არა მხოლოდ გრაფიკული ლექსის ოსტატი, არამედ უშუალოდ პირამიდისადმი მიძღვნილი ლექსის ავტორი, პირამიდის გარეგნობას კლასიკური სახით რომ გამოჰკვეთდა.

ამ ყოველივეს გახსენებას რისთვის დავისაჭიროებდი და:

წიგნისათვის „სახელდახელონი“ ქვესათაურს რომ ვარჩევდი, ამ ჟანრობრივად მრავალფეროვან გამოცემისათვის შესაძლებელი იყო მხოლოდ „ლიტერატურული წერილები“ მეკმარა, იმ მრავალფეროვნებას რომ გულისხმობდა და მოიცავდა, მაგრამ... უეცრად უნდა წამომგონებოდა ვახტანგ ჯავახაძის „პირამიდა“ და ჟანრობრივი მრავალგვარობა სწორედ ამ გრაფიკულ სტრუქტურაში მომექცია:

ესეები
დეპეშები
ჩანახატები
მონახაზები
რეცენზიები
შეხმიანებანი
გამოხმაურებანი

მითუმეტეს, რომ „უცნობის“ შემოქმედი „სახელდახელონის“ ერთ-ერთი პერსო-

ა
ვა
შენე
პირამიდა,
დიდზე დიდი
პირამიდა. ახლა
ვეღარ გამოვდივარ
პირამიდას სპირალიდან.
რად მინდოდა პირამიდა, დიდზე
დიდი პირამიდა, შუა კედელს ვეჯახები,
მე კი განაპირა მინდა. მზეო, დედამიწასავით
გაანათე პირამიდა, გზა მასწავლე, შენთან მოვალ, —
თუკი გამოიამინდა. ვისაც უნდა იმას ქონდეს დიდზე დიდი
პირამიდა, — აღარ მინდა უკვდავება, აღარც პირამიდა მინდა.



ნაჟი გახლავთ ესეებისა და მოგონებების წიგნით „გალაკტიონის შემდეგ“.

ასე რომ:

ეს ქვესათაური ჩვეულებრივი განსაზღვრება ნურავის ეგონება წიგნის ჟანრობრივი თავისებურებისა:

პირამიდაა, სადღაც შუაში არსებული გალაკტიონ ტაბიძისა და ვახტანგ ჯავახაძის გრაფიკულ ცდებს შორის, მათი ერთგვარი გამოძახილი.

...მართლაც ნეტა თუ გაეგრძელებინა და დაესრულებინა გალაკტიონს ის სამსტრიქონიანი პირამიდა?!.

ეკლიანი სიკეთე
რევაზ ინანიშვილის იგავი და სამრეკლო



რევაზ ინანიშვილის მინიატურებსა და ნოველებზე ცოტა არ იწერებოდა და სიცოცხლეშივე დაფასებული გახლდათ, მაგრამ მამუკა წიკლაურს ამ სიყვარულითა და მადლიერებით დაწერილი სტატიების გაცნობა იმ უსიამოვნო შეგრძნებას მაინც უტოვებდა:

აქ რევაზ ინანიშვილის სტუდია საშაქარლამოს უფრო ჰგავს, ვიდრე სამრეკლოს: საშაქარლამოს, რომელშიც ტკბილი და სურნელოვანი ნამცხვარი ცხვება, სხვა სერიოზულ საჭმელს რომ დააყოლებს ობივატელიო.

თვითონ არ გაიზიარებდა ამ შეხედულებასა და განწყობილებას და რევაზ ინანიშვილს მოიხსენიებდა მტკიცე, გამოკვეთილი პოზიციის მწერლად, რომლის სიკეთეც როგორღაც ეკლიანი სიკეთე გახლდათ, რომელიც სახრესავით წიოდა ვიღაცის მოღუნულ ბეჭებზე, და ქვასავით ხვდებოდა ვიღაცის თვითკმაყოფილებით ჩაბნელებულ სარკმელს.

და თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა ნოველას, იგავსა თუ პარაბოლას „ცისარტყელა“, რომელიც იმით დაიწყებოდა, რომ ნაწვიმარზე მაჩვი სოროს კარს მოდგებოდა და მის თვალწინ კი სამხრეთიდან ბრტყელი, ლამაზი ცისარტყელა დაიძრებოდა, აიწევდა მაღლა, აიწევდა და სწორ, მკვრივად შეკრულ თაღს გადახაზავდა. და ცოტა ხანში მეორე ცისარტყელაც ამოიზრდებოდა...

მაჩვი იმ არემარეზე ყველაზე თადარიგიან სულდგმულად რომ აღიარებულიყო, თადარიგიან და დინჯ, მაშასადამე ბრძენ სულდგმულადაც, ჯერ მარტო სორო როგორი ექნებოდა — ღრმად წასული, მიხლართულ-მოხლართული, ლაბირინთიანი, სართულოვანი და დიდებულად მომტკიცულდარბაზოვანი.

მამუკა წიკლაური მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა სიტყვაზე: მაშასადამე — როგორი სიზუსტითაა აქ ჩასმული, მეშჩანის სუნი ასდის თითქოსო...

ამ დროს მაჩვს კურდღელი უნდა წადგომოდა, რომელიც მორბოდა, რომ ცისარტყელა — ეს ენითუთქმელი სილამაზე და მშვენიერება — ახლოს ენახა; და მაჩვისათვის სრულიად გაუგებარი რომ აღმოჩნდებოდა ეს ლტოლვა, გაქცეულ კურდღელს ჩაუქირქილებდა: წადი, წადი, არავინ მოგასწროსო!..

და ათვალწუნებით უნდა გაეხედათ აღტაცებული კურდღლისათვის სველზე მცურავ ლოკოკინებსაც.

საღამო კი უნდა ბრწყინდებოდეს და ბრწყინდებოდეს, ისმოდეს ჭიკჭიკი წიწკანებისა და ჩიტბატონების, და ძახილი მოლაღურების...

და უეცრად სროლის ხმა უნდა გაისმას და ცისარტყელას თაღქვეშ, ნარინჯისფრად განათებულ ჩოქელა ვერხვების თავზე პატარა, თეთრი კვამლი ავარდეს...

მაჩვმა სოროსაკენ უნდა დაიხიოს და საშინელი სიჩუმე ჩამოვარდეს... მერე სივსივით უნდა აფრინდნენ წყლის ქათმები და ფრთების აჩქარებული ქნევით წამოვიდნენ მაჩვისაკენ.

რა მომხდარიყო და:

კურდღელი მოეკლათ.

— ჰიყ! — კმაყოფილებით უნდა ამოიოხროს მაჩვმა, — დატეულიყო თავის ადგილას, სად მირბოდა?

დააკვირდით ამ „ჰიყსო“, — ურჩევდა მკითხველს მამუკა წიკლაური — თითქოს ამ სიტყვაშია შეერთებული სიმსუქნის ბოყინი, დაჩლუნგებული ვნება, დამძორებული ხორცი, ლოგინის შმორიანი სითბოო...

მაგრამ თან შიშიც უნდა ეგრძნო მაჩვს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, შემძვრალიყო სოროში და საღამომდე გარეთ აღარ გამოეხედა, მჯდარიყო მეუღლის წინ გაბებღვილი...

ეს სიტყვაც — გაბებღვილი — უნდა მოსწონებოდა კრიტიკულ-ესთეტიკური ესეის ავტორს: რა ზუსტიაო — და გაეხსენებინა გრიგოლ აბაშიძის სიტყვები, რევაზ ინანიშვილის ენის თავისებურებაზე: ახალი სიტყვა უბის წიგნაკებიდან კი არა, სათქმელთან ბრძოლით ჩნდება მის მოთხრობებშიო...

მაჩვს კი ღაბაბჩამოშვებულს უნდა ემტკიცებინა:

— ჭკუა დიდი საქონელია! თუ ჭკუა გაქვს, არავინ მოგკლავს, წავიდეს, ახლა უშველოს ცისარტყელამ! ცისარტყელა! ჰიყ!..

და ამ იგავისა თუ პარაბოლის სათქმელი ასე უნდა განზოგადებულიყო:

ვინ იცის, რამდენი ლაპარაკობდა თავის მყრალ სოროში ასე, როდესაც ილია ჭავჭავაძე და ფედერიკო გარსია ლორკა დახოცეს. ვერ თავსდება ერთმანეთთან მონის, ლაჩრის ჭკუა და ტყვიის სამიზნეზე შემდგარი გატაცება. ასეთ „ტკბილეულს უშვებს“ რევაზ ინანიშვილის სტუდიაო.

და ესეისაც ყველაზე ზუსტი და ტევადი სახელწოდება მისადაგებოდა:

„მწერლის სამრეკლო“.

სწორედაც სამრეკლო.

ამ თვალით რევაზ ინანიშვილის მომხიბლავი მხატვრული სამყაროსათვის მანამდე რომ არავის შეეხედა, მიუგნებელი არ უნდა დარჩენილიყო და არც დარჩენილა, „ტკბილეულის“ მიღმიდან უეცრად ეკლიანი სიკეთე რომ გამოასხივებდა.

* * *

წავიდეს ახლა და უშველოს ცისარტყელამო...

არა, ჭკუა მართლაც დიდი საქონელია; თუ ჭკუა გაქვს, იცხოვრებ უზრუნველად...

ჯალალ-ედ-დინ რუმი ქართული სამყაროს ბინადრად
ზვიად გამსახურდიას წინასწარი შეფასება

გიორგი ლობჟანიძეს რომ შევეხმიანებოდი ფეისბუქით, აპოლოგიას მისი მრავალმხრივი ნიჭიერებისა ავაგებდი ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ თარგმანის ირგვლივ, კონსტანტინე გამსახურდიაუმცროსი ამ ჩანაწერს ამ სიტყვებით გამოეხმაურებოდა:

— მამაჩემისგან მახსოვს ასეთი ნათქვამი: „არსთა მესნევი“ ისეთი ქმნილებაა, რომ მისი თარგმნა რუსთველოლოგიას და მთელი ჩვენი კულტურის კვლევას ფრიად წინ წასწევსო. ვულოცავ ბატონ გიორგის ამ დიდებული საქმის გასრულებას.

და გიორგი ლობჟანიძე დიდ მადლიერებას რომ გამოხატავდა ამ მილოცვისათვის, დასძენდა:

— ნათელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის სულს.

ზვიად გამსახურდიას დიდ ნაკითხობასა და განათლებას ყველა აღიარებდა, თვით მისი ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგენიც, პატივისმცემელნი კი ჯერ კიდევ მისი ახალგაზრდობისას ამბობდნენ გაოცებით:

სად იტევს ამდენ ცოდნას, ნეტა გაგვაგებინაო!..

ჯალალ ედ-დინ რუმის პოეტურ მემკვიდრეობასაც სიღრმისეულად რომ იცნობდა, უშუალოდ მაინც „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაზე“ მუშაობისას გამოადგებოდა, ცალკე თავად რომ დაისაჭიროებდა სუფიზმის შემოტანას — კერძოდ სუფისტური მიჯნურობის შედარებას „ვეფხისტყაოსანთან“.

ზოგადი თვალსაზრისით თავისთავად.

სახელდებით კი იმ პასაჟში, როდესაც აღნიშნავდა, რომ:

სუფისტურ ასკეტიზმს, რომელიც აღმოცენებულიყო არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით, შეექმნა ეროტიკული პოეზია, სადაც მიჯნური გახლდათ სიმბოლო ღვთისა, საღვთო სიბრძნისა, და მისადმი ვნება ალეგორიულად განასახიერებდა სულის მისტიკურ შერთვას ღმერთთან ანუ რუსთველის თქმით: შერთვას ზესთ მწყობრთა წყობისა. ამგვარ მიჯნურობას კი იშყი მაჯაზი ეწოდებოდა.

და ძალდაუტანებლად მიადევნებდა:

ამიტომაც უწოდებდა თავს ქრისტიანს დიდი სუფი პოეტი ჯალალ ედ-დინ რუმი: მუსულმანებო, თუ არის ქვეყნად მიჯნური ვინმე — ეს მე ვარ, თუ არის ქვეყნად ვინმე მორწმუნე და ქრისტიანი განდეგილი, ეს მე ვარო — და როგორც ვხედავთ, პოეტისათვის ეს ორი რამ იდენტურია. აღსანიშნავია, რომ ჯალალ ედ-დინ რუმი და ჰალაჯი იესოს მიიჩნევდნენ სუფისტების მოძღვრადო.



და კიდევ იმ პასაჟში, როდესაც აღნიშნავდა, რომ:

სუფიზმი მიელტვოდა ყველა რელიგიის გაერთიანებას ეზოტერიზმის საფუძველზე, მაგრამ მისთვის მაინც მთავარი იყო ქრისტიანული ფილოსოფია.

შემთხვევითობად არ უნდა აღგვექვა, რომ სუფიების მთავარი პატრონი გახლდათ წმინდა გიორგი ანუ ხიზრი (ხიდრი), რომელსაც ფარულ მოძღვრად აღიარებდნენ. და ასევე ელია წინასწარმეტყველი.

სუფისტები მიუთითებდნენ ქრისტიანობასა და ისლამს შორის ღრმა კავშირზე და თავს მიიჩნევდნენ ეზოტერულ ქრისტიანებად, ხოლო საღვთო წერილს, როგორც ბიბლიას, ისევე ყურანს, განიხილავდნენ ალეგორიულად, ამასთან განასხვავებდნენ მის შვიდ ძირითად ალეგორიულ მნიშვნელობას.

და თვალსაჩინოებისათვის ვინ უნდა მოეხმო ზვიად გამსახურდიას, თუ არა ჯალალ ედ-დინ რუმი, რომელიც ამბობდა:

— იესო შენშია, ეძიე მისგან შველა.

და გაიხსენებდა დასავლელ მკვლევართა გაოცებას იმ გარემოებით, რომ რუმის შეხედულება ქალზე ძალზე აღმოსავლური გახლდათ, კერძოდ: ქალი გართობის საგნად კი არ ესახებოდა, არამედ ღვთაების სხივად.

ამ შეხედულებებით კი რუმი ენათესავებოდა პავლე მოციქულის მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ღმერთი, ქრისტე თვით ადამიანში იმყოფებოდა:

— არა მე, არამედ ქრისტე არს ჩემში.

და აგრეთვე ქრისტიანულ საღვთისმეტყველო მოძღვრებას მარადქალურის, ვითარცა ღმერთის, სულიწმინდის ერთერთი ასპექტის შესახებ.

რომ დასცლოდა ზვიად გამსახურდიას კვლევა-ძიების გაგრძელება, კიდევ არაერთხელ მოიშველიებდა ჯალალ ედ-დინ რუმის პოეტურ ნააზრევს, და უსათუოდ გაიფიქრებდა ხოლმე:

ნეტა როდის ვეღირსებით „არსთა მესნევის“ ქართულ თარგმანს, სრულფასოვანსა და კომენტირებულს, როგორ გამოგვადგებოდაო.

ძალიანაც არ გადაიდებოდა ამ ნატვრის ახდენა.

შესაფერისი კაციც უნდა გამოგვჩენოდა და შესაფერისადაც აღესრულებინა ეს დიდებული, საშვილიშვილო საქმე.

გიორგი ლობჟანიძეს უკვე მოთავებული აქვს „არსთა მესნევის“ ექვსტომეული — მისი ქართული ორეულიც და კომენტარებიც და ექსკურსებიც თანადროული აღმოსავლურ-დასავლური მეცნიერების ყოველგვარი მონაპოვრის გულდასმით შესწავლა-გათვალისწინებით.

და ეს გამორჩეული ნაღვაწი თანდათან ამოდის მზის სინათლეზე საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილებისა და „სულაკაურის გამომცემლობის“ წყალობით.

ორი წიგნი უკვე ხელთა გვაქვს.

და მისი გასრულების ხილვასაც მალე მოვესწრებით.

მისი მნიშვნელობის შეფასება კი აღარც დაგვჭირდება, რადგანაც წინასწარვეა შეფასებული ზვიად გამსახურდიას მიერ:

— ეს თარგმანი რუსთველოლოგიასა და მთელი ჩვენი კულტურის კვლევას ფრიად წინ წასწევს.

წასწევს და მერე როგორ!..

XIII

საცა შენი თქვა...

სიტყვა ერთი — კრიალა და წკრიალა —
ამედევნა ადრეული ასაკიდან:
წამოგყვები — სადაც გინდა, კი არა —
საცა გინდა, საცა გინდა, საცა გინდა!

მკითხეს: რატომ განასხვავე საცაო?
შეარიგე სამიწე და საცაო!

შედარება არ მოიკოჭლებს

ფიროსმანი გამახსენდა
    სანიმუშო მაგალითად:
ნესტანი და ტარიელი —
    ოსტატი და მარგარიტა.

გალაკტიონის ძეგლი ილიას გამზირზე

წამოეპარა ცათამბჯენი სულთამხუთავი,
ქვასაც უჭირს და ლამისაა სული ამოხდეს,
ამაოდ ეძებს სხვა პედესტალს — მაინც უკვდავი:
აქედან ვეღარ გადახტება, უნდა ამოხტეს!

ეგვიპტელი ტურისტი

მაგ პილიგრიმს ნუ მოაკლებთ
ხინკალსა და ალადასტურს
და ქარაგმებს ნუ აკადრებთ —
გადაკრულს და აუგიანს:
როგორც ამბობს მატიანე და ვიდეოც ადასტურებს,
მას ოდესღაც უდაბნოში პირამიდა აუგია.

ლეღვის ფოთოლი

არც გაგრელი ვარ და არც ფოთელი,
მიყვარს ლეღვი და ლეღვის ფოთოლი.
ზღვამ შემაყვარა წუთისოფელი,
გადამავიწყა მწირი გოდოლი
და ისე გამადედიშობილა,
ლეღვს მირჩევნია ლეღვის ფოთოლი.

წუთისოფელი

პურმარილი გამიძვირა,
მწარედ მეონლაინა:
ვირა!
ვირა!
ვირა!
ვირა!
    ვირა!
    ვირა!
მაინა!!!

არა ანტი!

თუ აღმოგაჩნდეს ტალანტი,
დალანდე გემი „დალანდი“,
აღმოაჩინე სალვადორ
დალი და არა დალ-ანტი.
არ დაგავიწყდეს მიხეილ
ტალი და არა ტალ-ანტი,
არ დაგივიწყებს სვანეთის
დალი და არა დალ-ანტი.

შოუ და შოუ

მიყვარს მეგრული შოუ-ნანა, შოუ და შოუ,
მომწონს და ორჯერ მომწონს ბერნარდ შოუ და შოუ.
აკაკისა და ვაჟას შუა და ტატოს შუა —
გალაკტიონის შოუ მიყვარს და შოთას შოუ.

როგორა მყავს შენი თავი?

როგორა მყავს შენი თავი, შენ ხომ ჩემი გოგონა ხარ,
სხვებთან ერთად კი არა და —
ჩემთან ერთად როგორა ხარ?
ჩაქრა ყველა ჩირაღდანი, დარჩა ჭიაკოკონაღა,
სხვისთვის როგორ გაგიმეტებ,
ჩემთან ერთად როგორა ხარ?
ჩემს ბილიკზე მაღალ ყორეს აშენებენ მეყორენი
და მე ისე როგორ გავძლებ, ჩემთან თუ არ მეყოლები?!

შემდეგ

არ მიყვარს რამერუმე და მით უფრო — რამერუმენი,
ვარაუდს აღემატება ჭეშმარიტება ნაქები,
შორიდან გამითამამდა სატელეფონო რომანი,
მოსალოდნელზე მეტია და სასურველზე ნაკლები.

განალური

სხვებს — რომის და ვენის მისამართები,
სხვებს — ჟენევის ბანკის მილიარდები,
სხვებს — წინასწარ ჩაწყობილი კარტები,
სხვებს — ტვიშის და ოჯალეშის კვარტები,
მე კი — სილა და სილაში ვარდები!

თოვლეგი

შარშანდელმა დამავიწყა თოვლი შარშანწინდელი,
ველოდები წლევანდელს და ხვალინდელს
და ზეგინდელს,
ვერცერთმა ვერ აიტანა ყვითელი და წითელი,
დავა გაუჭიანურდათ ოსტატებს და შეგირდებს.
ფერი ფერს და მადლი ღმერთს და უცნაური კამათი
გაგრძელდა და მე ვერავის ვეღარ დავეტოლები,
ოღონდ მინდა შევაყოვნო განაჩენი ამათი
და თეთრი და იისფერი შევარიგო თოვლები.

იაქე

დროზე მოვიდა იაქე,
დუშაში გავაქიაქე,
იმდენი ვიფორიაქე,
დამჭირდა მეაფთიაქე,
პარასკევს ვიკონიაკე
და შაბათს ვიკვირიაკე,
კვირას ყვავილი მივართვი:
ვარდი არა და ია ქე.

ჩემი ეკერმანი

გერმანია ისე მეგერმანია,
ვაქე, ცოტაც წავიმიეთ-მოეთე:
მარიამი ჩემი ეკერმანია,
სამწუხაროდ მე ვერა ვარ გოეთე.

შადრევანის ვედრება

ნუ დაუჯერებთ პურიტანს,
ნუ ანდობთ სახლის გასაღებს,
ვინც დიუშანის უნიტაზს
შადრევნად შემოგვასაღებს.

ვარენკას ბაღი

საღამოხანს, ვარენკას ბაღში, აჩემებული სიმღერა —
„საყვარლის საფლავს ვეძებდი“...
და ქვის ძელსკამთან ხვლიკის სიცელქე...
მატარებლიდან მემანქანის გაქცეულ მზერას
მწერივით ვიჭერ.
არადა, ყველაზე სუფთა ახლა
ქუჩის ლეკვთან ალერსის გაყოფაა,
თან, ვაჯერებ, რომ მაწანწალობა დიდი ნიჭია.

ეს ატეხილი ცაც და წვიმების ჟინჟღლაობა
ისე ამშვენებს ჩემს გადაღეღილ სარაფანს...
ამ ცრემლმორეულ ღიღინში
მთელი ეს პოეზია რომ მოვმუშტო...
გავუყვე ტროტუარს გულამოსკვნილი...

წინ ფართო ხიდია, ქვემოთ — ყვირილა.
აი, ის მდინარე, ჩემზე მეტს რომ ჰყვირის.
ჰო, ის მდინარე. გახსოვთ,
რომ არ ვანდე ჩემი ამბავი?!

აი, ის ძიაც (ხიდგაღმა), რომელსაც ვენდე.
როგორ მინდა, მოხატოს შორიდან ჩემი შიმშილი,
ან პურს მოამტვრიოს ყუა,
ან ღიღინში ამყვეს.
ის კი დგას, ვერცხლის სასმისივით განსხვავებული,
თვალებით მანიშნებს შორიდან,
რომ ჯერ ისევ პატარა ვარ,
რომ არსობის პურისა
მხოლოდ ჩიტებს სწამთ.

ვინმემ შეარხიეთ საყვარლის ჭმუნვა,
უთხარით,
რომ გათხოვება გადავიფიქრე,
უთხარით,
რომ მისი საფლავი მოსაძებნადაც ადვილია,
ისიც უთხარით,
რომ ახლა მხოლოდ წერაობის დროა...

წუხელ დოლ-აკორდეონზე რომ ჩამოჰკრეს,
„შეიფრთხიალა მგოსანმაო“,
ფრიალი გაჰქონდა ჩემს კაბას,
შემდეგ — შიშსაც,
მაგრამ გეფიცებით,
არც კი დავღლილვარ...

ჩავიქროლე წალენჯიხაშიც,
არავინ და არაფერი სჭირდებოდა
სხეულს თიბათვეში ისე ძალიან,
როგორც ჩემივე თვალებით წამოღებული სიწმინდე
ოცდათექვსმეტი წლის ბიჭის.

გახსოვდეთ,
თქვენ, ყველანი,
დამნაშავეები ხართ,
ვისაც არ გესმით მართალი ღიღინის,
თქვენ, ყველანი,
ვინც პოეტთან უნამუსოდ გამართლდით,
პასუხს აგებთ!
ისევ და ისევ
„მესმის ცხოვრება, როგორც ტალახი,
და პოეზია სიხარულია“.

მე კი ასეთი გულმოღეღილი,
მარტოხელა და მყვირალა,
ყველა გზაჯვარედინთან,
სადაც შარდის გუბეებია,
ყოველ გუბეში თეთრი ტერფების ჭყაპუნით ვხტები.

ბოლოს — კარი იმ სახლისა,
სადაც ვიკეტები
და ახალ წიგნში თავზე ლაფს ვისხამ;

შუაღამისას საწოლამდე ძლივსმითრეული
ჩემი, ხელშესავლები, ცახცახა ტანი,
სწორედ ისეთი, როგორიც აჩემებულ სიმღერაშია:
„ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო“...

კაბა-შარვალი

კარგა ხანია კაბა-შარვალი აღარ ამომიცვამს,
ისეთი სამოსია,
თითქოს სულ კაცი გყავს ზედ შემომჯდარი,
გადი-გამოდიხარ,
დაალაჯებ,
შენია ეს ქვეყანა,
არც ადიდებული ჭოროხის გადმოლახვა
გინდა ვინმესგან.
გაზაფხულიც ხარ სულ ხვნა-თესვაში,
ხან — მიტოვებული
ხანაც — გამოტოვებული...

მოხუცი მარგო შემომყვირებდა ხოლმე
მდინარის პირას:
კაბა ქვემოდან არ ამოიცვა, სილამაზე იკარგებაო,
ზემოდან სჯობსო,
მეც ზემოდან მიყვარს დღემდე კაბის ჩამოცმა,
მაგრამ კაბა-შარვალს სულ სხვანაირად ვირგებდი.

სადღაც, ჯანდაბაში, სიღრმეს რომ მზერა შეეყინება,
ისეა ჩემი დღეები,
თან იცი, ჭირხლივით მშრალი ქალობა შენი საქმე არაა.
ისიც იცი, ციკლისწინა გამოდინებამდე,
ტანს რომ მთელი საგიჟეთი აქვს გამოსახარში...
შე ქალო, ამასაც ხო ძალა უნდა, თუ გამბედაობა?!
და რა არ გაბედე,
რა დააკელი თავს,
რანაირი პოეტი ხარ,
თამამად თუ ბუზი არ დაინახე ვაკნარზე?!

ნაბახუსევზე შენი მზერა ისე მჩატეა,
ისე ლოკავ ძვალსა და რბილს,
მოგუდულ სლოკინში ფიქრიც გერევა.
თვალს გადაავლებ მწნილს და ხელსახოცს,
ჩაიცლი ყელში ყველა დარდს
და სანამ რამეს წამოროშავ,
ტოვებ დუქანს ისეთი დაღლილი,
თითქოს გუდა იყო სილით სავსე და
სადღაც მიეგდო შეფენილში,
ირგვლივ კი ქალები — მოუცლელები,
ყანაში გაქცეულები,
პირსა და ხელში ტაროგამოვლებულები.

არადა, ხელამდე გული ხომ იყო,
თვალიც ხომ იყო,
არც გული გეღლებოდა,
არც — თვალი.
იმ შეღიტინებაზეც ნაძალადევად ვბჟირდებოდი...
შენი თითებიდან გამოსული სიტკბოება...
ნელ-ნელი დება და კვნესა,
თაფლის საფენივით საამო,
და კოჟორაც...
კარგი იყო წყაროსავით ქალობაც,
მერე მიწაც იძრა და შემცვალეს შენარევებმა.

მოგვწონდა თმენაი საკვირველი,
ვნებაი საკვირველიც,
ახლა წერაღა დარჩა საკვირველი,
წერას აყოლილმა ხელიდან წასვლაც იცის.

როცა დამაცხრე და შემითავსე,
როცა ჩემს ტანში იდგა ალმური,
მახსოვს, თვალები სიცრუით სავსე,
მაგრამ ხელები — გენიალური.

დავალ ისევ მოგონების ფსკერზე

დავალ ისევ მოგონების ფსკერზე,
ისევ ცეკვის ხასიათზე მოველ,
შენ უდარდელ გაღიმებას ვეძებ,
რასაც გინდა, შეგისრულებ — მთხოვე!

ამინდია ნაცრიანი ღრუბლის,
ამინდები სულს ღებავენ ჩვენსას,
მითხარი და ზეცის მკაცრი შუბლი
გაიხსნება, განათდება ზეცა.

მითხარი და დაეშვება თოვლი,
მითხარი და გაზაფხული მოვა,
მითხარი და ამწვანდება მოლი,
დაიწყება ყვავილების თოვა.

აგევსება ორქიდეით ეზო,
მთხოვე, ნურას ნუ მოითმენ თმენით!
ოღონდ, ნუ მთხოვ, დავიწყება შევძლო,
დავიწყება რომ შევიძლო შენი.

თავს მოვიკლავ წინაპრების ხმალით,
ანდა თავით გადვეშვები მტკვარში,
ოღონდ, ნუ მთხოვ, შეველიო ძალით
გულისძგერას შენი თმების ქარში.

ოღონდ, ნუ მთხოვ, შეველიო თითებს,
თითებს შენსას ფაიფურზე მკრთალებს,
შენს ბაგეებს ეშმაკურად წითელს
და შენს თვალებს და მაგ თვალთა ქნარებს.

დავალ ისევ მოგონების ფსკერზე,
ისევ ცეკვის ხასიათზე მოველ,
შენ უდარდელ გაღიმებას ვეძებ,
რასაც გინდა, შეგისრულებ — მთხოვე!

მოხეტიალე უფსკრულის პირას

შენ დაღლილი ხარ, ძლიერ დაღლილი,
ახლოა მიწა, შორია ზეცა,
გულის ყოველი ამოძახილი
მომაკვდავების ჩაგესმის კვნესად.

გამოეცალა შენს ყოფნას აზრი,
ნელ-ნელა ასე, თვალს და ხელს შუა,
ცხოვრებისათვის შენ ასე დაცლილს
მცირე ნუგეშზეც გითვლიან უარს.

შველის სხვა დაღლას მძიმე, ღრმა ძილი,
ეგ კი ისეთი მძიმეა დაღლა,
ამღვრეული გაქვს ცხოვრების ნირი,
მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობ შენ ახლა.

სულმოკლეობად ნურვინ ჩაგითვლის:
რადგან გადიან დღეები და შენ
ქარიშხლის ყბაში ყოფნას არ აჩენ,
სულზე გადაკვრას სასტიკი ფითრის.

აჰა, გამოხვალ ქუჩაში, გინდა,
გინდ არ დატოვებ ბინის გალიას,
ყველგან მაღალი გილიოტინა
და კოცონების ცეცხლის ალია.

სამყარო მაინც ლამაზი არის,
რა არის, თუნდაც, თვალები შველის,
ან ბრმა კაცისთვის ახელა თვალის,
მაგრამ ეს ყველა შენ ვეღარ გშველის.

რომ ზედმეტი ხარ, დადიხარ ბარგად,
არაფერს ნიშნავ სამყაროსათვის —
შენ ეს უწინაც იცოდი კარგად,
მაგრამ სიცოცხლეს მაინც ლოცავდი.

ახლა კი შენ და ცხოვრებას შორის
გაჩნდა უფსკრული უკვდავად ვრცელი
და მის გაქრობას ფიქრითაც შორით,
ფიქრითაც შორით შენ აღარ ელი.

კეისრის პერგამენტების ქვეშ

როცა ვიგონებ ჩემს ნაწერებს დადგმულს დასტებად
და მიმოფანტულს კიდევ რამდენს სხვადასხვა ალაგს,
ცხოვრების ჩემის მდინარებას, ქვეყნიურ ღალას, —
არ ვიცი, საით, მაგრამ ჩემს გულს მდურვა დასცდება.

ეს ნაწერია, რაც ჩემ შემდგომ ქვეყნად დარჩება,
სულის და გულის მე იმათში ვაქსოვე ძალა,
და, ჰა, კეისრის პერგამენტებს დავყურებ კვალად,
როდესაც მხოლოდ მათ ეკუთვნის ჩემი არსება.

იქნება ახლა სადღაც ჩემთვის დანა ბასრდება,
შხამი მზადდება, გეგმა წყდება,
გულს შური ღალავს,
დღე ხვალინდელი ჩემ დაღუპვას ზრახვებში მალავს
და ჩემს ნაწერებს ობოლთ ბედი ელით მტაცებლად.



მე ვცილდებოდე უნდა ყოველს, რაც მეტმასნება, —
ამ პერგამენტებს, ამ სავარძლებს, შფოთიან პალატს,
ვაშთობდე ფიქრს, რომ მზეს უთუოდ ვიხილავ ხვალაც
და ეს ყოველი სულის სამარხს არ ემსგავსება.

დაჰყვება ჩემს გულს ამ წუხილის ყოველგან ჩრდილი
და როგორც მიწა განუწყვეტლად გარდამავალი,
ვარ ორი მეფის უბოლოო ბრძოლით დაღლილი.

მე თქვენი, ჩემო ნაწერებო, ბევრი მაქვს ვალი,
გთხოვთ პატიებას, არ დამზოგა ბედმაც სრულებით
და დამრჩა თქვენი გუმბათები დაუსრულები.

გთხოვთ პატიებას, უშფოთველი წაგართვით ძილი,
სად ტრიბუნები ათასობით შემოგცქერთ თვალით,
ნახევრად შიშვლებს ორატორის გიყარეთ წილი.

მაგრამ არ შედრკეთ, არ ჩაიქროთ მხნეობის ალი,
მარადისობის ბაგეთაგან ნაჩურჩულები
ნანგრევებითაც შეიცნობა თქვენი სულები!

საბრალო ალვა

ოი, საბრალო ალვის ხის ნერგო,
მე მებრალები, ო, მებრალები,
ასე მწუხარე ხვედრი რად გერგო
და სევდიანი რად გაქვს თვალები?

ო, მენანები და მეცოდები
და გული მიწუხს შემხედავს ამის,
შენ გემუქრება ცეცხლის მოდებით
ბორბალი ქარის, სიცივის, ღამის.

მის ტრიალს შენ ვერ გადაურჩები,
შენთვის ყოველი დილა შორია,
ლოგინად გეგო ცივი ქუჩები
და სახლად მძიმე ბუტაფორია.

ო, განდევნილო და განწირულო,
ოკეანეში მგლოვიარების!
თვალი ვერასდროს უნდა მილულო
და იყო მარად ხელში ქარების.

შენ ბედს დასცინის ყველა დემონი,
მათთვისაც შენი ყოფა კრულია
და სახეებიც გარეშემონი
ყველა ერთ გულცივ ფერხულს უვლიან.

ოი, საბრალო ალვის ხის ნერგო!
მე მებრალები, ო, მებრალები!
ასე მწუხარე ხვედრი რად გერგო
და სევდიანი რად გაქვს თვალები?

დუშაში

ზაზა ბიბილაშვილი

მოთელვა

სამზარეულოდან გამომდინარი სურნელი ერთდროულად აღძრავდა მადასა და მისი დაკმაყოფილების იმედებს.

ცოტაც და ოფიციალურად დადასტურდებოდა ძველ მეგობრებამდე მისული ხმები — ნათესავის სასადილოში თავის დროზე ხათრით მიღებულ ნოდარს ხელი სერიოზულად გაუწაფავსო.

შესაბამისად, დიასახლისის შინარყოფნაც მეტ თავისუფლებას თუ ნიშნავდა, თორემ არაფერს აშავებდა.

ერთი, ნარდის საქმე ვერ იყო კარგად.

თუმცა სპორტის ამ წინასაქეიფო სახეობას იმ დროისთვის უკვე დაეკარგა საერთო-სახალხო ავტორიტეტი. შეიძლება, მასპინძელსაც ამიტომ მიევიწყებინა, კამათლები რომ სცოდავდნენ.

ვახოს და კოტეს კი საერთოდ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამაზე, ნარდს როცა მიუსხდნენ.

1 : 0

— გააგორე! — ცალი კამათელი აიღო ვახომ.

— დაიწყე, გითმობ, — დიდსულოვნება მოინდომა კოტემ. მიზეზიც განმარტა, — პედაგოგი კაცი ხარ.

— აჰ! ძალიანაც ნუ დავიხარჯებით! — პატივისცემა ხელების სავსავით აისხლიტა ვახომ.

კოტემაც ჯერ ერთი კამათელი გააგორა, მერე — ორივე.

სულ მალე კი ისეთი ტკბილნარდული პაექრობა ატყდა, წესიერად ვეღარც გაარჩევდი, რა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ვახოს აღმოხდებოდა და რა — კოტეჯების ქსელ კოტე.ჯის მფლობელ კოტეს.

— ფანჯ-იაქი.

— სე-ვაი-დუ.

— ჩარუ-სე.

— ჩალურსმე? რა ჩალურსმე?

— აბა ერთი შაში!

— შაში არა — შაშვი.

— გენცვალე — დუ-იაქი... ეს იაქი...

— დუც მეცეკვე.

— ბეშ-დორთი.

— ბეშ-დორთი არა — დუშან-ბე.

— აბა, ფანჯი-ჩარს ხომ არ ვიტყვი — ბავშვია იქით.

— ბავშვი, თორემ რომ დაუხატო, ვერ იცნობს.

— ვერ იცნობს.

— რატომ ვითომ?

— იმიტომ, რომ ხატვა არ ვიცი.

— ხატვა თუ არ იცი, ბეშ-ოთხი თქვი.

— შაში სად არის, შაში?

— გასულია.

— ორივეს თავში ხვდება. ეს ერთი...

— ყოჩაღ, ძმაო. ლიოჩიკის გული გქონია.

— ლიოჩიკი არა — სტაკანჩიკი.

— შაში-მეთქი!.. ვაააჰ.

— ჩარი ვაქოთ და ვადიდოთ.

— ახლა კი არ მოვა დუ-იაქი.

— შაშის კარი აიღე?

— შაშის კარიც ავიღე და — ტაშისკარიც.

— დუბარა.

— აგიფეთქე ყუმბარა.

— ყოჩაღ შენ.

— არა ბიჭო.

— დუბეში.

— გამოგიდგა ხრუბეში.

— გამოგიდგა რაღა იყო?

— ბავშვს უმადლოდე.

— დორიჩარი.

— დიდი ხისკენ მოიჩქარი.

— მადლობა, ბავშვო.

— სწორია.

— დუსე.

— ქაქში თითი ტუცე.

— ბავშვი?

— კაი ახლა — ეგრე პატარაც არ არი.

— იაგანი.

— მმ... სამინისტრო შინაგანი.

— ბავშვო, შენ არაფერ შუაში ხარ. — უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა...

— ეს — ერთი! — თქვა ბოლოს ვახომ. ბოლოს რა — პირველი ხელის ბოლოს, თორემ ყველაფერი ახლა იწყებოდა.

— დუშაშზეც იცი? — ჰკითხა კოტემ.

— რა?

— ლექსი.

— როგორ არ ვიცი. არ მითქვამს?

— არა.

— რანაირად გამომრჩა.

— არ გაგორებულა.

— მართალი ხარ შენ... მოიცა, დუშაში კი არა... შაში გაგორდა?

— კი, ორჯერ შენ გააგორე, ოთხჯერ — მე.

— ვა! და მაინც მე მოვიგე? ესე იგი, მაგარი ვარ.

„კი, კი“, — გაიფიქრა კოტემ.

1 : 1

— ახლა გეტყვი დუშაშზე, — პირობა გასცა ვახომ.

— იქნებ ისევ არ მოდის? — რისკფაქტორზე მიანიშნა კოტემ.

— ვა, რას ჰქვია, არ მოდის? მაგის ნებაა?

— აბა, ვისი ნებაა?

— ალბათობის თეორია გაგიგონია შენ?

— ცალი ყურით.

— ჰოდა, მეორე ყური გაამზადე. ლექსი უნდა ვთქვაო! — ვახო კატეგორიული იყო. სამაგიეროდ, ცოტა ხანში — გაკვირვებული, მერე კი აღშფოთებული ფიქრობდა:

„რატომ არ გორდება შაში?! რატომ?!“

„შაში არ გორდება“, — ფიქრობდა კოტე.

დუშაში, მით უმეტეს, არ გაგორებულა. თუმცა, წინასგან განსხვავებით, ეს ხელი კოტემ მოიგო.

ანუ ანგარიში ერთით ერთი გახდა. ანუ — მხოლოდ ერთით ერთი, მაგრამ პედაგოგი ვახო ამ საქმის ასე დატოვებას აშკარად არ აპირებდა — დაჭყეტილ თვალებთან ისე იტრიალებდა კამათელს.

— არ გამოვა ასე!

— ანუ შენ თუ მოიგებ — გამოვა, მე თუ მოვიგებ — არა? — ორმაგი სტანდარტის ნიშანი შენიშნა კოტემ.

— მაგას ვინ ამბობს?

— აბა, რას ამბობ?

— რას ვამბობ და... ნოდარ!..

— დიახთ! — სამზარეულოს ზღურბლიდან იხუმრა მასპინძელმა.

— კამათელს რაღაც სჭირს.

— ა? უიჰ! შეატყეეთ?

ნოდარს ადრე ვიღაც დანაძლევებია — ათ გაგორებაში ხუთ დუშაშს დავსვამო. ამბობდნენ, შვიდიც დაუსვამსო. მაგრამ იმ ჯერზე ერთხელ გაუგორებია შაში-ბეში და ერთხელაც შაში-დუ თუ რაღაცა, შაში მეტჯერ — ვერა. თუმცა გაგორების ოსტატი რისი ოსტატი იქნებოდა, კამათლებისთვის რაღაც ფარსაგი არ შეემჩნია და მერე არ გაეშიფრა კიდეც — რამდენიმე წიბო ცოტათი მოუქლიბავთო. სანაძლეო სიმბოლური ყოფილა... და რაც იყო, ალბათ იმისი უზრუნველყოფაც ნოდარს დაეკისრა — უბრალოდ, ამ დეტალის დაზუსტებას სამზარეულოში მიმდინარე თერმულმა პროცესებმა შეუშალა ხელი.

— უიჰ, უიჰ, არ გადმოვიდეს, ბოდიში!..

ცოტათი მოქლიბვა უძახე შენ.

1 : 2

— რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ, გავერთობით.

— რას გაერთობი — ალბათობას დედა აღარ ყოლია, — თქვა პედაგოგმა ვახომ და ერთი ლექსივით რაღაც კიდევ გაიხსენა, სხვისი, — „შემატყუეს კამათელი, შაშები რომ არ აქვს და მიმღერის ახლა მთელი ალბათობის არაკს.“ რაღა ალბათობაა, შაშები თუ არა აქვს?! — კრიტიკოსობაც გამოსდიოდა, მხოლოდ დეკლამატორობა კი არა.

— ალბათობა ალბათობაა, — უპასუხა ბიზნესმენმა კოტემ.

— რანაირად?! — აღელდა ვახო.

— ჰო, კაი, არა — ნუ, — დაამშვიდა კოტემ. ფიქრში კი დასძინა: „იმნაირად“.

— რამდენჯერ გაგორდა შაში? — იკითხა პარტიის ბოლოს მასწავლებელმა ვახომ.

— სამჯერ.

— ეგ არის შენი ალბათობა?! ნოდარ! ნოდარ!!!

— რა გაყვირებს, ისევ წააგე?

— წაგება რა შუაშია?!

— აბა, რა არის შუაში?

— კა-მა-თე-ლი!

— ხო მოგიყევით წეღან? — ეჭვის მცირე ჩრდილმა გადაურბინა სახეზე ნოდარს.

— გადასარევი ისტორია იყო. ახლა მიდი და გამოგვიცვალე!

— კამათელი მეტი არა მაქვს და თუ გინდათ, ისტორიას გამოგიცვლით. ჰეჰ.

— ადამიანებს სახლში ერთ წყვილ კამათელზე მეტი რომ არა აქვთ, მაგიტო ჰყავთ მეზობლები.

— შენ რა გითხარი.

— მე კი არა, ბავშვს უთხარი, გამოართვას ვინმეს.

— ნიკა!

— ნუგზარასთან სახლში არ არიან, ვოვას და ტასოს ნარდი არა აქვთ, თენგიზას არ ველაპარაკებით! — მეზობელი ოთახიდან გამოსძახა ნიკამ. ყოჩაღი თაობა მოდიოდა — დასაქმებას ვერ დაასწრებდი — უარიც მოფიქრებული ჰქონდა და უარის არგუმენტიც.

— ე, გაიგონე? — საქმის მიფუჩეჩებას მიმართა ნოდარმა.

— კარგს რას გაიგონებ მაგათგან... გააგორე ერთი.

1 : 3

— არ ვიცი მე! შერიგდით! ჩემი გულისთვის შეურიგდი თენგიზას!

— შეურიგდი კაია. იცი, რამდენი ხანია, არ ველაპარაკები? ეუჰ!

— მით უმეტეს. ახლა ზუსტად ის დრო ყოფილა, ორივეს რომ უნდა შერიგება და მეორისგან ელოდება პირველ ნაბიჯს. ადექი და გადადგი!

— ნაბიჯი კი არა, ჩხუბი არ ამატეხინო ამ უდროო დროს — ოქროსავით ხალხი მყავს სტუმრად.

— მოიცა, ახლა კამათელზე რომ მიხვიდე, ჩხუბი ატყდება?

— მაგაზე ატყდება ზუსტად.

— და რაზე იჩხუბეთ ეგეთზე?

— დამეწვა, კაცო, მაცალეთ... მოვალ...

— ეჰ, მიდი, მიდი.

— რაზე ვიჩხუბეთო?

— დამეწვაო.

— მაგ თენგიზას მოუქლიბა ვითომ?

— შეიძლება.

— და ერთი შაში თუ შეიძლება ახლა?! — გაგორების შემდეგ წამით გაშეშდა ვახო, — არ შეიძლება! შენ კიდევ ამბობ, ალბათობაო!

— ბეში, ზარო, — მიმართა ზარს ბიზნესმენმა კოტემ.

— დუ, — უთხრა ისევ კოტემ.

— იაქი, — ესეც კოტე იყო.

— შაში! — თქვა ვახომ.

— ჩარი, — მოითხოვა კოტემ.

— სე, — კოტე გახლდათ.

— დუ, — ეს ბრძანებაც კოტემ გასცა.

— შაში, შაში, ერთი შაში! — შეივედრა ვახომ და დასძინა, — ფუ შენი!..

1 : 4

— რა ვქნათ, ვახტანგ? — იკითხა კოტემ.

— რა ვქნათ, ნოდარ? — იკითხა ვახომ.

— რა იყო, მოგწყინდათ თამაში? — იკითხა ნოდარმა.

— ეს კამათელი რას მოგაწყენს.

— რა ვქნა, ხო ხედავ, არავის აქვს.

— მე ვიცი ერთი.

— ვინ?

— ქვევით, ქუჩის გადაღმა რო რაღაც მაღაზიებია, იქ მუშაობს გამყიდველად.

— ვაახ, რა კაცი ხარ... ნიკა!

— კამათლისთვის ჩავიდე ახლა?!

— მოდი, შვილო, სხვა რამეებიც უნდა დაგაბარო!

— ჩვენ რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ? ვერ უყურებ, რა სხარტი ყავს? მიდი.

1 : 5

— რა არის უსამართლობა?

— შაში რომ არ გორდება, ის!

— რატოა უსამართლობა?

— რას ქვია, რატო... შაში არ გორდება, გესმის?! გესმის, რა ხდება?!

— მესმის. შაში არ გორდება.

— მერე?!

— არ გორდება და ნუ გორდება.

— ჰო, მაგრამ ხო უნდა გორდებოდეს?!

— რატომ უნდა გორდებოდეს, თუ არ გორდება?

— რას ქვია! როგორ შეიძლება, შაში არ გორდებოდეს?!

— კაი, არ შეიძლება — ნუ შეიძლება.

— მოდი, მოდი, სადა ხარ, შე კაი კაცო, შენა, დამაწყდა ნერვები. ნოდარ! ბავშვი მოვიდა!

— ყველაფერი მოიტანე, შვილო?

— მარტო ის, რაც დამაბარე.

— ეს მწვანილი, ეს მარილი, ეს ჰ-ჰ... ყოჩაღ, კაი, შედი.

— სად უნდა შევიდეს, კაცო?!

— ნიკუშა, კამათელი, მამა?

— უი, დამავიწყდა.

— დაავიწყდა, ვახო.

— ა?!

— ჰო, დაავიწყდა ბავშვს, რა მოხდა...

— არაფერიც არ მოხდა. რა მოხდა. ადამიანებს ხანდახან რაღაცები ავიწყდებათ... მაგრამ — მაინცდამაინც კამათელი?! დავიწყებოდა მარილი! არ ვარგა ჯანმრთელობისთვის!..

— რა ვქნათ, ვახტანგ? — იკითხა კოტემ.

— გააგორე, კაცო, ერთი! ვინ ყოფილან...

დასასრული

ასე, ერთით თვრამეტი იქნებოდა, კამათელზე მესამედ ჩაგზავნილმა ნიკამ კამათელი რომ ამოიტანა.

ახალთახალი იყო, ბზინავდა, პრიალებდა, კრიალებდა და, რა ვიცი, რას აღარ შვრებოდა. მოქლიბული ხომ არაფერი ჰქონდა და არა.

მაგრამ რად გინდა — ამ დროს სუფრაზე ცხელი — გაგრილებას, ცივი კი გათბობას იწყებდა.

— კაი, კაცო, რა ლოდინი. მშვენივრად გავერთეთ! — მგონი, ირონიულობდა კოტე. ვახო პირის გაღებისგან, უბრალოდ, თავს იკავებდა.

— რა ქენი, მოუგე? — ვახოს თავშეკავება არ დაინდო ნოდარმა.

— როგორ მოვუგებდი — შაში არ გორდება!

— აბა, ამან როგორ მოგიგო?

— ხო გითხარი — შაში არ გორდება!

კარგია, რომ სუფრამ თავისი გაიტანა და ნარდის ანგარიშიც დავიწყებას მიეცა.

თუმცა ბოლოსკენ — პერსონალურების ჯერი რომ დადგა, მგონი, მაინც გაახსენდათ.

— გაგიმარჯოს, ჩემო კოტე! კარგი კაცი ხარ, მეგობრის მოყვარული და არდამვიწყებელი, გულუხვი! ეს დღევანდელი გემრიელი სიყვარულიც შენი ნაჩუქარია! — ეტყობა, ნოდარი ემხრობოდა მოსაზრებას, რომ პერსონალური სადღეგრძელო იმ დამსახურებების ხაზგასასმელად მოუგონიათ, რომლებიც ხაზგაუსმელადაც ყველამ იცის.

— ამის მასტერი შენა ხარ. ოქროს ხელი გაქვს! — ხაზი დაუბრუნა ბიზნესმენმა.

— შენ არ მოგეტანა, ჩემ ფეხებს გააკეთებდა ეს ოქროს ხელები! — ზედმეტად

როცა ვასიკო იღვიძებს

1.

ვასიკოს სძინავს და ძილში ბორგავს.

ან რა იქნება — ბორგვაზე ვამბობ — თუკი ამ დროს სიზმრის ვასიკოს მგელი მოსდევს. თან უკვე ისიც საკითხავია, ერთი თუ — რამდენიმე. სიზმრის ვასიკოს ხომ, ეს-ესაა გაახსენდა ვასიკოს მიერ სადღაც ამოკითხული — მაგათ ერთად იციან ნადირობაო. სიზმარში რამის დაშვებას კი ხშირად ის რამე მოჰყვება ხოლმე.

უმეტესობას ალბათ შეგინიშნავთ სიზმრის ეს თვისება. უმცირესობას კი შეგიძლიათ, ამაღამ ცოტა მეტი ყურადღებით იძინოთ და ჩემი ნათქვამი შეამოწმოთ. თუმცა მანამდე — თავის დასაზღვევად — დავაზუსტებ, რომ ლაპარაკი ლოგიკის მეტ-ნაკლებად მაღიარებელ, ანუ ჯერ კიდევ ჯანსაღი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელ ზმანებებზეა, და არა ძილ-ღვიძილში გამომკრთალ იმ ჩვენებათა დომხალზე, რომლის საპროექციო აპარატის უკან ცხოვრებისგან ნატანჯი ან გენეტიკითვე არაკეთილსაიმედო ფსიქიკა იგულისხმება.

მოკლედ, უკვე ორი მგელი რომ მოსდევს, ეს სიზმრის ვასიკოსთვის არ ვარგა, თორემ სიზმრის ხარისხზე და ვასიკოს ფსიქიკაზე მხოლოდ კარგის მანიშნებელია.

სხვათა შორის, ვასიკოს დამსახურებაა ისიც, სიზმრის ირიბი კონტროლის მექანიზმი მგლების გამრავლების ტენდენციას კრიჭაში რომ უდგება და დასაწყისშივე ამუხრუჭებს. შედეგად, სიზმრის ვასიკოს, მართალია, უკვე ორი მგელი მოსდევს, მაგრამ — მეტი არა.

„ცოლ-ქმარია“, — ასკვნის სიზმრის ვასიკო, რომელიც მშვიდ ვითარებაში ალბათ უფრო აკადემიურად გაიფიქრებდა — ოჯახის დომინანტი ძუ და ხვადიაო.

თუმცა ვასიკოს, ზოგადად, არ მოსწონს, ლიტერატურული პერსონაჟები დახვეწილი ფრაზებით რომ ფიქრობენ. სულაც მიაჩნია, რომ ადამიანი ხშირად — მაგალითად, მაშინ, როცა მგელს გაურბის — შეგრძნებების სახით ფიქრობს. ანუ ვასიკოს თეორიის მიხედვით, სიზმრის ვასიკო ახლა გრძნობს, ცოლ-ქმარი მგელი ან მგლების დომინანტური წყვილი რომ მოსდევს.

ჰო, განწყობა იქით იყოს, დრო სად არის დახვეწილსინტაქსიანი ფიქრებისა? განა რამდენ ხანს შეიძლება, მგლები მოგდევდნენ? ვგულისხმობ — როდემდე გაექცევი მგლებს? მით უმეტეს, რომ სიზმარს ანუ დევნას დაწყებულზე შემოვესწარით.

სხვათა შორის, ეს იმასაც არ გამორიცხავს, რომ აუცილებელი მოგერიების ამაო ცდები გამოვტოვეთ. ანუ შეიძლება, სიზმრის გმირმა როდისმე რაღაც იმაზე უფრო ღირსეულიც წაიფაფხურა, ვიდრე გაქცევაა, მაგრამ — როგორც ასეთი სიუჟეტების უმეტესობას სჩვევია — ხანჯალი ბოლო მომენტში ბადრიჯანი გამოდგა, ნაშიშვლებ რევოლვერს კი ჩიჩახვივით ჩამოეკიდა მომხდურისკენ მიღერებული ლულა.

თუმცა მთლად დათვისბიძაშვილიანი ანეკდოტის* მოტივებსაც არ უნდა ეფუძნებოდეს ეს ამბავი, რაკი უცებ ჩვენი დევნილის წინ კაი მოზრდილი ჭადარი აიყლარწება და სიზმრის ვასიკოც — რა გასაკვირია, რომ — ფაცხაფუცხით მიფოფხავს მასზე. ერთი მგელთაგანი კი მაინც მოასწრებს, რომ ბიჭისკენ ახტეს, მაგრამ დახტომისას დევნილის ცალ ფეხსაცმელსღა ჩაიყოლებს უკან.

ფეხსაცმელი საკმაოდ ახალი და ძვირი ჩანს. თუმცა თემაში ჩაღრმავება — მაგალითად, კონკრეტული ზარალის დადგენა არ ღირს: ჯერ ერთი, ვალუტის კურსი, კარგი ლიტერატურისგან განსხვავებით, დროს ვერ უძლებს და საფიქრებელია, რომ წლების შემდეგ ამან (ახლა ზარალის დაკონკრეტებამ) აზრი დაკარგოს. მეორეც, წართმეული ფეხსაცმელი თვითონ ყოფილ პატრონს ჰკიდია ფეხზე (ჰეჰ, მიყვარს კალამბური). ყოველ შემთხვევაში, ეს-ესაა დაკარგულზე მეტად ეს-ესაა შენარჩუნებული ეძვირფასება.

ადვილია მისი გაგება — ის ხომ გადარჩა.

ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს (გრძნობს) თვითონ — იმის არმცოდნე, რომ სიზმარშია — სადაც როგორც ხანჯალს არად უღირს გაბადრიჯნება, ისე ჭადარს — კაფანდარა ბიჭის სიმძიმისგან ატორტმანდეს და მერე მიწაზეც მოადინოს ზღართანი.

თუმცა იმას კი გუმანობს, სამარადისოდ რომ ვერ დაეზრდება ნერწყვგამდინარი მგლების თავზემოთ გადაწოლილ ტოტს. ამიტომ — ალბათ გადარჩენის ფაქტის გასამყარებლად — არც მეტი, არც ნაკლები, მომხდურთა ქცევის ლოგიკაში შეაქვს ეჭვი. ოღონდ არა უარგუმენტოდ — რაკი არ იცის, რომ სიზმარშია, საქმეს ზედმეტი პასუხისმგებლობით ეკიდება და სურვილზე უფრო მყარ საფუძველს — ისევ ვასიკოს მიერ სადღაც ამოკითხულს ეყრდნობა:

— თქვენ იცით, რომ მგელი ადამიანს არ ჭამს?

და აჰა — მომიწევს ვაღიარო, რომ უკვე მცირედ მაინც მესმის ვასიკოსგან გაკიცხული მწერლებისა, რომლებიც ადამიანის ფიქრებს, თუნდაც სრული ექსტრიმისას, ღამაზ ფრაზებად აკინძული სიტყვებით გადმოსცემენ. რატომ და იმიტომ, რომ აი, ახლა სიზმრის ვასიკოსგან გამოტყორცნილი საინფორმაციო ნაკადი, რომელშიც გამართული და მკაფიო წინადადებების გამორჩევა დიახაც შეუძლებელია, მოთხრობის, ცხადის, ადამიანის ენაზე სწორედ ასე და არა სხვანაირად ითარგმნება:

„თქვენ იცით, რომ მგელი ადამიანს თავს არ ესხმის? პირიქით, მას, როგორც თითქმის ყველა განვითარებულ და მოუშინაურებელ ცხოველს, ეშინია ადამიანისა... ნუ, თუ შეურაცხყოფად მიიღეთ, მაშინ ასე ვთქვათ, რომ — მგელი ადამიანს ერიდება და მასთან კონტაქტს არათუ ნებით არ დაამყარებს, ყველანაირად შეეცდება, თავიდან აიცილოს ის...“

სიზმრის ვასიკოსთვის ბევრად აჯობებდა, აქვე მოემთავრებინა ლექცია, მაგრამ, პოზიციის გამაგრების წყურვილს მეორე — სამართლიანობის მოთხოვნილება სჯობნის თუ რა არის, მოულოდნელად ისიც ახსენდება, ადამიანზე მგლების თავდაუსხმელობის პაქტი გამონაკლისს რომ ითვალისწინებს:

„თუმცა არსებობენ იშვიათი კაციჭამია ინდივიდები. ისინი განსაკუთრებულმა ბედისწერამ აიძულა, ადამიანს შებმოდნენ და მისი ხორციც გაესინჯათ. შემდეგ კი ის თავიანთ რაციონში შეიტანეს...“

ალბათ არ გაგიკვირდებათ, ამის მერე სიზმრის ვასიკოს გული რეჩხს თუ იზამს, ხოლო მგლების თვალებში ავი სიხარულის ნაპერწკალი გაკრთება — ნადირს არჩევანი გაუჩნდა; ასეთი შანსი კი, უკვე იცით, ამ ხასიათის სიზმრებში რასაც ნიშნავს.

ერთი დაბრკოლების — მგლებსა და სიზმრის ვასიკოს შორის დისტანციის დაძლევაღა დარჩა — რაც, არა მგონია, ახალი დაშვებით წაქეზებულ სიზმარს გაუჭირდეს.

იმას ვეღარავინ გაარკვევს, ჭადარს უეცრად ფესვთა სისტემა აღმოაჩნდა საოცრად სუსტი, თუ საყრდენი მიწა გამოადგა საკვირველად ფხვიერი. ნებისმიერ შემთხვევაში ხე წაქცევას იწყებს. წაქცევა, ცხადის არ იყოს, არც სიზმარშია სასიამოვნო. ამიტომ ამ მოვლენას სიზმრის ვასიკო, ან უფრო მარტივად — ვასიკო, ტანში დაზრენით აღნიშნავს.

სამწუხაროდ, დაზრენის ხარისხი ვერც ვასიკოს გასაღვიძებლად ვარგა და ვერც იმად — წასაქცევად განწირული ჭადარი შეაკავოს.

ჰოდა, გდია ახლა ეს თქვენი სიზმრის ვასიკო მგლების ცხვირწინ და უიმედოდ ცდილობს, წამოხტეს და ძველებურად მოკურცხლოს.

არსებობს მოსაზრება, რომ საკუთარ სიზმარში გაჭირვებანაჩვენები და ამიტომ გაქცევის ჩვენების მოსურნე ადამიანი თუ ვერ გარბის, ამ დროს მოკუნტულს ან ფეხებშეკეკილს სძინავს. ანუ არ არის გამორიცხული, სიზმრის ვასიკო ამ დღეში ვასიკოს დაუდევრობას ჩაეგდოს.

თუმცა ახლა სულ რომ პირველის ბოლო წამებს ვადევნებდეთ თვალს, მეორის სასტიკად გაკიცხვა მაინც უსამართლო იქნებოდა — ყოველ შემთხვევაში, იმისთვის, ლოგინში ფეხები უშნოდ რომ შეუკეცავს.

ჯერ ერთი, ვასიკო თავის მძინარე სხეულს თავის სიზმარზე უკეთესად ვერ აკონტროლებს; და მეორეც, ვასიკო სიზმრის ვასიკოზე ნაკლებად არ განიცდის იმას, რაც სიზმარში ხდება. კაცმა რომ თქვას, პირიქითაც კია: ახლა ლოგინში ვასიკოს სხეული მოკუნტულა, თორემ მისი მთელი ემოცია სიზმარშია და, შეიძლება ითქვას, მისი სულიც იქვე... ეჰ, რა კარგი იქნებოდა, გვეთქვა, დანავარდობსო, მაგრამ რა ვუყოთ, რომ სინამდვილეში — იქვე, მგლების ფეხებთან გდია.

ანუ ისეთი ვითარებაა, ცხადი რომ იყოს, ვიტყოდით, ახლა ვასიკოს სასწაული თუ იხსნისო, მაგრამ მსგავსს არაფერს ვამბობთ სიზმრის ვასიკოზე — რაკი, როგორც უნდა ვძაბოთ სიტუაცია, სინამდვილეში ძალიანაც კარგად გვახსოვს, რომ დათვისბიძაშვილიანი ანეკდოტის მსგავსი სიზმრები, პრინციპში, არც არსებობს. ყოველ შემთხვევაში, სიზმრის გმირი არასდროს კვდება. მესიზმრეთა მიერ „ვითომ მოვკვდი და“-ს მერე მოთხრობილი დატირების ამბები არ ითვლება, რაკი ეს „და“ უკვე საეჭვოს ხდის სიკვდილს. თუ ხედავ, როგორ დაგტირიან და ასე შემდეგ, ესე იგი, მთლად არც მომკვდარხარ. სიკვდილის მერე ასე არ ხდება.

ჰო, კარგი, ზუსტად მეც კი არ ვიცი, რა და როგორ ხდება სიკვდილის შემდეგ. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რაც ახლა ვასიკოს სიზმარში ხდება და რასაც უეჭველად სასწაულს ვუწოდებდით, ცხადში რომ ხდებოდეს:

— ადექი, ვასიკო, — ხმადაბლა და ღამის სათუთად ამბობს ერთი მგელთაგანი.

სიზმრის ვასიკოს ეს ამბავი უკვირს, მაგრამ არც იმდენად, რომ გახარება დაავიწყდეს. შესაბამისად, სიზმრის ვასიკოს უხარია, მაგრამ არც იმდენად, რაღაც მსგავსი სასწაულის მოლოდინის გარეშე რომ გაუხარდებოდა.

მგელი — ალბათ ამიტომ — მიღებული ეფექტით არ კმაყოფილდება და — ალბათ ამიტომ — სიზმრის ვასიკოს ცოტა უფრო ხმამაღლა და გრძლად მოუწოდებს:

— ვასიკო. ადექი, გაგვიანდება.

ვასიკო თვალებს გაახელს, შეკეცილ ფეხებს გაშლის და მამას გაუღიმებს:

— მგელი ხარ, მა.

მამა თაობებს შორის ხიდჩატეხილობასთან შეგუებულ ღიმილს შეაგებებს თუ არა, დამერწმუნეთ, ამას სიუჟეტის მომავლისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ისევე, როგორც იმას, რეებს ჩაიდენს აბაზანაში ვასიკო, ვიდრე ისაუზმებს და სამსახურში წავა.

2.

ხვადი ძუსთვის შეხედვას არ ჩქარობს — იცის, როგორი ეჭვიანი მზერა ელოდება. რა იცის და, თვითონაც ასეთი მზერით აქვს თვალები გამოტენილი.

— გაქრა, — ამბობს ის.

— შენ, რა, მეტყველებ? — ეჭვიანი მზერით არ კმაყოფილდება ძუ.

— სად წავიდა... — ხვადი მიდამოს ინტერესით ათვალიერებს, ოღონდ ისე, რომ ძუს მზერა არ გადაკვეთოს.

— აჰაა, ანუ ალაპარაკდი და, სამაგიეროდ, დაყრუდი? — გაკაპასება ეწყება ძუს.

— ჯერ ერ... კხმ... ჯერ ერთი, კაციჭამია მგლისთვის უფრო მნიშვნელოვანია პოტენციური ნადავლი, რომელიც ეს-ესაა ცხვირწინ გაუუჩინარდა, და მეორეც, მგონი, შენც მეტყველებ და ამის გამო ტვინს არავინ გიბურღავს! — დაბნევას ამთავრებს თუ არა, ეგრევე გამკაცრებას იწყებს ხვადი.

— განა იმას გეუბნები... — მყისიერად ლბება ძუ, — ლაპარაკი თუ შეგეძლო, დევნისას შემოგეძახა — აქედან მოუარე, იქიდან მოუარეო... არიქა მაინც დაგეყვირა, ბოლოს და ბოლოს.

— მე რა ვიცოდი, რო შემეძლო. მოულოდნელად თითქოს ვიღაცამ დაილაპარაკა ჩემში. მერე ის ვიღაცა გაქრა და დამტოვა მე ასე, ჩართული... შენ? — როგორც იქნა, მიხედავს ხვადი.

— მე შენ მოგბაძე, ჩემდაუნებურად. როგორც ყოველთვის.

— ფუჰ, რა შეყოლიება სცოდნია ლაპარაკს! ამის დროა ახლა?! — ამასობაში ბრაზდება ხვადი.

— მართლა სად დაიკარგა ის ბიჭი? — როგორც იქნა, საქმეზე გადადის ძუც.

— ხო არ აორთქლდებოდა?! ნსუ. ვყნოსოთ და გავიგებთ. ნსუ, ნსუ. ადამიანის სუნი არსაიდან გცემს?

— ნსუ, ნსუ. ჯერ არა.

— შენ მაგ მხარეს იტრიალე, მე აქეთ დავძებნი. შორს ვერ წავიდოდა.

— კარგი.

— ნსუ-ნსუ...

— ნსუ-ნსუ...

დასასრული მე-10 გვერდზე

ოფიციალური ხაზები ეხამუშა მასპინძელს.

— არის საშუალება! — მომტანის ხელები ასწია კოტემ.

— ჰოდა, შენა ხარ იმის ნიმუში, რომ შეიძლება ცხოვრებაში კარგ კაცსაც ჰქონდეს საშუალება! კარგ კაცსაც გაუმართლოს! შენკენ არის ბედიც, იღბალიც, განგებაც, და ამას შენ მთლიანად იმსახურებ!

— გენაცვალე, ნოდარ! — ვახოს შეძახილის ინტონაციამ მის გულში იდიომურად მჯდომი მასპინძლის ლანდი გამოამჟღავნა, — იღბალი! იღბალი! იღბლიანი კაცი ხარ, ჩემო კოტე, და იღბალი ნუ მოგიშალოს ღმერთმა!

— რას გადაეკიდეთ ამ იღბალს? კი არ ვემდური, მაგრამ ჰა! — წაუხითხითა კოტემ.

— ჩვენ კი არ გადავეკიდეთ, იღბალი გადაგეკიდა შენ! აი, უყურე: ჩვენი საძმოდან მარტო შენ დგახარ მყარად ფეხზე!.. მე გადავყევი ამ ბავშვებს — ვაგებინებდე მაინც რამეს... აგერ, ნოდარი შეაბერდა იმ სასადილოს. ისევ ხვალინდელი დღის იმედზეა... მეტი რა ვთქვა — იღბალი შენი გულისთვის ალბათობის თეორიის პრინციპებს ამსხვრევს!

აჰა, მართლა გახსენებიათ. ნარდზე ვამბობ.

ოღონდ ეტყობა, ვახოს მიერ ნაგულისხმევი ეპიზოდი — ისევე, როგორც ნოველის უდიდესი ნაწილი — ნოდარის სამზარეულოში ფუსფუსისას ვითარდებოდა:

— რა ალბათობა, ეგ რაღა მოიგონე?

— რას ქვია, მოვიგონე?! გენახა — წეღან თავის ნებაზე ათამაშა მთელი ამხელა თეორია! ნათელმხილველ! ჯადოქარ! ასტროლოგ!

— მითხარი, ერთი, ამის თანავარსკვლავედში რამე მოზრდილი ეტლი ხო არ შევიდა? — გადაუქირქილა ახალბედა ასტროლოგს ნოდარმა. თუმცა სკაბრეზის გადათამაშების მისეულ მცდელობას კომეტის ბედი ეწია.

— მაცალე! თანავარსკვლავედი არ ვიცი, მაგრამ... იცი, რას შვრებოდა?.. იქ, ნარდში... რაც თქვა, გააგორა! ერთი არ ააცდინა! მე კიდევ — აი! ხვიშტი! რაც ვთქვი, ერთხელ ვერ გავაგორე, ერთხელ! ეგრე არ იყო? — უკვე ეჭვი ჩნდება, რომ თამაშის პერიპეტიები წამითაც არ დავიწყებია ვახოს.

— მართლა?

— თვითონ თქვას! რასაც ამბობდი, არ აგორებდი?

— ნუ, დაახლოებით. თუმცა უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა: იმას ვამბობდი, რასაც ვაგორებდი.

— მოიცა, კაცო, ნუ აურიე... რო გააგორებდი და მერე ამბობდი კი არა... მე გეუბნები, ჯერ რო ამბობდი — ჩარი-დუ... თუ რაც იყო, და მერე ზუსტად იმას რო აგორებდი!

— ჰო, მაგრამ იმას ვამბობდი, რასაც მერე გავაგორებდი.

— რანაირად? რასაც ამბობდი, იმას აგორებდი!

— გიხსნი: იმიტომ კი არ ვაგორებდი ჩარს, ან დუს, რომ მანამდე ჩარი ან დუ მქონდა ნათქვამი... იმიტომ ვამბობდი ჩარს ან დუს, რომ მერე ჩარი ან დუ უნდა გაგორებულიყო!..

— ეუჰ! გრამატიკის გაკვეთილს ნუ ჩამატარებინებ ახლა! ზმნის დროებთან მიმართებაში სერიოზული პრობლემა გაქვს! მაგრამ დღეს არ მცალია — შემოდგომაზე შემოიარე!

— კარგი, შემოვივლი, — ღვინის ამბავი თუ იყო, თორემ ან ამდენი ხნით როდის გაჯიუტებულა კოტე.

— ჰოდა, შენს იღბალს გაუმარჯოს! იმ იღბალს ვენაცვალე, რომელიც შენნაირ ჯიგრიან კაცს... მიუხედავად იმისა, რო დროები და ზმნები ცოტათი გერევა... გვერდში უდგას და თავს არ ანებებს!

— გაუმარჯოს!

მოკლედ, ტყუილად შევშფოთდით: სუფრის მდინარება სიყვარულის კალაპოტში ჩაბრუნდა და ზუსტად ისეთი ხვევნა-კოცნითაც დამთავრდა, კარგად გამომთვრალ ექსთანაკლასელებს რომ ეკადრებოდათ. ალბათ მეორე დღეს ნაბახუსევსაც დაამარცხებდნენ, და საერთოდ, ჩვეულებრივად გააგრძელებდნენ ცხოვრებას: ვახო — ვახოსებურად და კოტე — კოტესებურად. ნოდარიც — ალბათ, ნოდარისებურად — იმას რაღა შეცვლიდა.

რაღა დროს ამათი შეცვლა იყო.

მიხო მოსულიშვილი

დილარგეთ...

ისევ და ისევ გელით, დილარგეთ,
გამქრალ პოემით სარგის თმოგველის*...
თუკი ამჯერად მაინც ვივარგებთ,
თუმცა ამაოდ ისევ მოგელით...

თუკი მისაგებს ყველას მივაგებთ,
გაცხადდეს რათა სიბრძნე მოგვების...
არ ვთქვათ, რომ თითქოს აღარ გვიმართლებს
და არც სამყაროს კრუნჩხავს ბორგვები.

ვძლიოთ შურსა და ვუმტროთ სიხარბეს,
რითაც სატანის მიზანს ვშორდებით.
მტერიც კი, ყველა უნდა გვიყვარდეს,
რომლისაც გინდა იყოს ორდენით...

ქუდი ჭერსა ვკრათ მერე დილამდე,
მაინც სიკვდილი ყველას მოგველის.
ვადიდოთ კვლავაც ქვეყნად სინათლე,
მტერი ბნელის და უფლის მორბედი.

სხვარიგად რადგან ვერც ვინ იხარებს,
ღმერთს არ სასოობს მარად რომელიც...
ისევ და ისევ გელით, დილარგეთ,
გამქრალ პოემით სარგის თმოგველის...

* სარგის თმოგველი — XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი, ვარამ მხარგრძელის ძე. სარგის თმოგველს ეკუთვნის რომანტიკულ-სათავგადასავლო პოემა „დილარგეთიანი“ („დილარიანი“), რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მასვე მიეწერება XI საუკუნის სპარსული პოემის „ვის ო რამინის“ პროზაული ქართული თარგმანი „ვისრამიანი“.

მე ვარ ზამთარი...

„და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!“
ნიკოლოზ ბარათაშვილი

მე ვარ ზამთარი,
მე ვარ ზამთარი, —
თეთრი აფთარი,
დარდით ნათალი.

მიტოვებული
მე ვარ საყდარი...
შენი მძივი ვარ,
ყელზე ამწყდარი.

ცრემლი ვარ, ცრემლი —
შენს თვალს მომდგარი...
შენი წყენა ვარ,
მარცხი ყომრალი.

მე სიტყვები ვარ,
მიზანს ამცდარი...
თოვლი ვარ, ყინვა —
სუსხით რაც არი.

სანამ სიცივეს
ტყვიად დამახლი,
მერე დამფლავ
და ნაბუქს დამაყრი...

ვიდრე გასარყულს
შენგან გათვალვით,
მიჭირისუფლებს
ყორნის ღავღავი...

როგორც კაპრალი, —
კოჭლი, საპყარი
და მაგ უძირო
სულის ნაპრალი —

მე ვარ ზამთარი,
მე ვარ ზამთარი...

ჭორის მოძრავი ჭური

დაკარგულია ნდობა,
გატეხილია გული
და დაპირებულ ნობათს
ისიც შორი-შორს უვლის.
აღარ ვახსენებ მოსვლას,
თუნდ მდევდეს ბედი, კრული.
აღარ დამაცდის კოცნას
ჭორის მოძრავი ჭური.
გულს ამოვატან ოხვრას,
სად დამენია შური
და მაინც, შენ თუ მოხვალ,
აღარ ვიქნები ჭმუნვით.

სხვაგან მიყავხარ...

არ მოგიბრუნდეს არასდროს ენა
და არასოდეს არ თქვა: „მიყვარხარ!“,
რადგან ამ სიტყვას ყოველთვის, ყველგან,
და უსასრულოდ — სხვაგან მიყავხარ!..

და სადაც მიხვალ, უნდა გახსოვდეს —
იქ ევაა და სამოთხის სევდა...
ჰოდა, იცოდე: ევას გარეშე
არაფერი ხარ, რაც გინდა გეთქვა.

თუნდაც ვერ გეთქვა...
ევას გარეშე,
არც იქნებოდი არასდროს არვინ...
ვერსად გაექცე იმის ფარეშებს,
სულ თან რომ გდევენ ბრკიალით ქარვის...
არ მოგიბრუნდეს არასდროს ენა
და არასოდეს არ თქვა: „მიყვარხარ!“
რადგან ამ სიტყვას ყოველთვის, ყველგან,
და უსასრულოდ — სხვაგან მიყავხარ!..

ბორჯომულა

რა კარგი ჰაერია,
თუ გზა არ აგერია...
თითოც ჩაურტყი და
შენთვის ხეტიალობ.

სევდად გაფენია
ნისლის კამელია...
სულშიც ბორჯომულა
ჩქერ-ჩქერ რეტიანობს.

რა კარგი ჰაერია,
თუ გზა არ აგერია...
კაიც მოწიე და
მარტო ხეტიალობ.

აგედევნები ცხად და ცხად

აგედევნები ცხად და ცხად
მუდამ სიზმრებში მავალს.
სიზმრები არის სხვადასხვა,
გავცქერ და ბოლო არ აქვს.

ცხადიდან სიზმრებს გავხედავ, —
ესეც ზმანება არის...
კუდს დაიყოლებს მახეთა
სიზმრად მავალი ქალი.

მე ვერ მიგიხვდი ზრახვათა,
ფიქრსაც დეზი ვკრა, მტარვალს...
თუ ვინ მოგივალს ნახვად და,
მოვალს და ჩემებრ წარვალს...

თორღვა ძაგანი. მუცო. ქარაფები

მუცოს თავს თორღვაის ცრემლი
მკვდრის მზესავით რომ ჰყუდია,
პატრონს თავისას მიელის,
შუქად ტკივილი უნთია.

ეგ მზე რას შველის, მითხარი,
შენი დარდების ქარაფებს,
მაგათაც ჟამთა მკითხავი
წაიღებს, გააარაფრებს.

მუცოს თავს თორღვაის ცრემლი
მკვდრის მზესავით რომ ჰყუდია...

აჰასფერის სინდრომი

„რა საჭიროა, რომ შემიბრალო?
თუ ტირილია, — შენი თავი იტირე მხოლოდ“.
რიუნოსკე აკუტაგავა

მინდა, არაფერი იწყებოდეს
და არ მთავრდებოდეს არაფერი,
სანამ შენს ცრემლებად ვიქცეოდე
ზეცით დაწყევლილი აჰასფერი.

ვიცი, ჩემამდეც რომ გიცხოვრია,
თითქოს აღარავის აღარც ელი...
ცოდვით ხომ — ზოგი თუ ცის სწორია,
იმ ცის იქითაა აჰასფერი.

შენსკენ რაც კი გზა და სავალია,
ჩემი ფეხითაა დანასერი.
მოვალ, ჩემს თავზედაც დაბალი ვარ
დარდად დარჩენილი აჰასფერი.

ვნატრობ, შენს ღიმილებს შევეფარო,
ჩემიც რომ ვიპოვო საფარველი...
ისევ შენთან მოვალ, ისევ წავალ
თავგზააბნეული აჰასფერი.

მინდა, არაფერი იწყებოდეს
და არ მთავრდებოდეს არაფერი,
სანამ შენს ცრემლებად ვიქცეოდე
ზეცით დაწყევლილი აჰასფერი.

სიჩუმეს ვხედავ...

მოდი, პაუზა ანაცვალე
უნიჭო ფაფხურს.
ნუ დაიდარდებ სამუდამოდ
დაკარგულ ზაფხულს...

ხედავ სიჩუმეს, მომავლისკენ
დაეძებ წარსულს...
და დავიწყება ამ ცრუ სოფლად
არაფრის არ გსურს.

ბარდაბარი ვართ ჟამისა...

„ერთი წელი და ათასი
ბარდაბარია ჟამისა“.
ვაჟა-ფშაველა

ჟამ მუალის და წავალის
ყველა ჩვენგანის კარზედა...
მოვა, სიცოცხლეს წაიღებს,
ჩამაირიგებს ჯარზედა.

სულელი ვართ თუ ბრძენია,
ან ჭკუისა ვართ, თავისა, —
ყველას იმის შუქ გვფენია, —
ბარდაბარი ვართ ჟამისა.

მწვერვალებისკე ვიარდეთ,
უფლის ნისლი რო ჰხვივისა...
მე გზად პირიმზეს ვინატრებ,
მეტყვის, — სიცოცხლე მიჰქრისა...

მოსულა?

ავტოკაფია

„რაკი „მოსულამ“ თქვა, ესე იგი, მოსულა“.
ლელა გაბური

რაც „მოსულამ“ თქვა, მოსულა...
რაც არ მოსულა, წასულა...
კისერიმც მოუტეხავსა,
შავი არი და ავსულა,
მაგის ამყოლის ჭკუაცა
გაპარულ-გადანავსულა.

ENTRÉE!

ჰორიზონტისკენ წვალება მიგაქვს
და თანაც წარსულს უბარებ — „ანტრე!..*“
აუხდენელი ნატვრების იგავს —
უკითხავ სარკეს უხილავ მანტრებს...

ხმა სინათლეა, უხმოდ ბინდდება,
სიბრიყვე მალვით მოჰყავთ სურვილთა...
რა იქნებოდა, უჭკო მიდეგავ,
შენც ყოფილიყავ ქოსატყუილა.

მოსდექ და ვარსკვლავთ ჟიკჟიკი თვალე.
უსმინე შორით ბულბულს, იადონს...
მკვლელის ბებუთი — ნამგალა მთვარე —
პოეტთა ხათრით ყალბად კიაფობს.

ჰორიზონტისკენ წვალება მიგაქვს
და თანაც წარსულს უბარებ — „ანტრე!..“
აუხდენელი ნატვრების იგავს —
უხილავ სარკეს უკითხავ მანტრებს...

* ანტრე — ფრანგულად entrée; ცირკში: კლოუნის ნომერი — კომედიური სცენა (ლაპარაკი ან პანტომიმა); ბალეტში: ერთი ან რამდენიმე შემსრულებლის გამოსვლა ცეკვით.

„მთვარის სონატის“ მთვარევ

შენ გადაგიშლი ფარჩად
ამ მთვრალ სიცოცხლეს, კარგო.
შენმა თვალებმა დამწვა,
სველი ტუჩების ჯადომ.

მხოლოდ შენთვის მაქვს გული.
მე მთვარის გაღმა ვსახლობ.
თავი ანებე წუხილს,
იყავი ჩემთან ახლოს.

მთვარის გამოღმა გხედავ,
ეულად შთენილ ტივად...
ეჰ, ჩემო ერთადერთავ,
შენი დარდები მტკივა.

შენ მოგინატრებ ახლაც
და ღამესავით დაგლევ...
მოვალ და აღარ წავალ,
„მთვარის სონატის“ მთვარევ.

ქალაქი ცაში

ბაქოს ქარვასლებს ჩაუნავარდებს
კასპიის ქარი...
მთაზე ქალაქი, ზღვაზე ქალაქი
და მიწისქვეშაც ქალაქი არი.

შენი აივნით ქალი მიღიმის —
მიელვებს თვალებს...
ბარემ მომკალი, როგორც ხოცავდნენ
ძველ ასასინებს, ჰაშიშით მთვრალებს.

ბაქოს ქარვასლებს ჩაუნავარდებს
კასპიის ქარი...
მთაზე ქალაქი, ზღვაზე ქალაქი
და ზეცაშიაც ქალაქი არი...

ინანასადმი

ჩემო ცისქალო,
მითხარი ჩქარა,
სადა ხარ, სადა?

მე შენ გენუკვი,
გულით გატარებ,
მიყვარხარ სულით.

ვინა ხარ, რა ხარ?
სიდან მოსულხარ,
საით მიდიხარ?

შენ ლურჯი ცა ხარ,
მიწყივ კამკამა,
თანაც უღრუბლო.

მღელვარე ზღვა ხარ,
ბობოქარი და
თეთრქაფიანი.

თვითონ მიწა ხარ,
ნოყიერი და
მარადიული.

ჩემო ცისქალო,
უნდა იჩქარო,
დარდად მაჩნიხარ.

ცეცხლებრ ანთიხარ,
როგორ ანათებ,
მუდამ ამანთებ.

თმა ხორბლისფერი
გიბრწყინავს ისე,
ვით მზის სხივები.

გთხოვ, მიგალობე,
რომ მიხაროდეს
შენი ხილვები.

მე გეაჯები,
ერთი ღარიბი,
კაცი ყარიბი.

შენ ჩემში ჩანხარ,
ათასი ხმა ხარ,
მზისებრ ანათებ...

დაგაღალატებ?
ო, არა, არა!
მე გულით მწამხარ...

ჩემო ცისქალო,
მითხარი ჩქარა,
სადა ხარ, სადა?

აქანებულ-დაქანებულ
ზღვაში...
თუმც წინაშე თვალთა კლიოს,
ვისაც როგორ უნდა, მკილოს,
ვიდრე ტალღა ქვიშით აღგვის,
დავასწრებ და ჩემს დაწერილს
მე თავადვე სამუდამოდ
წავშლი...

და შენ, შორეთს დაკარგული,
როგორც მარჯვე კალამბური,
ლურჯი ცრემლით დაქარგული,
მიუწვდომლად ქარაგმული,
როგორც ჟამი გარდასული,
არასრული დასასრულით —
მონატრებით დალამბული
ჩანხარ, როგორც სასწაული,
ღიმილ-ღიმილ,
ნისლის თავშლით,
მარდი...

და ზღვა, როგორც ქართა ქალი,
ვით მედეა ქარდაქარი,
ვით მრისხანე ქარიშხალი,
ვერსად რომ ვერ გაასწარი,
დიდ ზვირთებად მოვარდება,
რაღაც უცხო მოლანდებად,
პითაგორას მონადებად,
ანდა როგორც მონატრებად
დაკარგული ღიმილის და
დარდის...

ქუჩის აკორდეონისტი ჰოლბაინსტეგზე*

თან დამდევდა განშორების ელდა,
არც არაფრის იყო ქვეყნად ფარდი...
ციდან ელვა დარდებს მეხად ჭექდა...
ნეტავ იმ დროს, როცა გვერდით მყავდი...

ახლა ვეღარც შენზე ფიქრებს ვბედავ...
მდინარიდან მიხმობს ჩემი ლანდი,
თან რომ გავყვე სამუდამოდ, ნეტავ, —
გაიხსენებ, როგორ შორით მკლავდი?..

...წადი, წადი, დარდს უგანე, მდევარს,
გახდი ქუჩის მუსიკოსი, ნაღდი,
აკორდეონს ათქმევინე: „მე ვარ...
ნატვრად დამრჩი, ვერასოდეს ახდი“...

„ლიბერტანგო“ გამვლელებში ღელავს
და „ჩარდაშიც“ გულსაკლავებს აშლის...
რომ აღმოჩნდეს, აის ქალი შენ ხარ,
შორიდან რომ მაჯილდოებს ტაშით...

რას დავეძებ, ტაშია თუ სტვენა,
სულში ისევ ის ცრემლები ჩამდის.
მაინც დავრჩი სამუდამოდ შენად,
ისევ მწამხარ — მიწიდან და ცამდის...

თან დამდევდა განშორების ელდა,
არც არაფრის იყო ქვეყნად ფარდი...
ციდან ელვა დარდებს მეხად ჭექდა...
ნეტავ იმ დროს, როცა გვერდით მყავდი...

* ჰოლბაინსტეგი – გერმანულად — Der Holbeinsteg — საფეხმავლო დაკიდებული ხიდი მაინის ფრანკფურტში მდინარე მაინზე.

ნულარ მომაგონებ

ნულარ მომაგონებ, როგორც იყო,
ან რაც იქნება და რაც არი...
თურმე, ყველაფერი ფერფლია
და, სანამ გაქრებოდეს, ნაცარი.

ვარდებიც ამაოდ ნაცადია
ტრფობის ხომალდების ვერფიდან...
ირგვლივ ყველაფერი ნაცარი
და, სანამ გაქრებოდეს, ფერფლია.

დაკარგული ზღვის მონატრება

და ზღვა, როგორც ქართა ქალი,
ვით მედეა ქარდაქარი,
ვით მრისხანე ქარიშხალი,
ვერსად რომ ვერ გაასწარი,
დიდ ზვირთებად მოვარდება,
რაღაც უცხო მოლანდებად,
პითაგორას მონადებად,
ანდა როგორც მონატრებად
დაკარგული ღიმილის და
დარდის...

გაიხსენებ ვიდრე იობს,
დაინახავ ზეცის ღიობს,
როგორც უფლის ფერად მინდორს,
ძირს ჩამოსულს განრისხებულ,

სანამ დასავალს მიმცემ...

მიქაელ მოდრეკილის სავედრებელი

ფიქრი ქარებმა წაიღონ,
ცრემლი აქ დარჩეს მიწას.
თავად განსაზღვრე, სად იყოს
მკრთალი ღიმილი იმწამს...
წამოვალ, დარდებს გამოვდევ,
დამწვარ სურვილთა კვამლად.
სიცოცხლეს, ვალად ნაბოძებს,
სულ გამომიბრი, ალბათ.
გთხოვ, შემიწყალო მოსული
შენი აღსავლის კართან,
თუნდაც ვნატრობდე, რომ სული
მალე აღმომხდეს მართლა.
მოვალ და გეტყვი, — უფალო,
აღსავლის კართან მოველ.
ვერც მე ვიცხოვრე უნაკლოდ,
ბევრიც ვეცრუე სოფელს.
აღარც რა დარდი მედრება,
ვეღარც სად ვილტვი ცისკენ...
გთხოვ, შემისმინო ვედრება
სანამ დასავალს მიმცემ...

შენ ხომ ვერც ვერვინ გედრება,
გულიც ხომ შენგნით გვიცემს...

გთხოვ, შემისმინო ვედრება...
გთხოვ, შემისმინო ვედრება...
სანამ დასავალს მიმცემ...

დასასრული

3.

ვასიკო იმ დღეს სახლში გვიან და კარგ ხასიათზე დაბრუნდა.

გვიან იმიტომ დაბრუნდა, რომ ხელფასი აიღო და ეს ამბავი სამსახურის მერე პატარა და პრინციპში სასიამოვნო საზოგადოებაში აღნიშნა.

კარგ ხასიათზე კი იმიტომ დაბრუნდა, რომ ხელფასი აიღო, მენეჯერს თვის ბოლოსთვის შვებულებაში გაშვების პირობა გამოსტყუა, ხელფასის აღება სამსახურის მერე პატარა და პრინციპში სასიამოვნო საზოგადოებაში აღნიშნა და ამ დროს მოულოდნელად ანკას გადაეყარა. ჰო, იმას, მოცეკვავეს, თავისი ეროტიკული ოცნებების ლამის მთავარ პერსონაჟს.

მართალია, როგორც გადაეყარა, ისევე გადმოეყარა, მაგრამ ეს რამდენიმე სასიამოვნო დამთხვევა უფრო სასიამოვნო პერსპექტივის ნიშნად მიიღო, მით უფრო, ალკოჰოლურ ფონზე (სიზუსტისთვის აღვნიშნოთ, რომ ალკოჰოლური ფონი ამ სასიამოვნო დამთხვევების ერთ-ერთი შემადგენელიც იყო).

ტელეფონის ნომერი არ გამოურთმევია. ჰქონდა. მხოლოდ დააზუსტა, რომ იმას არ გამოუცვლია.

მამისთვის ანკაზე არაფერი უთქვამს.

— თვის ბოლოს შვებულებაში გავდივარ და ალბათ ზღვაზე წავალ, — მხოლოდ ეს უთხრა დაძინების წინ.

4.

საქმეში ჩახედულები ამბობენ, რომ ერთი სიზმარი სულ რამდენიმე წამს გრძელდება. სავარაუდოდ, იმ ღამით ვასიკოს ასეთი რამდენიმე წამი რამდენჯერმე ჰქონდა — რაკი სიზმარი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, ხან — აქ, ხან — იქ.

ჯერ პლაჟზე იწვნენ ანკა და ვასიკო; ხოლო უფრო ზუსტები და თანმიმდევრულებიც თუ ვიქნებით — ანკა და სიზმრის ვასიკო.

თუმცა ალბათ კიდევ უფრო უნდა დავაზუსტოთ ტერმინები; მაგალითად, ამ სიზმრის ვასიკოს პირობითად ამ სიზმრის ვასიკო დავარქვათ — იმ, მგლებიანი სიზმრის ვასიკოსგან გამოსარჩევად.

ხოლო კიდევ უფრო მკაფიოდ გამიჯვნების მოყვარულებს შეგიძლიათ, ყურადღება ამ სიზმრის და იმ სიზმრის ვასიკოების განსხვავებულ სამოსსაც მიაქციოთ. ბოლოს და ბოლოს, ახალ სიზმარში კაცი ზღვაზე ისვენებს და წესით, მგლების წინ მორბენალი ვასიკოსავით არ უნდა ეცვას.

იმის საგანგებოდ აღნიშვნა კი ალბათ არ გვჭირდება, ამ სიზმარში ანკაც (სხვა — მომავალში გამოჩენილი პერსონაჟებისა არ იყოს) რომ სიზმრისაა და არა — ნამდვილი. თანამედროვე მწირი ტექნოლოგიების გადამკიდე, ვასიკოს სიზმარში ნამდვილი ანკა, აბა, რანაირად მოხვდებოდა?

და საერთოდ, ნუღარ ვისარგებლებთ ბოროტად ამ სიზმრის ვასიკოს მოთმინებით, პლაჟზე სანატრელი გოგოს გვერდით რომ გაშხლართულა და ვეღარ გაარჩევ, მზით უფრო იწვის თუ — სურვილით. ის კი ეტყობა, ბოლომდე დადაგვას რომ არ აპირებს — მარჯვენა ხელის მტევანს ისე ააყოლ-ჩამოაყოლებს ზურგზე და ცოტა უფრო ქვევითაც. რაც მთავარია, ანკას შემოცინება იმას ნიშნავს, რომ სწორადაც იქცევა.

„დათრეული მყავს“ — ფიქრობს ამ სიზმრის ვასიკო.

თუმცა ვასიკოს არ მოსწონს მწერლების მიერ პერსონაჟთა ფიქრების ასე სიტყვასიტყვით გადმოცემა; განსაკუთრებით იმ ფიქრებისა, რომლებიც სიზმარშია გაფიქრებული. ვასიკოს აზრით, გამფიქრებელი ამ დროს, სიტყვებით კი არა, შეგრძნებებით ფიქრობს. ანუ, ვასიკოს თეორიას თუ ვენდობით, ამ სიზმრის ვასიკომ, ანკა დათრეული მყავსო, კი არ გაიფიქრა, იგრძნო.

ამრეზით ნებისმიერ შემთხვევაში შეგვიძლია, ასე ავემრიზოთ: ოჰ! გამოგვივიდა სიზმრების მაჩო!

ჯერ თუ არ გამოგვსვლია და, ამის შანსზე კი უკვე მიგვანიშნებს ანკას გვერდით ეკას და კატოს უეცარი აღმოცენება.

ეგენი ვინღა არიან? კარგი კითხვაა. ვასიკოს ისინი ცხოვრებაში არასდროს უნახავს, თუმცა ამ სიზმრის ვასიკო დარწმუნებულია, რომ ანკასთან ერთად ცეკვავენ („სტუდიაში“); ეგ კი არა — კაცმა არ იცის, როდის, მაგრამ — ამ სიზმრის ვასიკოს კატო-ეკასთან გაშინაურებაც მოუსწრია და ორივეს ერთად კარტოთეკას ეძახის.

სიზმარს ავანსის გაცემა არ უჭირს, თუმცა ეტყობა, გაშინაურების ამსახველი რამე საბუთის პოსტფაქტუმ წარდგენა მაინც გაუხარდებოდა. ყოველ შემთხვევაში, გოგოები და ამ სიზმრის ვასიკო უკვე ღია კაფეში სხედან და ისე უაზროდ ღლიცინებენ, ცხადის ენაზე რომ ვერაფერი გადმოითარგმნება, ორ-სამჯერ უადგილოდ წამოსროლილ „კარტოთეკას“ თუ არ ჩავთვლით.

ყველაფრის მიუხედავად, ეკა და კატო მაინც ნაძალადევად — იმ მოსაზრების მხარდასაჭერად გამოგონილ პერსონაჟებს ჰგვანან, კაცის გული რომ ისეთია, ვით მოლობს ის და წამოხტება — პრინციპში, აღარაფრიდან.

— აბაა. როდის გაგიკეთებია შენ ეგ, — უგულისყუროდ ჰკბენს ეკა.

— რა, გოგო, თქვენი თანდასწრებით და პარტნიორის გარეშეე?! — რამდენიმე განმასხვავებელ დეტალზე მიანიშნებს ანკა.

— და ის რა იქნა? — მიიხედ-მოიხედავს კატო.

— რა ვიცი, ჯანდაბა იმას! — ოჯახის ქალივით იწყევლება ანკა.

— წყალში ხო არ გადავარდა? — მსუბუქად ინტერესდება ეკა.

— რანაირად. ეგრე ხო ჯერ მე გადავარდებოდი?! — უხსნის ანკა.

— ყველა კაცი ერთნაირია, რაა, — რატომღაც ასკვნის კატო.

— ეგ მაშინ უნდა გეთქვა, საქმე რომ მოეთავებინა და მერე გამქრალიყო, — არ ეთანხმება ანკა.

— ოღონდ შენ დაწყნარდი და აღარაფერს ვიტყვით, — ერთად უყვავებს კარტოთეკა.

— ნერვებს მიშლით! — ნერვები ეშლება ანკას.

— არსად წამოსაყვანები ჩვენ არა ვართ, — პათოსს უგრძელებს კატო.

— რა ვიცი, ნეტა რას წამოგვიყვანე, — ეკაც.

— სად მივდიოდით, ახსოვს ვინმეს? — შუბლზე ცალი ნაოჭი უჩნდება ანკას.

ეკა: — არა.

კატო: — არავის.

ანკა: — თავი სიზმარში მგონია!

კატო: — აუ, მეეც.

ეკა: — უი, მეეც.

ანკა: — ოო, მორჩით. ისე ვთქვი.

კარტოთეკა: — აა.

კატო: — ისე, მაინც რო ვიპწკინოთ?

ეკა: — რატო?

კატო: — მასე არკვევენ, სიზმარია თუ ცხადი.

ეკა: — რანაირად?

კატო: — რა რანაირად, თუ სიზმარია, გეტკინება და გაგეღვიძება... მოიცა, თუ პირიქით...

ანკა: — პირიქით რა — დაგეძინება?

კატო: — არა, ჰო, გაგეღვიძება, ესე იგი.

ეკა: — მერე, ცხადი რო იყოს და დამილურჯდეს?

ანკა: — აუუუ!

ექო: — აუუუ!

ანკა: — რა გაყმუვლებთ?

კარტოთეკა: — ჩვენ არ ვყმუით.

ანკა: — აბა, ვინ ყმუის, მგელი?

ეკა: — აქ მგელს რა უნდა.

კატო: — აქ ჭადარსაც რა უნდა, მაგრამ კი აყლარწულა ამხელა.

ანკა: — აქ ჩვენც რა გვინდა, მაგრამ კი ვართ.

ეკა: — და — რატო?

ანკა: — რა ვიცი, შეიძლება მართლა სიზმარია... ოღონდ იმას გაეღვიძა.

ეკა: — ვის?

ანკა: — ვისაც ვესიზმრებოდით.

კატო: — ისე ამბობს.

ეკა: — ისე თქვი, ხო?

ანკა: — *(იჯღანება)* არაა, სერიოზულად.

ეკა: — და როგორ ატყობ, დაბრუნდება?

— ტყულად არ უნდა ვიყოთ, შენ — ხვადი, მე — ძუ... რას იტყვი?

— მოიცა ერთი... ამ მშიერ კუჭზე... ნსუ...

— ჰმ... ნსუ...

6.

ახლა რომ ვთქვათ, ანკას ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამოეცალაო, მთლად ზუსტები არ ვიქნებით, მაგრამ მოვლენის არსზე კი მივანიშნებთ და თან ბირჟავიკულ უხამსობამდეც არ დავეცემით. კარგსაც ვიზამთ — ანკა ხომ უამისოდაც განცდებშია:

— ვაიმე, რას ვაკეთეეებ?! — კითხულობს ის და ეკა.

— ეეე

გიორგი ლორთქიფანიძე

ბოლო

მაღვიძარამ გააღვიძა. დილის შვიდი საათი იყო.

ყოველთვის შვიდზე იღვიძებდა. ფეხზე წამოდგა, ოდნავ გაიზმორა და ფანჯარაში გაიხედა. მეშვიდე სართულიდან, როგორც ყოველთვის, მთაწმინდის ღამაზი ხედი იშლებოდა. შემოდგომის დილა მზიანი და მშვიდი იყო, სუნთქვა კი უკვე ცოტა ჭირდა. აბაზანაში პირის დასაბანად რომ შევიდა, შეამჩნია, ონკანში წყალი ჩვეულებრივზე სუსტად მოჩხრიალებდა, თუმცა დასაბანად მაინც ეყო.

დღე, როგორც ყოველთვის, ყავითა და კრუასანით იწყებოდა — ოჯახის ასწლოვანი ტრადიცია. კრუასანი გუშინდელია, ცოტა შემხმარი — იცოდა, რომ ახალს დღეს ველარსად შეიძენდა და საგანგებოდ შემოინახა. თუმცა ამას არაუშავს, აი, ჩაიდანს კი ადუღება უნდა. გაზქურასთან ასანთი დიდი იმედის გარეშე მიიტანა და, მისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ გაზი მილში ჯერ არ გამოლეულა. მაშინვე ნახევრამდე შეავსო წყლით რკინის ძველი, მამაპაპური, ჩაიდანი და ცისფრად ალაპლაპებულ დაბალ ცეცხლზე შედგა.

ჰო, ოჯახური ტრადიცია... კიდევ კარგი, მთელი ოჯახი — დიდიან-პატარიანა — უკვე გახიზნულია. სამაგიეროდ, ახლა მარტოა და მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნის.

თხუთმეტიოდე წუთში მოათავა საუზმე, ქურთუკი მოიცვა, კარი გაიხურა, სადარბაზოში გავიდა და ლიფტი გამოიძახა, მაგრამ აღარ გაუმართლა, ლიფტი უკვე გამორთული დახვდა, ამიტომ დაბლა კიბით მოუწია ჩასვლა. ქუჩაში გასულმა ირგვლივ მიმოიხედა და ნელა გაუყვა ნონას ბაღისკენ მიმავალ გზას. ჯერ კიდევ გუშინ მანქანებით სავსე ქუჩა ახლა თითქმის ცარიელი იყო, სამადლოდ თითო-ოროლა თუ გამოჩნდებოდა და უცებ მიეფარებოდა თვალს, აქა-იქ მხოლოდ კანტი-კუნტად მიმავალი გამვლელებიღა ხვდებოდნენ გზაში. ეტყობოდათ, ძალიან ჩქარობდნენ და სისწრაფეში მხოლოდ ფეხქვეშ იყურებოდნენ — ყოველ შემთხვევაში, მისთვის ნატამალი ყურადღება არავის მიუქცევია, ერთი მყისიერი მზერაც კი არ გაუმეტებიათ... ოდნავ შეშურდა კიდეც მათი, ოღონდ წამიერად — შურის ნიავმა ელვასავით სწრაფად ჩაუქროლა და გაქრა.

აი, ნონას ბაღიც. ჯერ კიდევ გუშინ... არა, გუშინ ვეღარ, მაგრამ გუშინწინ ხომ მაინც მოასწრო აქეთ შემოსეირნება და საპენსიო ასაკის მოპაექრე მოჭადრაკეთა რაზმისთვის — უკვე გვარიანად შეთხელებულისთვის — თვალის გადავლება. თავად თითქმის აღარ თამაშობდა, დაბერებული ნერვები აქტიური თამაშის დაძაბულობას ვეღარ უძლებდნენ, მაგრამ სხვების საცქერლად — მაგალითად, ისეთებისა, როგორიც მისი ძველისძველი ნაცნობი და პარტნიორი ბონდო სხირტლაძეა — ჯერ კიდევ ჰყოფნიდა სურვილიც და ჯანიც. ისე, ვეღარც მასზე ათიოდე წლით უმცროსი ბონდო, რომელიც ოდესღაც ძლიერი ოსტატი და ლამაზი კომბინაციების ავტორი იყო და დღესაც უჩქეფს და უჩუხჩუხებს საჭადრაკო სისხლი ძარღვში, ვეღარ უძლებს დაძაბულობას მსუბუქ პარტიებშიც კი, ხშირად მარცხდება თავისზე სუსტ მოთამაშეებთან... აი, გუშინწინაც ასე მოხდა. ბონდომ მეტოქეს უკეთეს პოზიციაში ეტლი დაუსვა, სვლის უკან დაბრუნება აღარ იკადრა, მძიმედ და ხვნეშა-ხვნეშით წამოდგა, რიგში მომლოდინეს დაუთმო სკამი და შემდეგ ერთად გაეშურნენ თითო ჭიქა თურქული ყავის შესარგებად იქვე ბაღში მდებარე და თავისი შესანიშნავი ყავით განთქმულ სანსკრიტულ ყავახანაში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ყავახანაც უკვე დახურულა და ჩაბარებია პატრონს, და მამიას არც თუ საუკეთესო ყავით უწიათ დაკმაყოფილება.

იმდენი ხანი კი უცხოვრია დღემდე, რომ ბევრი რამ ახსოვს. სულ ადრე, იმ დავიწყებულ ჟამს, როცა მისი დიდი ბაბუა ამ ბაღში სასეირნოდ დაატარებდა, აქაურობას, თურმე, ვინმე კიროვის სახელი რქმევია... კიროვის ბაღი... ვისღა ახსოვს დღეს, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ის ვიღაც კიროვი? იყო, ალბათ ვიღაც რუსი მწერალი, მეცნიერი ან, სულაც, გამომგონებელი... ამ ბაღში, რაც თავი ახსოვს, მოყვარულები ჭადრაკს ყოველთვის თამაშობდნენ, მისი დიდი ბაბუას დროს მომრგვალებულზურგიან გრძელ სკამებზე მტრედებივით შემომსხდარი მისნაირი პენსიონერები ერკინებოდნენ ერთმანეთს. მერვე კლასში რომ სწავლობდა, მის ცხოვრებაში ორი აღსანიშნავი ამბავი მოხდა: ფიზიკის საქალაქო-სასკოლო ოლიმპიადაში გაიმარჯვა და კიროვის ბაღში ჭადრაკის შესანიშნავი სასახლის გახსნის მოწმე გახდა, ქართული ჭადრაკის ნამდვილი მექა... ხოლო მოგვიანებით, მისი სტუდენტობისა და მოწიფულობის ხანაში, როდესაც ქვეყნის გეზმა მიმართულება იცვალა — ეგ დროც კი ახსოვს — ბაღსაც სახელი შეეცვალა და ერთბაშად ვერეს ბაღად გარდაიქმნა. კარგა ხანი ასე ეწოდებოდა, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, ეს სახელიც ჩამოსცილდა და ნონას ბაღი გახდა. ნონა ვინც იყო, ეგ საქართველოში ყველამ იცოდა — მსოფლიოს სახელოვანი ჩემპიონი ქალთა შორის... და შერჩა და შერჩა ეს სახელი სამარადჟამოდ.

დღეს კი ფეხებმა ავტომატურად მიიყვანეს ჭადრაკის სასახლესთან და, თუმცა ხვდებოდა, რომ შენობა ცარიელია და შიგნით არავინაა, მაინც ეცადა შესვლას. მაგრამ შუშის კარი დაკეტილი დახვდა და ირგვლივაც ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. სხვა რა გზა იყო, შეტრიალდა და... უცებ დალანდა ბონდო, რომელიც თურმე მთელი ეს წუთები კვალში მიყვებოდა.

— რა იყო, მითვალთვალებდი თუ ჭადრაკი მოგენატრა? — ხუმრობით ჰკითხა მან.

— ერთიც და მეორეც. რაო, დაკეტეს?

— ხო, არავინ ჩანს... რას შვები, როგორა ხარ? უკვე წასული მეგონე.

— ორ საათზე გვაქვს ჯგუფის შეკრება ზემელზე, აი, „ხინკლის სახლი“ რომ იყო, იმის პირდაპირ, ყოფილ აკადემიასთან. ავტობუსებსაც იქ მიაყენებენ... ჯერ თერთმეტიც კი არაა და ცოტას გავისეირნებ-მეთქი. შენსავით.

— და საითაა თქვენი გზა?

— ჯერ აეროპორტში, მერე კი ბილეთის მიხედვით — კალიფსოზე.

— იუპიტერისკენ? მაშ საქართველო ისევ დაიჩაგრა? ჩვენს ისტორიაში ყოველთვის ასე იყო: ვისთვის მურვან-ყრუ, ვისთვის ნაპოლეონი, ვისთვის ატლანტიკა, ვისთვის შავი ზღვა, ვისთვის ევროპა, ვისთვის შუამდინარეთი, ვისთვის მარსის ბაღები, ვისთვის იუპიტერის ყინულოვანი თანამგზავრები. მეტი ვეღარ გაიმეტეს ჩვენთვის ამ ახვრებმა, არა?

პასუხის ნაცვლად ბონდომ მხოლოდ აიჩეჩა მხრები.

მეშვიდე სართულის ბინადარმა თავის ძველებურ მექანიკურ მაჯის საათს დახედა, ისრები მართლაც თერთმეტს უახლოვდებოდა. რა-რა და დრო კი მართლაც უამრავი ჰქონდა წინ. განუზომლად დიდი. მარადისობის სადარი.

— ეჰ, რაც ზემელზე ხინკალი მიჭამია და ლუდი დამიყოლეგია... კაი დრო იყო, ბონდო, არა? გვიცხოვრია ხომ ჩვენც, თურმე?

— ამას კი ჯობდა... ყველაფერი ღვთის ნებაა. სხვათაშორის, მამიას ყავახანა ჯერ, მგონი, მუშაობს. აქეთ რომ გამოვიარე, მამია დავინახე, ფუსფუსებდა თავის კაფეში.... სანსკრიტიც დაკეტილია და ვერიჩკასიც... ვცადოთ მამიასთან ბედი?

— ჰო, აბა, სხვა რა დაგვრჩენია? ისე, ვერიჩკას ხუთლარიანი კი სჯობს, მაგრამ... წამო, წამო, სანამ ეგეც არ წასულა. დღეს თურქულზე მე გპატიჟებ!

ხუთიოდე წუთში მამიას ღია ყავახანაში მაგიდას მიუსხდნენ. ირგვლივ, მამიას გარდა კაციშვილის ჭაჭანება არ ჩანდა. მამიამ ცოტა გაკვირვებით გახედა ძველ კლიენტებს და მორჩილად მიუახლოვდა მათ. შეკვეთა რომ მისცა, ბონდომ დახლისკენ შებრუნებულ მამიას მიაძახა:

— ბიჭო, მამია! დღეს ყველაფერი დაკეტილია და შენ რაღა გეტაკა, ასე რომ გაისარჯე? რომელ საათზე მიფრინავ?

— ოთხზე, ბატონო ჩემო. ოჯახი რა ხანია გავისტუმრე, დღეს კი ჩემი ჯერია.

— მაშ, ჩვენსავით ყოფილხარ, ძველო, — ჩაეცინა მეშვიდე სართულის ბინადარს.

— კი ბატონო. დილით რაღაც ძალამ წამძლია და წამოვედი, ერთხელაც აქაურობას თვალს შევავლებ-მეთქი. კიდევ კარგი, თქვენ მაინც შემრჩით. თორემ დღეს ერთი ბავშვიც კი არ მოუყვანია დედას ნონას ბაღში.

— რომელი დედა გამოჩნდებოდა დღეს აქ? დედა-შვილების ევაკუაცია კარგა ხანია, რაც დასრულდა. უკანასკნელმა დედამ სამი დღის წინათ დატოვა აქაურობა. ისიც იმიტომ, რომ რაღაც გაუგებრობა ყოფილა ბილეთებში.

— სწორიცაა, ჭეშმარიტი ჯენტლმენობა ეგაა, პენსიონერი კაცი ქალებსა და ბავშვებს ტრანსპორტში ადგილს რომ უთმობს, — ჩაურთო სიტყვა ბონდომ და მას ყლუპიც მიაყოლა, — აგაშენა ღმერთმა, მამია, კაი ცხელი ყავაა... ხომ იცი, დღეს ამ კაცის დაპატიჟებული ვარ.

— არა, დღეს თქვენთვის ყავა უფასოა, — უპასუხა მამიამ, — უკანასკნელი კლიენტები ხართ. თანაც, მალე უნდა დავკეტო აქაურობა და წავიდე. რაღაც პატარა საქმე კიდევ დამრჩა სახლში გასაკეთებელი.

— ნეტავ, ვის უტოვებ ამ შენს საქმეს? — ჩაეცინა ბონდოს, — მაინც ჯერ ძაღლები და ტურები შემოესევიან ამ ქალაქს, მერე მგლები, მერე დათვების ჯერი დადგება და მერე კი დამთავრდება ყველაფერი. ვერ ხედავ, შამათი ჩაგვისვეს...

საათმა სწრაფად გაირბინა. მალე ბონდოც და მამიაც თავ-თავის საქმეებზე წავიდნენ და ის ისევ მარტო დარჩა. ვერ გადაეწყვიტა, სახლში აბრუნებულიყო თუ ვაკისკენ გაეარა, გაეშალა ფეხი.

ხვალიდან ბევრი, ძალიან ბევრი დრო ექნება. და სრული თავისუფლება. მაცივარი კონსერვებით აქვს გამოტენილი, სამზარეულო და აივანი წყლით სავსე ბოთლებითა და ბოცებით, ბორჯომი კიდევ ცალკე, წამლებიც საკმაოზე მეტი აქვს მომარაგებული, და რამდენსაც გაძლებს — გაძლებს. არსად წასვლას არ აპირებს. მართალია, ბონდოს კი უთხრა, რომ სამ საათზე გმირთა მოედანზე უნდა გავიდეს და იქ შეუერთდეს წარჩინებულ პენსიონერთა სპეციალურ ჯგუფს, მაგრამ ეს თავიდან ბოლომდე ტყუილი იყო. მტკნარი სიცრუე და ზედმეტი უხერხული კითხვებისა და რჩევებისგან თავის არიდების ხერხი.

ტყუილი არ უყვარდა, მაგრამ ახლა სხვა გზა არ იყო. ატეხავდა ბონდო ერთ ამბავს, ხვეწნა-მუდარას დაუწყებდა, დააყენებდა თავზე პატრულს... თუ, რა თქმა უნდა, კიდევ ეგულებოდა სადმე პატრული.

ისე, ორმოცდამეთხუთმეტე სკოლასთან რომ მივა, სჯობს, იქ გაუწიოს ანგარიში საკუთარ ართროზიან ფეხებს და ცოტა ხნით შეისვენოს მაინც, წამოჯდეს სადმე, თვალს წყალი დაალევინოს, მერე კი უკან გაბრუნდეს მშობლიურ ვერაზე. ოდესღაც, უხსოვარ დროს, უსწავლია ამ სკოლაში, ოქროს მედალოსანი, მართალია, ვერ გახდა ერთი ატესტატში გამოყოლილი ოთხიანის გამო, არადა, წყენა არასოდეს კვდება — ნამდვილად ეკუთვნოდა ფრიადი იმ უკანასკნელ გამოსაშვებ გამოცდაში, დღესაც კი ჩხვლეტს იმ უსამართლობის გახსენებისას გული, რა იცოდა მაშინ, თუ იმ ოქროს მედალში მისი თანაკლასელისა და ამხანაგის მამას ფული ჰქონია გადახდილი...

ქუჩებში ხეტიალი დღეს, იცოცხლე, კარგია, მაგრამ სახლში, თავის მეშვიდე სართულზე, უმჯობესია, მანამდე აასწროს და ავიდეს, სანამ ჩამობნელდება, თორემ გარე განათებას ამ ქალაქს ამ საღამოს არავინ აღირსებს. არც ამ საღამოს და არც აღარასოდეს. დღეის აქეთ ეს ქალაქი მართლაც მხოლოდ მიტოვებული და შიმშილისგან გამგელებული ძაღლების, კატებისა და სხვა ცხოველების საბოგინო სარბიელი გახდება, ოღონდ მათაც მალე შემოაკლდებათ სასუსნავი და დაიწყებენ ყმუილსა და ღმუილს... ხვალ ალბათ კიდევ გაბედავს და გავა ქუჩაში, იქნებ, ზეგაც მოახერხოს. მერე კი მორჩა, აღარ გარისკავს, უბრალოდ დარჩება სახლში აივნის ამარა სანამდეც გაძლებს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე... მერე კი, ერთი თვის შემდეგ... არა, არ სურს იმაზე გაფიქრება, თუ რა იქნება ერთი თვის შემდეგ — ყველაფერი ნაფიქრალია უკვე, ნაფიქრალი და გადაწყვეტილი.

სამაგიეროდ, ვერც ფანჯრიდან დილის მთაწმინდის მშვენების ხილვას ვერავინ წაართმევს და ვერც აივნიდან გადაშლილი ქალაქის ხიბლს თავისი მოოქროვილი ტაძრებით, უთვალავი ჩამკვდარი ცათამბჯენითა და ჩამავალი მზით. ისევე როგორც, ვერც ძველ რადიომიმღებს თავისი ბატარეებით და ვერც მძლავრ აკუმულატორზე მიერთებულ კომპიუტერს. ხან ერთ აგრეგატს ჩართავს, ხან მეორეს და ასე, ძველი მუსიკალური ჩანაწერებისა და მდუმარე ეთერის თანხლებით, გაატარებს დარჩენილ დღეებსა და ღამეებს — იქნებ სადმე რამემ დაიტკაცანოს... ხომ შესაძლოა, მის გარდა კიდევ ვიღაც დარჩეს, არ გაყვეს იმ დასაქცევ კოსმიურ სივრცეში ამ გასაქცევად გამზადებულ ბრბოს... აქ თუ არა, სხვა კონტინენტზე მაინც.

* * *

ეს ამბავი გახმაურდა და მსოფლიოს მოედო სამი წლის წინათ. სწორედ მაშინ უტყუარად დადგინდა, რომ მაგნიტური პოლუსების მკვეთრი გადაადგილებისა და მზის რადიაციული ქარის გაძლიერების შედეგად, დედამიწა ამიერიდან ყოველთვიურად დაკარგავს საკუთარი ატმოსფერული ჟანგბადის მარაგის ნახევარ პროცენტს, ანუ რაღაც სამ წელიწადში ადამიანის სიცოცხლე დედამიწაზე შეუძლებელი გახდება.

→

გიორგი ლორთქიფანიძე

ბოლო

დასასრული

და მაშინ... მაშინ მოხდა ნამდვილი სასწაული. გარღვევა, რომელსაც სხვა ვითარებაში, შესაძლოა ათასწლეულები დასჭირვებოდა. და ეგეც საკითხავია — მოხდებოდა კი ოდესმე?

დედამიწაზე უცებ, რამდენიმე ცხელთაცხელი კვირის განმავლობაში, შეწყდა ყველა ომი, დადუმდა ყველა ქვემეხი, გაჩერდა ყველა ტანკი, გაუქმდა ნებისმიერი პოლიტიკა, ჯარისკაცები დაითხოვეს და გაუშვეს სახლებში, დატოვეს მხოლოდ ელემენტარული წესრიგის დასამყარებლად აუცილებელი მცირერიცხოვანი ჯგუფები, სამიოდე თვეში გამოირიცხა ეპიდემიები და შიმშილი, სიმდიდრე მეტნაკლებად სამართლიანად გადანაწილდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, თითქმის მოისპო ყველა ადრე არსებული პრივილეგია, და ამ საყოველთაო სასწაულის მიზეზი სულაც არ გახლდათ ადამიანის ბუნების რაღაც უეცარი გაკეთილშობილება. ბოლო-ბოლო, ყველას ყველაფერი ესმოდა და ძლიერთ ამა ქვეყნისა სხვა გამოსავალი აღარ დარჩათ, რადგან მოახლოებული საერთო დაღუპვის წინაშე კაცობრიობის თვითგადარჩენის ინსტინქტი მისსავე უფრო ველურ ინსტინქტებზე ძლიერი აღმოჩნდა. ყველამ ერთბაშად შეიგნო, რომ სიკვდილიც საერთოა, ყველასთვის ითქმის, და სიცოცხლეც, და სიკვდილი უფრო ახლოა. გამონაკლისი აღარ არსებობდა. ასეთ ვითარებაში მსოფლიოს მესვეურებმა მთელი ძალები და სახსრები მხოლოდ მეცნიერებისა და საინჟინრო ტექნოლოგიების უსწრაფეს განვითარებაზე გადაისროლეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

უმოკლეს ვადებში შეიქმნა დედამიწის გიგანტური კოსმოსური ფლოტი, უმძლავრესი კომპიუტერების მეშვეობით აღირიცხა მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში მობინადრე თითოეული ადამიანი — ჩვილებიდან მოხუცებამდე. რაც მთავარია, ელვისებური ტემპით — მიუხედავად თანმდევი ავარიებისა და კატასტროფებისა — აშენდა და აღიჭურვა სათანადო საცხოვრებელი ბაზები და კოლონიები მთვარეზე, მარსზე და სიცოცხლის შესანარჩუნებლად გამოსადეგ იუპიტერის სამ თანამგზავრზე წყლის გიგანტური მარაგებით, რაც ადგილზე ჟანგბადის წარმოების საშუალებას იძლეოდა — კალიფსოზე, იოსა და განიმედზე. ერთი სიტყვით, კაცობრიობას გადარჩენის პერსპექტივა გაუჩნდა — ოღონდ მშობლიური პლანეტის დატოვების ხარჯზე.

და, აი, დათქმული დღეც დადგა. ევაკუაციის განკითხვის დღე. ამ დღეს უკანასკნელი ადამიანები ტოვებდნენ დედამიწას და უკანასკნელი თბილისელები თბილისს. ნონას ბაღიც უჩუმრად ბარდებოდა წარსულის წყვდიადს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველას, თურმე, მაინც არ ეთმობა დილის მთაწმინდა და უკანასკნელი გასეირნება ვერაზე. კონსტიტუცია ამას არ კრძალავდა და ეს მათი თავისუფალი არჩევანი და მათი უფლება იყო. არცაა გასაკვირი, თუ მილიარდობით ადამიანში კომპიუტერებსაც გამოეპარათ რამდენიმე გამონაკლისი... გამოუსწორებელი და ჯიუტი ეგოისტები, ვისთვისაც თვით ფიქრი წარსულთან განშორებაზე იმდენად აუტანელია, რომ ამას სიკვდილი ურჩევნიათ, რამეთუ მათ წარმოდგენაში მათი პირადი წარსული ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების წიაღში ნებისმიერ შობილ უსასრულო მომავალზე მეტია. საკუთარ ოჯახზე მეტიც კი.

და აი, ერთი ასეთი ეგოისტი ოდესღაც, თურმე, ჩვენს ქალაქში, ჩვენს გვერდით, ვერისუბანში აღმართულ თხუთმეტსართულიან კოშკში ცხოვრობდა, მეშვიდე სართულზე. ოთხმილიონიან ქალაქში მხოლოდ ერთი, და ისიც უპატრონოდ და უჰაეროდ დარჩენილი დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე კიდევ რამდენიმე ასეთივე უცნაური სულიერი არსების აღმოჩენის იმედად...

ბოლოკაცები.

ნანა კუცია

პოსტმოდერნისტული „ზღაპრის მორფოლოგია“

ლიტერატურათმცოდნის „პორტირება“ თეორიულ-აკადემიური სივრციდან მხატვრულში, განაზრება-განზოგადებათა ველიდან — პარაბოლა-ენიგმათა სამყაროში, აჩენს ერთგვარ შიშსა თუ ეჭვს, რამდენადაა შესაძლებელი სტილის აბსოლუტური ტრანსფორმაცია, ფიგურალურ ტექსტში იმ ღვთაებრივი სიკამკამის ფიქსირება, რის გარეშეც „სიცრუის (გამონაგონის) სიბრძნე“ მიუღწეველ ოცნებად რჩება.

სალომე კაპანაძის „დელფინ ფანის ამბები“ ის ბედნიერი ტექსტია, რომელშიც ლიტერატურათმცოდნეობითი ბექგრაუნდი არათუ არ ვნებს მხატვრულ ქსოვილს, პირიქით, „ნაქსოვის სილბოსა და ნაჭედის სიმტკიცეს“ სძენს.

ტექსტი, თითქოს, პატარებისთვისაა ნათხზი, მაგრამ ლიტერატურული ზღაპრის კანონიკის ზედმიწევნითი ცოდნა ფანის ისტორიას დიდებისათვისაც არანაკლებ საინტერესო და საგულისხმო საკითხავად აქცევს (მით უფრო, თუ ტექსტის პოლიტიკურ სარჩულს ჩავუღრმავდებით).

ლიტერატურას ინგლისელები Fiction-ად (ფიქციად, გამონაგონად) იხსენიებენ. ზღაპარი ამ ფიქციურ ველშიც კი განსაკუთრებული სივრცეა.

ენციკლოპედიის ცნობით, „ტერმინი „ზღაპარი“ პირველად ქართულ ბიბლიაში გვხვდება (მე-7 საუკუნე), ქართულ ზღაპართა დღემდე ცნობილი უადრესი ჩანაწერი ბერნარდე ნეაპოლელს შეუსრულებია მეჩვიდმეტე საუკუნეში, სისტემატური შეკრება კი მეცხრამეტე ასწლეულიდან დაიწყო (ლადო აღნიაშვილი, 1890).

აკადემიური განმარტებით, ზღაპარი ხალხურ-ზეპირსიტყვიერებითი შემოქმედების უმნიშვნელოვანეს ეპიკურ ჟანრთაგანია.

მხატვრული ეპოსის უძველეს სახეობათაგან ზღაპარი იმით განსხვავდება, რომ მეზღაპრის მონათხრობს მსმენელი აღიქვამს როგორც მხატვრულ გამონაგონს, ფანტაზიის ერთგვარ თამაშს, რაც, რასაკვირველია, სულაც არ გამორიცხავს ზღაპრის პირდაპირ კავშირს რეალობასთან, პირიქით — განსაზღვრავს ტექსტის შინაარსს, ენას, სიუჟეტის ხასიათს, მოტივებსა და პერსონაჟებს („ლიტერატურული ენციკლოპედიური ლექსიკონი“, 1987, რუსულ ენაზე).

„ზღაპრის ბოლო კეთილია“ და მთავარ კონცეპტად იკვეთება „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“

თანამედროვე ეპოქაში ზღაპარი ერთგვარად დიფერენცირდა — განასხვავებენ ეგრეთ წოდებულ „ლიტერატურულ“ და „საბავშვო“ ზღაპარს.

ზეპირსიტყვიერების სივრციდან ზღაპარი ლიტერატურულ ველში შედის და მოარული სიუჟეტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ არწმუნებს, რომ, ეროვნულ-ეთნიკურ განსხვავებათა მიუხედავად (რაც, ცხადია, აპრიორი ირეკლება ტექსტში), ღირებულებათა სისტემა სამყაროში ფაქტობრივად ერთ(ნაირ)ია.

„ყოველ ერს თავისი მითოლოგია აქვს, გამოხატული ლეგენდებსა და ფოლკლორში. მითი განსაკუთრებულ ფორმას იღებს იმის მიხედვით, რომელ კულტურულ სივრცეში ვითარდება, მაგრამ, ამის მიუხედავად, მითი უნივერსალურია, მსგავს მოტივებსა და თემებს შეიძლება მივაკვლიოთ სხვადასხვა მითოლოგიაში. მითების ამა თუ იმ სახეს შეიძლება ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს კულტურაში სრულიად სხვადასხვა ხალხებისა, რომელთაც ერთმანეთისაგან დრო და სივრცე აშორებს. ამგვარ მოტივებსა და თემებს არქეტიპები ეწოდება. არქეტიპები უნივერსალური სიმბოლოებია“ (გივი ლომიძე, „მითოლოგიური კრიტიკა“, წიგნში: „ლიტერატურის თეორია. მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, 2008) (განსაკუთრებით პოპულარულია არქეტიპული სიუჟეტები გველის დამარცხებაზე, ან მის ტრანსფორმაციაზე).

კარლ-გუსტავ იუნგი არქეტიპებს (პირველხატებს) „მითის მაკონსტრუირებელ სტრუქტურულ ელემენტს“ უწოდებს („არქეტიპი და სიმბოლო“).

ფოლკლორისტიკის მითოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ზღაპარს „მითის ნამსხვრევად“ იხსენიებენ, კომპარატივისტები აანალიზებენ სიუჟეტური სქემების შემთხვევით თუ ლოგიკურ დამთხვევას, ანთროპოლოგიური სკოლა იკვლევს ზღაპართა წარმოშობის ერთიან ყოფითფსიქოლოგიურ საფუძვლებს.

თეორიულ განაზრებათა მიღმა დგას ზღაპრის ჯადოსნური, დიდებული სამყარო, რომლის ფორმირებაშიც საუკეთესო მოაზროვნეებს შეუტანიათ წვლილი. ლიტერატურული ზღაპარი რომ მსოფლიო მხატვრული სიტყვის შედევრთა სალაროა, ძმები გრიმების „რაპუნცელის“, შარლ პეროს „ჩექმებიანი კატის“, ჰანს ქრისტიან ანდერსენის „თოვლის დედოფლის“, ჰოფმანის „ოქროს ქოთნის“, ალექსანდრ პუშკინის „სალთან მეფის ზღაპრის“, ალექსეი ტოლსტოის „ოქროს გასაღების“, ოსკარ უაილდის „ბროწეულის სახლის“, მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველის“, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“, ფრანსუა მორიაკის „მწვანეთითება ტისტუს“, მონტეირუ ლობატუს „ემილია და მისი მეგობრების“, არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავლის“ დასახელებაც იკმარებდა.

ნებისმიერი მხატვრული ტექსტი „შემეცნების პარადიგმატული ობიექტია“ (ირმა რატიანი, „ჰერმენევტიკა“, წიგნში: „ლიტერატურის თეორია...“), მით უფრო, პოსტმოდერნიზმის ხანაში.

„პოსტმოდერნიზმი აღიქმება, როგორც პოსტთანამედროვეობის ანალიზი სხვადასხვა დისკურსის მეშვეობით... უმთავრესი ამოცანა ხდება ინდივიდის პოზიციის დაფიქსირება საკუთარ დროსთან, სოციუმთან, კულტურასთან მიმართებაში... პოსტმოდერნისტულ ესთეტიკაში გარესამყარო ისახება შინაგან წესრიგს მოკლებულ რეალობად, რომლის ქაოტურობაც პიროვნების აღქმითი პროცესის ალოგიკურობასა და გამომსახველობით ფორმათა ქაოტურობაში შეიძლება გამოიხატოს... წესრიგი ყალბია, არააუთენტური, და იგი არ მომდინარეობს უზენაესი ძალისაგან — იმგვარი წესრიგია, რომელიც ტექნოლოგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური იარაღის მფლობელმა თანამედროვე ადამიანმა ჩაუნაცვლა უზენაეს წესრიგს და ეს ჩანაცვლება მოხდა არა ინდივიდის შინაგან, არამედ — გარესამყაროში. ნაცვლად დარღვეული სულიერი ჰარმონიის აღდგენისა, ადამიანი ცდილობს გარესამყაროს ორგანიზების ახალ-ახალი ფორმების შექმნას“ (ბელა წიფურია, 2008).

სალომე კაპანაძის „დელფინ ფანის ამბები“, მიუხედავად იმისა, რომ პოსტმოდერნიზმის ეპოქაშია ნათხზი, უფრო მაღალი მოდერნიზმის ნარატივს ჰგავს (თითქოს პატარა უფლისწულისა და მელაკუდას ბაასის ობერტონები კრთება ლილესა და დელფინ ფანის საუბრებში). მწერალი სწორედ „დარღვეული სულიერი ჰარმონიის აღდგენას“ მიელტვის, სწორედ პოსტმოდერნიზმის ეპოქის ქაოტურობა განსაზღვრავს ნარატორის სწრაფვას, დაუსხლტეს ტრავმატულ დროს და შექმნას ზღაპარი, რომლის ბოლოც, ჟანრისავე დაუწერელ (როგორც მეტრი პროპი იტყოდა, „ზღაპრის მორფოლოგიის“) კანონთა შესაბამისად, უცილობლად კეთილი იქნება.

„დელფინ ფანის ამბები“ კონტრაპუნქტში აერთიანებს ოთხ ისტორიას, რომელთაგან უმთავრესი გოგონა ლილესა და დელფინ ფანის მეგობრობის ამბავია.

„ხელოვნებასა და ლიტერატურაში დელფინი პოპულარული ენიგმაა.

ანტიკური ხანის პოეტთათვის (მაგალითად, არიონისათვის) დელფინი ადამიანისადმი უანგარო სიყვარულის გამოხატულებას, მეგობრობის სიმბოლოს წარმოადგენდა“ („ანტიკურობის ლექსიკონი“, 1989, რუსულ ენაზე).

ამავე რაკურსით წარმოგვიდგენს ფანის მწერალი-მეზღაპრე — ფანი ნამდვილი დელფინია და ზღაპრული მხოლოდ ისაა, რომ იგი ადამიანურ ენაზე საუბრობს („ცხოველთა შესახებ ზღაპარში (კი) ვხვდებით არქაულ ტოტემისტურ წარმოდგენებს (იგავ-არაკის საპირისპიროდ)). ცხოველები აქ ადამიანის ალეგორიული გამოხატულებები არ არიან. ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული პრინციპული განსხვავება ადამიანსა და ბუნებას შორის“ (ქსე, 1979).



ფანისა და ლილეს მეგობრობის დასაწყისში („გაცნობა“ „ცნობაცაა“, გაიცანი, ანუ — იცანი!) დელფინისა და გოგონას გაბაასება წიგნიერ ქართველს ბარათაშვილის ქრესტომათიულ ციტატას მოაგონებს:

არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის.

დელფინის ენა, ცხადია, მხოლოდ პატარას ესმის, რადგან „მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი“ — ყრმებისა, ვისი სულიცა და გონებაც ჯერ არ გამომიჯვნია სამოთხისეულ ნეტარებას, იდილიას, უნივერსუმის უნივერსალურ ჰარმონიას.

სალომე კაპანაძისეული ტექსტის ქრონოტოპოსი სამოთხისეული უდროობაა თუ ზედროულობა. აქ ყველაფერი მზეში ლივლივებს, ჰაერში გლიცინიების, ოლეანდრებისა და მაგნოლიების სურნელი დგას, „ტკბილი სიზარმაცეა“, როგორც პაოლო იაშვილი იტყოდა. დიდები, ცხადია, მუშა-(კ)ობენ, მაგრამ ზღვისპირა ქალაქებისათვის ბუნებრივი, აუჩქარებელი რიტმია მინიშნებული ტექსტში. ნაირა გელაშვილის ლექსში „სიმღერა ქალაქ სოხუმზე“ პირდაპირაა კონსტატირებული:

...და ელვარებდა
შავი ზღვის მუქი ლილა,
განწყობას ქმნიდა შავი ყავა და „ამრა“
(კაფე — შეჭრილი,
თუ გაკიდული ზღვაში),
მსუბუქ მუსიკით
გატანინებდა ზაფხულს,
ზღვაურს მოჰქონდა
ტალღების სუსტი ტაში.
რაღაც სიმჩატე და
პროფანული ახლდა
იქაურობას,
როგორც ტურისტულ სადგურს,
ვით კურორტს,
ანუ დასასვენებელ ადგილს,
თუმც ვერ არღვევდა
მის შინაურულ ყოფას,
მის მყუდროებას, შეიცნობოდა რითაც.

ლილე ამ „შინაურულ ყოფასა და მყუდროებაში“ მცხოვრები პატარა გოგოა, რომელსაც სამყაროს უნივერსალური ენის

ზეგარდმო მოვლენილი ცოდნა, დელფინთან დამეგობრება წამიერად აქცევს ყველასა და ყველაფერზე პასუხისმგებლად, ბიბლიურ სახელმრქმევლად, ხატად და მსგავსებად და პატრონად უნივერსუმისა, რომლის კონკრეტულ ლოკალში — საქართველოს ზღვისპირეთში — სოხუმში — ლილესათვის უკვე აღარაფერია უმნიშვნელო — არც დამბანგველსურნელიანი მაგნოლია, არც ზღვის პაწია, უხილავი ბინადრები — ზღვის ცხენი, მედუზა, თოლია (რომელთაც სახელები ჰქვიათ!), მით უფრო — ბრდღვიალა მზე — ყველასი და არავისი...

ყველაფერი პერსონიფიცირდება, ყველაფერი ყველაფრის ნაწილია, ყველა — ყველას (თითოეულის) შემწე და მეგობარი.

განსაკუთრებული „დელფინ ფანის ამბებში“ ლილესა და გუნდას მეგობრობისადმი მიძღვნილი პასაჟია.

მწერალი არაფერს აკონკრეტებს, მაგრამ პერსონაჟთათვის ქართული (ლილე) და აფხაზური (აფსუური — გუნდა) სახელების დარქმევა გამჭვირვალე მინიშნებაა. გუნდას სნეულებასაც ვერავინ უწამლებს, თუ არა ლილე — ესეც მინიშნებაა. მხოლოდ ლილეს შეუძლია (ცხადია, ფანის შემწეობით) ზღვაც კი გადაცუროს (ამ ტექსტში მთლად ზღაპრისეული მანძილები არაა (ცხრა ზღვა და ცხრა მთა), მაგრამ გა(და)ცურვის კონცეპტი ზღაპრის არსენალიდანაა), რათა უსწრაფესად მოართვას წამალი მეგობარს...

ბედნიერ ქალაქში, ომამდელ სოხუმში, მხიარულად ელოდნენ პატარა კატარღით კრიალა ზღვაზე სეირნობას, უდარდელად მიირთმევდნენ ყავას, გულდასმით კითხულობდნენ უზარმაზარ აფიშას საყვარელი კინოთეატრის წინ და არავის სურდა დაეჯერებინა, რომ ქალაქისაკენ შავი ზვიგენები მოცურავდნენ.

დელფინ ფანისაგან განსხვავებით, ზვიგენების გუნდი სწორედ არქეტიპული, სიმბოლური დატვირთვით ჩნდება ტექსტში და რაც მანამდის „ზღაპრად იყო“, იგავად, პარაბოლად ტრანსფორმირდება.

ზღაპრის კონცეპტი (ბოლოკეთილობა) ცხადია, ნარჩუნდება, მაგრამ ფინალში იგავური შრეც პედალირდება — ზვიგენები ვერას დააკლებენ ქალაქს, რომელსაც ადამიანები და დელფინები ერთად იცავენ. ზღაპრის იქნებ სულაც მთავარი სათქმელი ისაა, რომ პირველად მოუნდებათ ზვიგენებს, თავადაც შეეძლოთ ისეთი სიყვარული და მეგობრობა, როგორიც დელფინებმა (და, ხანდახან, ადამიანებმა(ც)) იციან...

„გუნებაგადაბრუნებული“ (ვაჟას ქრესტომათიულ ტექსტში — „ბახტრიონშია“ გველზე ნათქვამი, „გარდაუბრუნდა გუნება, რა სიბრალულით იმსჭვალვის მისი გველური ბუნებაო“) ზვიგენები გაერიდებიან ქალაქს, სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ და დელფინებთან მეგობრობენ...

ბოროტის უარსობის ფსევდო-დიონისე არეოპაგელისეული კონცეპტიც (ბოროტება სიკეთის ნაკლულობაა) გამოილანდება ზღაპარში და გინდა დაიჯერო — იქნებ ზვიგენებმა მართლაც იცვალონ ფერი, მოინატრონ, ისწავლონ სიყვარული?!...

...ერთია, როცა მშვენიერ წიგნს კითხულობ („დელფინ ფანის ამბების“ რედაქტორი როსტომ ჩხეიძეა, მხატვარი — დალი მუხაძე), ტექსტთან ერთად, შესანიშნავი ილუსტრაციებიც გითრევს და გამოგზაურებს ულამაზეს, მართლაც ზღაპრულ (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით), დღეს ქართველთათვის მიუწვდომელ, ეფემერულ, მონატრებულ ქალაქში, მაგრამ ტექსტის პარაბოლურობა განსაკუთრებით ცნაურდება წიგნის აუდიოვერსიაში, რომელშიც მთხრობლის ამპლუაში თავად ავტორი გამოდის.

სალომე კაპანაძე არა მხოლოდ მწერალია რაფინირებული, განსაკუთრებული ტაქტით გამორჩეული (მინაწერში ვკითხულობთ, რომ წიგნი ეძღვნება „ყველას, ვინც მშვიდობის ენაზე ისწავლის ლაპარაკს“), ბრწყინვალე ნარატორიცაა — ხმის უფაქიზესი მოდულაციებით რომ ეფერება მშობლიურ ქალაქს (იქნებ სულაც თავადაა ლილე, ოდესღაც რომ მეგობრობდა გუნდასა და დელფინთან და, სოხუმთან ერთად, გუნდაც დაკარგა და დელფინიც?! დაკარგა კი?! ჩაითვლება დაკარგულად ის, რაც ნებით არ დაგითმია, პოეტისა არ იყოს?!).

წიგნშიც და რადიოპიესაშიც სოხუმს, გუნდასა და დელფინს ეძებს კეთილი მეზღაპრე.

წიგნის რედაქტორი, როსტომ ჩხეიძე, მონოგრაფიაში „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ ხელოვნების ელიტარული სივრცის (რადიოპიესის) შესახებ აღნიშნავს: „დრო მოიტანდა რადიოპიესის შექმნის აუცილებლობასაც. ცდები ამ მიმართულებით დაგვირგვინდებოდა ზურაბ კანდელაკის დრამატურგიული თხზულებებით, რეჟისორისა, ვინც არა მარტო ქართულ რადიოსპექტაკლს მოუპოვებდა საერთაშორისო რეზონანსს, არამედ სრულფასოვანი რადიოპიესების შექმნითაც ძალდაუტანებლად მიაღწევდა რანგს, ევროპული რადიუსით გამართვა რასაც ჰქვია“.

სოხუმის ტრაგედიას საკუთარ პიესებშიც („დაუმთავრებელი პიესა“, „კალეიდოსკოპი“) წარმოაჩენს ბრწყინვალე რეჟისორი.

თავად ზურაბ კანდელაკის პიესათა სოხუმი არც მხოლოდ ათასგზის კონსტატირებული ყავის სურნელია, არც შენობათა სიქათქათე და მწვანე პალმა, არც ციდა პორტში ულოცმანოდ შემოგრიალებული ვეებერთელა ხომალდი, „რიო-რიტათი“ რომ აყრუებდა მყუდრო ქალაქს, არამედ, უპირველესად, ამბები...

ზურაბ კანდელაკის „კალეიდოსკოპში“ ძირითადი ამბავი ანასია, გონსგადამცდარი ახალგაზრდა ქალის, რომლის მონოლოგიც სულს ძრავს: „ზღვა... წყნარი... ბროლივით გამჭვირვალე, ფეხდაუკარებელი თოვლივით სუფთა... დიდი, ვეებერთელა, ქოლგის მსგავსი მედუზები... ღმერთო, რა ფერები იყო!... რა ფერები! ნეტა, მართლა სუფთა იყო? იყო? ღმერთო, რატომ მესმის ზღვის ხმა ასე გამუდმებით?! რატომ იყო მაშინ ასეთი კამკამა ზღვა?! რა მოხდა?! ნუთუ მართლა მოხდა რამე?! ნუთუ ეს სიზმარი არაა?! ნუთუ სამუდამოდ უმანკო, ფეხდაუკარებელი თოვლივით კამკამა ზღვა?! ნუთუ, ასე უნდა დამთავრდეს ზღაპარი?!“

საბედნიეროდ, ზღაპრები ასე არ მთავრდება („ზღაპრის მორფოლოგიისავ“ კანონიკით) და, თუმც „კალეიდოსკოპის“ ტრაგიკულ ინტონაციებს ინარჩუნებს ზურაბ კანდელაკი „დელფინ ფანის ამბების“ პროეცირებისასაც, რაკი სალომე კაპანაძის ტექსტი ბავშვებმა ზღაპრად უნდა აღიქვან, დიდებმა კი — პარაბოლად, „არსენალიც“ შესაბამისია — თბილი, დამამშვიდებელი — ზღვის ტალღების ხმასავით (აბსოლუტურად განსხვავებული კანდელაკისეული „დაუმთავრებელი პიესის“ ექსპოზიციური რემარკასაგან: „სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული მელოდია, გაურკვეველი ფრაზები, მოერიშე თვითმფრინავის, დაბომბვის, ზღვის ხმა...“ — ეს „ხმები“ ბავშვებისათვის არაა... არც კეთილი ზღაპრისა...).

ზურაბ კანდელაკსა და სალომე კაპანაძეს (და მათ მკითხველ-მსმენელს), ზურაბ კანდელაკისავ პერსონაჟივით, ვერავინ უბრძანებს: „არ შეხვიდე ზღაპარში!“

მწერლისა და რეჟისორის ძალისხმევით, ჩვენ შევდივართ ზღაპარში!..

ზღაპრულ სოხუმში — „მსოფლიოს ყველაზე მზიან, ყველაზე ნათელ ქალაქში“ — ფანისა და ლილესთან ერთად.....

P.S. მწერალი ფბ სტატუსში მადლობას უხდის ყველას, ვინც ენდო მის იდეას — რეჟისორ ზურაბ კანდელაკს, ხმის რეჟისორს — ბაკო ხვიჩიას, მსახიობებს: ირმა ოსიას, გიორგი კინწურაშვილს, მერი სოლოღაშვილს, განსაკუთრებით კი — აფხაზ მსახიობებს, რომელთაც ვერ ასახელებს „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“...

P.P.S. ზღვასთან მისული არა პატარა გოგო, არამედ მშვენიერი ქალი ვალერიან გაფრინაშვილის უნატიფესი ლექსიდან გვახსოვს, ისიც გვახსოვს ამავე ლექსიდან, რომ „ზღვას ენატრება, იყოს პატარა, ვით უნაზესი ჩიტი კოლიბრი... სურს ბეჭდის თვალში განმარტოება... “ ბოლოს კი, მშვენიერ ქალს მიჰყვება, „როგორც შლეიფი“...

ლილე ან გუნდა (ისევე, როგორც სალომეს ულამაზესი შვილიშვილები — ლილე და ნიცა, ვისაც მწერალი ბებო დელფინ ფანის ამბებს უყვება და წიგნს უძღვნის) ოდესმე ასეთი მშვენიერი ქალები იქნებიან, ზღვას შლეიფივით გაიყოლებენ....

დელფინი ფანი კი მარად იცურებს ჩვენს კრიალა ზღვაში, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერაც „შორია“...

კეთილი და ჭკვიანი ფანი, ერთდროულად, ზღაპრულ-ეფემერულიცა და ძალიან, ძალიან რეალურიც — იმ „შორ“ ზღვასავით...

როსტომ ჩხეიძე

ციკლიდან „კანტიკუნტად“

„აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი“
ნება პოეტისა — მკითხველის ნება



ჩანაწერების ციკლის — „დინოზავრიდან დიზაინამდე“ — ერთ უსათაურო მინიატურაში ტარიელ ჭანტურია გაიხსენებდა, რომ:

ჩვენი სასიქადულო მედეა ჯაფარიძე პოეზიის საღამოებზე მისი ერთი ლექსის მხოლოდ ერთ სტროფს — მაინცდამაინც ერთ სტროფს კითხულობდა:

უხერხულია, შენ გერქვას ცოლი,
შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე!
აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი —
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ!

მალე კინოფილმში — „სანამ წვიმა გადივლიდეს“ — კახი კავსაძე წაიკითხავდა იმავე სტროფს ბრწყინვალედ და...

პოეტს გაუჩნდებოდა ორნაირი საფიქრალი.

პირველი ის, რომ:

თვითონაც ზედმეტად მიიჩნევდა ყველაფერს, რაც იმ ლექსში იყო, და თავის „რჩეულში“ იმ ლექსიდან მხოლოდ ამ სტროფს შეიტანდა.

მეორე ფიქრი კი — ჩვეული იუმორით რომ შეაფერადებდა — ვერ იქნებოდა მაინცდამაინც თავმდაბალი:

რაკი ამ ორ დიდებულ მსახიობს ეს სტროფი მოეწონა, იქნებ მართლა ვარგოდეს რამედო!..

ასე შეიკვეცებოდა ლექსი ერთ სტროფამდე.

და რადგანაც „რჩეულში“ ამ სახით შეიტანდა, უნდა დავიბეჯითოთ, რომ:

ეს არის პოეტური საბოლოო ნება და ამიერიდან ყოველთვისაც ასე მოიქცევა.

ეს ხომ არ არის საბჭოთა ეპოქა, როდესაც რედაქტორები თუ კრიტიკოსები — დადგენილი ნორმებისა და ცენზორული მოთხოვნების გათვალისწინებით — ძალით გადაგაკეთებინებდნენ თხზულებას და საგრძნობლად დაგიგონჯებდნენ. ხან კი სულაც იმის საპირისპიროს გათქმევინებდნენ, რისი გამოხატვაც გეწადა.

ამიტომ ჩვენც — პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი მკითხველები — მოვალენი ვართ გავიზიაროთ ტარიელ ჭანტურიას თვითშეფასება და ანალიტიკური განსჯისას მხოლოდ ეს სტროფი მოვიხმოთ, აწ უკვე ერთსტროფიანი ლექსი.

ოთხსტრიქონიანი კი არა, ორ და სამსტრიქონიანი ლექსებიცაა ნიშანდობლივი ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებისათვის, უმთავრესად მაინც ირონიულ-პაროდიული ყაიდის ლირიკულ ციკლში „დაწყვეტილი სერპანტინი“.

და მაშ ოთხი სტრიქონი მითუმეტეს ბუნებრივად მოთავსდება მის წიგნებშიც და სატრფიალო ლირიკის ათასგვარად შედგენილ კრებულებშიც, შემდგენლები ამ სტრიქონებს ყოველთვისაც რომ დაისაჭიროებენ.

მაგრამ... რატომ მგონია, რომ:

ზედმეტი სიმკაცრე ხომ არ გამოიჩინა პოეტმა ამ ლექსის შეფასებისას?

ის გარემოება, რომ:

მედეა ჯაფარიძე საღამოებზე მაინცდამაინც ამ სტროფს კითხულობდა, სულაც არ ნიშნავს, თითქოს დანარჩენი ნაკლებფასეულად მიაჩნდა. უბრალოდ პოეტურ კოლაჟს თავისი აღნაგობა აქვს, თავისი კომპოზიციური ქარგა და მთლიანობისათვის ასე ამჯობინებდა.

მითუფრო ითქმის ეს ფილმზე:

კახი კავსაძე იქ მთელ ლექსს ხომ არ წაიკითხავდა.

სატელევიზიო სპექტაკლში — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ — ეროსი მანჯგალაძე ფინალურ მონაკვეთში თავისებურ პოეტურ ფოიერვერკს რომ მოაწყობდა, მხოლოდ ამონარიდებს წაიკითხავდა სხვადასხვა პოეტისას, მთავარს გამოარჩევდა ამათუიმ ლექსიდან, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ის ლექსები გამოქვეყნებისას შევკვეცოთ და ცალკეულ სტროფებად თუ სტრიქონებად ვიკმაროთ?!.

მედეა ჯაფარიძეც და კახი კავსაძეც მთავარს გამოარჩევდნენ ტარიელ ჭანტურიას ლექსიდან, იმ სტრიქონებს, რის ირგვლივაც შეკრულიყო ლირიკული ქარგა, მაგრამ ეს რატომ უნდა ნიშნავდეს დანარჩენი სტროფების ზედმეტობას?

უიმათოდ ეს — თავისთავად შესანიშნავი სტრიქონები — ფრაგმენტის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ამიტომაც არ არის ჩამოსაცილებელი დანარჩენი სტროფები, რომელთა ფონზეც უნდა გახმიანდეს ეს სტრიქონები განსაკუთრებული ძალით, თანაც ორჯერ — კომპოზიციური ქარგის შეკვრაც და დაგვირგვინებაც მან რომ უნდა განსაზღვროს.

შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე,
უნდა ღრუბელი გეფინოს ლურჯი,
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ,
რომ ჩავახედო შენს კეთილ სულში.
შენ უნდა უცხოდ მოსული ქარი
გიფრიალებდეს ნისლისფერ მერდინს,
გაიღოს უცებ სამოთხის კარი —
მუხლებთან გეჯდეს
შემკრთალი ღმერთი...
რა ჯობს —
სიმღერა თუ წყვილი ცრემლი!
სად ჯობს — მიწაზე თუ მიწის გარეთ!..
მზე — მზეზე უფრო დიდი და ცხელი,
მთვარე —
მთვარეზეც მაღალი მთვარე,
და ცა —
ღმერთების ცისფერი ჰოლი —
ძლივს რომ აუდის
მომსვლელს და წამსვლელს...
მაღალი ბიჭი ლამაზი ცოლით —
მოდიან, მაგრამ მიდიან წამსვე:
ბოლოს და ბოლოს, ერთი აქვთ ბოლო
ლომსა და თინუსს, ნაძვსა და ღოლოს!
სიყვარულისთვის!
კარგო, ჩვენ მხოლოდ
სიყვარულისთვის გავჩნდით და
ვცხოვრობთ!
უხერხულია — შენ გერქვას ცოლი —
შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე.
აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი! —
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ...

რომელთა ფონზეც უნდა გახმიანდეს ეს სტრიქონები განსაკუთრებული ძალითო...

ეს ყველაფერი, რაც „რჩეულში“ გამოტოვებულია, ლექსს ავსებდა მძაფრი დრამატიზმით და მისტიკური იერიც გადაჰკრავდა, ეფექტური პირველივე სტროფი ფარული განგაშით რომ უნდა ავსებულიყო თანდათან და აჩრდილებიც არიალებულიყვნენ იმ ცისფერი ჰოლის ამოლანდებით, ძლივას რომ იტევს მომსვლელსა და წამსვლელს, ხოლო შეღებული სამოთხის კარიდან სხვა გალაქტიკა რომ უნდა ამოიზიდოს მზეზე უფრო დიდი და ცხელი მზით, მთვარეზეც უფრო მაღალი მთვარითა, და მათ შორის მიმომცურავი ცისფერი ღრუბლით...

და მხოლოდ მათ ქვეშ უნდა გათამაშდეს ის დრამა:

დამბაჩით, სველი თოვლითა და დუელით...

* * *

ტარიელ ჭანტურია კი, მკითხველის ერთი ყველაზე გულმხურვალე აპოლოგეტი ლექსიდან ლექსში და ესეიდან ესეიში, ამ შემთხვევაშიც უთუოდ გაითვალისწინებს მკითხველის ნებას, როგორც აღმატებულს პოეტის ნებაზე!..

მწერალი

ნოდარ მაჭარაშვილი

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნოდარ მაჭარაშვილის ბესტსელერს, „ავი მუსაიფს“ ვკითხულობდი, და მაშინაც, ინტერვიუსთვის რომ ვემზადებოდი, მის სხვა ნაწარმოებებს ვეცნობოდი, ინტერვიუებს ვისმენდი, უკვე ვფიქრობდი, როგორ მოახერხა ახალგაზრდა კაცმა ასეთი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, როგორ „გადაურჩა“ ცნობილი ოჯახის, კლასიკოსი ბაბუის გავლენას და მხოლოდ გამოცდილებით, ცოდნის ძიებით, ინტერესით, გავლილი გზებით შექმნა თავისი ცხოვრება, სრულიად თავისუფალი ბიოგრაფია და ასეთი შთამბეჭდავი ლიტერატურული ნიმუშები-მეთქი. ჩვენი ინტერვიუს შემდეგ ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამიმყარდა. ნამდვილი მონუმენტალისტია მწერლობაში — შესანიშნავი ისტორიული სახეები გამოაქანდაკა, ურთულეს ისტორიულ თემებს მოერია, ეპოქები გააცოცხლა. დიდი, მსუყე ტილოების მთელი გალერეა აქვს, რომელშიც შეგიძღვება და ისე ილაპარაკებს თითოეულზე, თითქოს ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ამბავს გიყვებოდეს, არადა, რამდენი იმუშავა, ასეთი სურათი რომ შეექმნა, ასეთი ამბავი რომ დაეწერა.

როცა ჩვენ შევხვდით, ის-ის იყო ერეკლე მეორის ორდენით დააჯილდოვეს თელავში. სწორედ ამით დავიწყეთ:

— ერეკლეობას, თელავში, ბატონის სასახლეში მისი სახელობის ორდენი გადმოგცეს. ვინ დაგაჯილდოვათ?

— ბაგრატიონების სამეფო სახლმა კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დააარსა ეს ორდენი რამდენიმე წლის წინათ და მას მერე, ყოველ 7 ნოემბერს, ერეკლეობას, სამეფო სახლის მეთაური ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი გადასცემს მას სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. გრუზინსკები კახელი ბაგრატიონები, ერეკლეს პირდაპირი შთამომავლები არიან. წელს სხვებთან ერთად მეც დამაჯილდოვეს, ოცდამეხუთე ადამიანი ვიყავი, ვისაც ერეკლე მეორის ორდენი გადაეცა. ღონისძიებას თელავის კულტურის სახლისა და ქალაქის მერიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, თუმცა ორგანიზატორები რამდენად იყვნენ, ვერ გეტყვით.

— დარწმუნებული ვარ, თქვენი ცნობილი ბესტსელერი „ავი მუსაიფი“ იქცა მთავარ მიზეზად, ამ ჯილდოს მფლობელი ყოფილიყავით, და რაკი ერეკლე მეფით დავიწყეთ, მასზე შექმნილი რომანითვე გავაგრძელოთ. როგორ დაიწყეთ ფიქრი რომანზე და როგორ იწერებოდა ის?

— რომანზე ფიქრი დიდი ხნის წინ დაიწყო. საქართველოს ისტორიას მასწავლიდა გიორგი ოთხმეზური, მათ ოჯახში დავდიოდი, სწორედ ლორთქიფანიძეებთან გავიარე პირველი გაკვეთილები და შეიძლება ითქვას, მათგან დავეუფლე ისტორიის ანა-ბანას. მერე ერეკლეს მოღვაწეობის პერიოდსაც შევეხეთ, მე-18 საუკუნემდე მივედით. მახსოვს, გიორგიმ ამიხსნა დეტალურად ყველაფერი, მთელი ეპოქა გააცოცხლა ჩემ თვალწინ. ერეკლე რომ გავიცანი პირველად, გავგიჟდი, ასეთი ნაომარი, ბრძოლებგამოვლილი, მთელი ცხოვრება ხმლით ხელში... მაგრამ წიგნის დასაწერად, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ იყო, ან ვინ წერს ისტორიულ რომანს მხოლოდ გაგონილით?! უბრალოდ, მაშინ ინტერესი გამიჩნდა. და როცა დავინტერესდი, ახლიდან დავიწყე საქართველოს ისტორიის კითხვა, შესწავლა და თითქმის ყველაფერი მოვიძიე, რაც კი დაწერილა ერეკლეზე, მათ შორის „საქართველოს ისტორიის“ ტომები ოთარ ჯაფარიძის, მარიკა ლორთქიფანიძის, დავით მუსხელიშვილის, როინ მეტრეველის ავტორობით, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, გავეცანი მე-19 საუკუნის ისტორიკოსის, პლატონ იოსელიანის ნარკვევებს, ასევე ერეკლე მეფის თანამედროვეების, ომან ხერხეულიძისა და სეხნია ჩხეიძის ნაწერებს. ვნახე ყველა გადაცემის ჩანაწერი, რაც კი ერეკლეზე და მის ეპოქაზე მოუმზადებიათ.

— ბევრმა სცადა ერეკლეს ეპოქის გაცოცხლება მხატვრულ ლიტერატურაშიც.

— ვინც შეეხო ამ თემას, ალბათ ყველა გაკვრით, სიღრმისეულად ერეკლეზე არ-



მივხვდი, რომ გამოვიდა

ავის დაუწერია. არადა, არაერთ დიდ ქართველ მეფეზე შექმნილია ცნობილი ნაწარმოებები — მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიამ რომანი მიუძღვნა დავით აღმაშენებელს, შემდეგ გიორგი პირველი გაცოცხლა „დიდოსტატის მარჯვენაში“, დავით მეოთხეზე დაიწერა დათო ტურაშვილის „ტყეების მეფეც“. ჭაბუა ამირეჯიბმა გიორგი ბრწყინვალე აქცია რომანის მთავარ გმირად, ერეკლეზე კი დუმდა პროზა. მაშინ გავაანალიზე, ასეთი დიდი მეფეა, ასეთი ცხოვრება განვლო, მასზე თითქმის ყველაფერი ვიცი, უამრავი მასალა მაქვს და მიყვარს-მეთქი... დაიწყო და დაიწყო. მაშინ მოსკოვში ვიყავი. იქ მოვუყარე თავი მთელ ჩემს მასალას, წაკითხულსა და ნანახს, წერა კი პარიზში დავიწყე, როცა იქ საცხოვრებლად გადავედი.

— დიდი ხანი წერდით?

— ექვსი თვე. ოღონდ ყოველდღე 8 საათი ვმუშაობდი. ასე დაიწერა. მაგრად ვიმუშავე. გამოვიდა მგონი.

— ძალიან კარგი საკითხავია მართლაც.

— მე თვითონ მომწონს, არადა ეგ ძალიან იშვიათად ხდება. როცა უკვე წიგნად გამოიცა, ვერ მოვწყდი, ორი დღე ვიკითხე, წესიერად აღარც მახსოვდა. ერთია, როცა მუშაობ და სულ სხვაა, როცა წიგნი გამოვა და კითხულობ. მაშინ მომეწონა და მივხვდი, რომ გამოვიდა.

— იცით ხოლმე მიბრუნება თქვენს წიგნებთან?

— კი, ვიცი. ვუბრუნდები ხოლმე.

— მხოლოდ „ავ მუსაიფს“ თუ სხვა წიგნებსაც?

— უფრო ხშირად „ავ მუსაიფს“.

— როგორ დაიწყეთ წერა, გახსოვთ?

— ბავშვობიდან დავიწყე. მოკლე შინაარსებს, თავისუფალ თემებს ძალიან კარგად ვწერდი. სანამ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, დედაჩემმა ქართულის მასწავლებელთან, რუსიკო მეგრელიშვილთან მიმიყვანა. რუსიკომ რაღაც თემა მომცა მაშინ და რომ დავწერე, აქ სხვა ამბავთან გვაქვს საქმეო, მითხრა. სხვა ბავშვებიც იყვნენ იქ, მაგრად წერდნენ ისინიც, მაგრამ მე სხვანაირად გამომდიოდა. რუსიკო მეუბნებოდა, შენზე ცალკე სამუშაოა, სხვანაირი ხარო. განსხვავებულად ვწერდი, გასაკვირიც არ არის ალბათ.

— გენეტიკა მუშაობს.

— რუსიკომ იმუშავა ძალიან კარგად, გზები გამიხსნა და ბევრი ისეთი რამე მასწავლა, მწერლობაში რომ გამომადგა. მახსოვს, კლასიკოსების რომანებს რომ ვკითხულობდით, მერე ვსხდებოდით და ვარჩევდით. დეტალურად გვიხსნიდა ყოველ წინადადებას, როგორც მწერლობის ნიმუშს, როგორც ლიტერატურულ ნიმუშს. სულ მეუბნებოდა, მწერლის ყოველი წინადადება ისეთი ნაშრომი და ნაფიქრია, შეიძლება ათასჯერ გადაჯღაბნილი და გადაწერილიც კი იყოს და შენ რომ კითხვისას სამ და ოთხ გვერდს გადაახტები, იცოდე, შეიძლება მთავარი სათქმელი სწორედ იმ გვერდებს გადაყვესო. რუსიკო ძალიან დამეხმარა ჩემი იმ მწერლური გზის დასაწყისში.

— ის რომ არ შეგხვედროდათ, დაწერდით მაინც?

— მე სულ ვწერდი და სულ ვკითხულობდი, თანდათან გამოცდილებაც მომემატა, ასაკიც, ცოდნაც დამიგროვდა...

— ყოველდღე მუშაობთ?

— არა. ყოველდღე არ ვწერ, მაგრამ ყოველდღე ვკითხულობ. ეს ნამდვილად შემიძლია ვთქვა. მუდმივად ვეცნობი მსოფლიო ლიტერატურას, კლასიკასაც და თანამედროვე ავტორებსაც. თანამედროვე ქართული მწერლობა განსაკუთრებით მაინტერესებს. ვიცი, რა ლიტერატურული პროცესები მიდის. ვფიქრობ, ქართულად კითხვა ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მწერლისთვის.

— თვითონ ტექსტის დამუშავება, გადახაზვა, ახლიდან დაწყება ახლობელია თქვენთვის?

— არა. არ არსებობს ეგეთი რამე ჩემს შემთხვევაში, შავი ნამუშევარიც არ მაქვს, პირდაპირ ვწერ.

— კომპიუტერში კრეფთ?

— არა, ხელით ვწერ.

— ვიცი, რომ ახალი რომანი დაასრულეთ — „კვაზიმოდოს ქალაქი“.

— ახალია, პირველი ტირაჟი დაბეჭდილია, მაგრამ ჯერ არ იყიდება. „კვაზიმოდოს ქალაქი“ პარიზზეა, ტერორიზმზე — მთავარი გმირები არაბები და ფრანგები არიან და ერთი ქართველიც. 2015 წლის 7 იანვარს ფრანგული ყოველკვირეული სატირული ჟურნალის, „შარლი ებდოს“ ოფისში რომ შეცვივდნენ და დახოცეს ხალხი, ეგ თემაა გაშლილი, მხატვრულად დამუშავებული.

— მასალებს დიდხანს იკვლევდით?

— სხვა რომანებთან შედარებით „კვაზიმოდოს ქალაქს“ ყველაზე ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი დასჭირდა. როცა ისტორიულ თემებს ეხები, გათვითცნობიერებული უნდა იყო ყველაფერში, ამ შემთხვევაში კი უცხო კულტურასთან მქონდა საქმე და ყველაფერი ბოლომდე უნდა გამომეკვლია. ყურანი, თორა, ბიბლია ახლიდან უნდა წამეკითხა, დამემუშავებინა, ისლამის ისტორიას ჩავღრმავებოდი, ჩემთვის საინტერესო თემაზე მომუშავე თანამედროვე ისტორიკოსების, სოციოლოგებისა და კულტუროლოგების ნაწერებს გავცნობოდი, ჰიუგოსაც მივუბრუნდი, მის „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“.

— ამ შრომატევადი მოსამზადებელი პერიოდის გათვალისწინებით, წერის პროცესი რამდენად რთულად მიმდინარეობდა?

— მოსამზადებელ პერიოდთან შედარებით სწრაფად დავწერე. იმდენი ხანი ვემზადებოდი, რომ გონებაში სიუჟეტური მონახაზი უკვე მქონდა, ჩონჩხი აგებული იყო და წერის დროს ყველაფერი ბოლომდე დალაგდა. როცა წერა დავასრულე, გიორგი ლობჟანიძეს წავაკითხე რომანი, ისეთ თემებს შევეხე — მუსლიმთა საკითხს, არაბებს, ყურანს, ტერორიზმს, გიორგიზე უკეთ ეგ თემები არავინ იცის და მასზე უფრო



კომპეტენტური კონსულტანტი ვერც მეყოლებოდა. და ძალიან გამიხარდა, არსებითი შენიშვნა რომ არ ჰქონია, ამიტომ ამ მხრივ წყნარად ვარ.

— მაშ ახალ რომანსაც უახლესი ისტორიული ფაქტები უდევს საფუძვლად. ზოგადად, ისტორიული თემატიკა რომ გაინტერესებდათ, ეს თქვენს ადრინდელ ნაწარმოებებშიც გამოჩნდა. მგონი, „ბუხარი“ იყო პირველი წარმატებული მცდელობა ისტორიული ეპოქა გაგეცოცხლებინათ მხატვრულ ტექსტში. „ბუხარი“ საქართველოს სამწლიან დამოუკიდებლობასა და გასაბჭოების ტრაგედიაზე ჰყვებოდა.

— ასე იყო. თუმცა ჩემი პირველი წიგნები აღარ მიყვარს.

— რატომ?

— მიმაჩნია, რომ ესენი, გვიანდლები, უფრო დახვეწილია. „მოსკოვი-თბილისიც“, „ავი მუსაიფიც“, „ქეიფი სოლოლაკშიც“ — სულ სხვა მხატვრული დონის წიგნებია, ვიდრე ისინი, ფსევდონიმით რომ გამოდიოდა. მკითხველიც ხვდება ალბათ ამას.

— მაშინ ხომ თორნიკე გურჯინთახის სახელით წერდით. ძალიან მომწონს, რომ ფსევდონიმით დაიწყეთ და არა თქვენი რეალური სახელით და გვარით. მომწონს და თან მაინტერესებს — რატომ?

— ფსევდონიმით? რა ვიცი, თითქოს მაჭარაშვილი... ტერენტი გრანელს რომ კვირკველიას სახელით ებეჭდა, დაახლოებით იგივეა... კი არ ვედრები, უბრალოდ, ხანდახან ფსევდონიმი სჯობს და უფრო ამართლებს... როგორც აკას აქვს, როგორც ვაჟას აქვს... ბაბუაჩემსაც ფსევდონიმი ჰქონდა თავიდან. ჯვებე დუმბავა იყო. ღადაობდა. იუმორისტულ ჩანახატებს აქვეყნებდა გაზეთში. არ ვიცი, მეც ეგრე გადავწყვიტე, თუ წაიღებდა, წაიღებდა, მაგრამ მაჭარაშვილმა უფრო წაიღო.

— ბუნებრივია, მაგ დროს ხომ დამწყები ავტორი აღარ იყავით. უკვე გავლილი გქონდათ, ასე ვთქვათ, პირველი ეტაპი, გურჯინთახის სახელით და ვფიქრობ, ძალიან ბუნებრივი იყო ის წარმატებაც, რაც წილად ხვდა თქვენი რეალური სახელით და გვარით გამოქვეყნებულ პირველ რომანს, „ავ მუსაიფს“. შემდეგ იყო „მოსკოვი-თბილისი“.

— წაკითხული გაქვთ?

— არა, სამწუხაროდ. თქვენ მითხარით, რაზეა.

— რეალურ ამბავზეა აგებული. რაც ნაღდად იყო, ალბათ იმაზე უნდა წეროს მწერალმა, კი არ უნდა მოიგონოს რაღაცები. ეგ მარკესმა თქვა, მე არა. სჯობს, რაც გადაგხდათ, იმაზე წეროთო.

— ამაზე როგორ იმუშავეთ?

— პარიზში დავწერე ეგეც.

— შემოქმედებითად ძალიან აქტიური პერიოდი გქონდათ პარიზში, ხომ?



— მარტო ვიყავი, ენა არ ვიცოდი, ფრანგები კი უცნაური ხალხია, ძნელად მიგიღებენ. მეც ვიჯექი ოთახში და ვმუშაობდი. წერა მოსკოვში დავიწყე, მაგრამ არ მომეწონა, გადავასწორე, თავიდან ვცადე და ძირითადი ნაწილი, როგორც ვთქვი, პარიზში დაიწერა, ერევანშიც ვმუშაობდი.

— ისტორიულ თემაზე დაწერილი კიდევ ერთი რომანია „ქეიფი სოლოლაკში“, რომელშიც მოქმედება გასული საუკუნის 20-იანი წლების თბილისში ვითარდება და მკითხველი კოტე აფხაზის აღსასრულის მოწმედ იქცევა.

— თორნიკე ბზიავას იდეა იყო ფილმის გადაღება კოტე აფხაზზე. როცა ეს სურვილი გამანდო, ვუთხარი, სცენარებზე არ ვმუშაობ, მაგრამ შემიძლია მასალა შევისწავლო, ისტორიას გადავხედო და მოთხრობა დავწერო, მერე დაგიძახებ და ნახე-მეთქი. და რომ დავწერე, თორნიკემ იოლად გადააკეთა სცენარად, შევიტანეთ კინოცენტრის „პროექტის განვითარებაში“, მოვიგეთ კონკურსი და ფილმის გადასაღებად მზადებაც დაიწყო.

— და წიგნადაც გამოიცა.

— და ძალიან კარგად იყიდება.

— ჩვენ ხალხს განსაკუთრებული დამოკიდებულება, გაუნელებელი ინტერესი აქვს ისტორიული თემატიკის მიმართ. სანამ კოტე აფხაზზე ვიტყვით, „ავ მუსაიფს“ მივუბრუნდები, ერეკლეზე წერა ალბათ ძალიან რთული იყო იმიტომ, რომ მის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, დამოკიდებულებები კი პოლარიზებულია.

— ერეკლე მეორე აქტუალური თემა იყო და იქნება ყოველთვის. რაც შეეხება კოტე აფხაზს, მის გარშემო რაც ხდება, რა სიუჟეტიც ვითარდება, სწორედ ეგ არის საინტერესო. იტყვის, ჯერ მაქეიფეთო და იმ ქეიფით იწყება მისი დახვრეტის ამბავი. ერეკლესგან განსხვავებით, ძალიან ბევრმა ქართველმა არ იცის, ვინ იყო კოტე აფხაზი. არ იციან, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელია, რომ მისი სახელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, სამხედრო ცენტრის დაფუძნებას, კახეთის რკინიგზის გაყვანას უკავშირდება. 1921-ში რომ შემოვიდნენ ბოლშევიკები, ყველა რომ გაიფანტა, კოტე დარჩა და 1923 წლამდე იომა, მუსრს ავლებდა ბოლშევიკებს, ორი წლის შემდეგ დაიჭირეს და დახვრიტეს. „ქეიფი სოლოლაკში“ ეგ ამბავია. წესით, უნდა გადაიღოს თორნიკემ. ვნახოთ.

— არაქართველ ისტორიულ ფიგურებზე თუ გიცდიათ დაგეწერათ?

— არ მიცდია იმიტომ, რომ ჩემი არ არის, გულით ვერ დავწერ... მართალია, „კვაზიმოდოს ქალაქი“ საფრანგეთში მომხდარ ამბავზეა, მაგრამ რომანი მაინც ინტერნაციონალურ თემას ეხება — მუსლიმურ ტერორიზმს, ომს, სირიის კონფლიქტს, ეს კი ყველასთვის აქტუალური და საინტერესოა. თუკი გადაითარგმნა, ალბათ უცხოელი მკითხველი რომანის მიმართ გულგრილი არ დარჩება. „ავი მუსაიფი“ და „ქეიფი სოლოლაკში“ კი ლოკალურ ისტორიულ ფაქტებზე აგებული რომანებია, ქართული ბაზრისთვის, ქართველი მკითხველისთვის განკუთვნილი.

— დიახ, ასეა, ორივე რომანი საქართველოს ისტორიის უმტკივნეულეს ფაქტებზეა დაფუძნებული, მაგრამ ორივეს სწორედ ის გამოარჩევს, რომ უაღრესად ეროვნული ხასიათის და თემატიკის პარალელურად, თქვენ საყოველთაო ღირებულებებს ეხებით, ვგულისხმობ სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავის გაწირვას, ერთგულების, მეგობრობის ფასს და ასე შემდეგ. ამით, მგონი, ბაბუას ჰგავხართ. ერთი სოფლის ამბავზე წერდა და თან მარადიულ ღირებულებებზე ყვებოდა.

— სხვათა შორის, „კუკარაჩას“ გადაღება უნდოდა „ნეტფლიქსს“, ოღონდ ახლებურად. თემა მოსწონდათ, ქალს რომ ქურდი და პოლიციელი ერთდროულად უყვარს. ვითომ ხომ არაფერი, მაგრამ მაგარი თემაა, ყოველთვის აქტუალური. ახლაც ხომ უყვარდებათ დამნაშავეები და პოლიციელები ქალებს?

— თქვენზე და ბაბუაზე მიამბეთ.

— არ ვიცნობდი. მისი გარდაცვალებიდან ორ თვეში დავიბადე.

— ნოდარ დუმბაძის გავლენას მაინც როგორ დაუსხლტით ასე?

— სულ სხვა ტიპის მწერალია. უბრალოდ, ორივეს ნაწერი იკითხება იოლად და ყველასთვის გასაგებია. ამაში ვგავართ. მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, ჩეხოვის სახელობის უმაღლეს ლიტერატურულ კურსებს გავდიოდი. მაშინ უკვე გამოქვეყნებული მქონდა მოთხრობები, რამდენიმე რუსულადაც იყო თარგმნილი და ერთხელ ერთმა იქაურმა პედაგოგმა, გრიცენკომ, ასეთი რამე მითხრა — მწერალი გყავდათ, ნოდარ დუმბაძე, და შენი მოთხრობები სიმსუბუქით მის ნაწერებს მაგონებსო.

— ახლა მუშაობთ რამეზე?

— ახლა არაფერზე.

— არც გეგმა გაქვთ?

— მამაჩემის ბაბუა, ნესტორ მაჭარაშვილი, მამადავითზე ეკლესიის წინამძღვარი იყო, 1934-ში შვილთან ერთად დახვრიტეს. მის ნაშრომებს, ნაწერებს ვიკვლევ ახლა, ეროვნულ არქივში, წიგნის მუზეუმში მივყვები მის კვალს. ჯერ მხოლოდ ვეძებ, მასალას ვაგროვებ და გადაწყვეტილი არ მაქვს, დავწერ თუ არა. ვნახოთ.

P.S. ბოლოს, როცა საჩუქრად გამზადებულ „ავი მუსაიფზე“ წარწერას აკეთებდა და ვუთხარი, ეს სათაური ძალიან მომწონს-მეთქი, მიპასუხა: „სათაური დედაჩემმა ქეთომ მოიფიქრა“.

ესაუბრა თამარ ჟურული

საქანელა

სულზე დაფენილ წუხილებსაც არ უჩანთ ბოლო,
მარტოსული ვარ, ქარის ხახას გამოვეკერე
და მაქანავებს ისე, როგორც საქანელაზე!..

ყვითელ ყვავილებს?
წყალს არ უსხამს ცოდვილი კაცი,
სარკეში ისევ ირეკლება სასოწარკვეთა...

თუ გეტყვი შიშით, რომ გავიყიდე,
რომ სული ხორცზე უფრო მძიმეა,
დამემალები ისევ და ისევ, როგორც
აქამდე, ხეთა ჩრდილებში...

სამყარომ კვლავაც დამაყარა ლეშთა ნარჩენი,
ისევე ისე ახარხარდა გაშმაგებაზე!
მე უწინდურად ამოვივსე კაცთა ფერებით
და... გამიმძაფრდა ჩემი დარდი მივიწყებული...

დაძინებამდე ისევ ვამბობ ხატებთან ლოცვას,
ცოდვილი ხელით
ისევ ვიწერ პირჯვარს განცხრომით!
და...
ველოდები სიზმარს მუდამ ბავშვური ტრფობით!

ზღაპრები ახლა აღარ მართობს,
მე გავიზარდე, მაგრამ კვლავ მინდა მერქვას
ისევ პატარა, სათნო...

მე რომ ვიზრდები, იზრდებიან ჩემი ცოდვებიც
და მემატება კაცთა შიში, ამქვეყნიური!
მეხევა სახე ყოველ დილით დაჭმული სიტყვით,
მებუტბუტება ის აჩრდილი, საშიში ტანის!

გაქცევა მინდა, ვერ გავრბივარ!
ღაწვზე ციმციმით ჩამომდიან ცხელი ცრემლები,
სარკეში ისევ ირეკლება სასოწარკვეთა
და... ქარი ისევ მაქანავებს „საქანელაზე“.

* * *

მზის სხივები კანს რომ მწვავდნენ, სადღაც გაქრნენ,
თვალებშიაც აღარ არის ნაპერწკლები,
გაქრნენ, გაქრნენ!..
ნაცრისფერი კედლების ქვეშ ქალი რომ დგას,
ეშინია გაზაფხულის...
სისხლიან ხელს ნაზად იდებს თვალებზე და
ცდილობს ისე დაიძინოს,
რომ აღარსად აღარ ჩანდეს მისი ლანდი!..

ემსგავსება გარდაცვლილ ქალს,
ქარი ისევ ისე წივის, ბობოქრობს და ფოთლებს აყრის,
გადატეხილს აღარ ესმის ღმერთის სიტყვა,
სცოდავს,
სცოდავს,
ტაძრის კარსაც ვეღარ აღებს!..
დაიკარგა, დაემსგავსა მილეულ მზეს,
მის სულშიაც აღმოცენდა ეკლიანი დიდი ვარდი,
ზედ ერჭობა წყეულ გულზე, სისხლებს ადენს,
ახევებს და აკარგვინებს საკუთარ მეს...

ქალი ქრება, სისხლში წვება, იკუნტება, იწმაწნება!
ვაი... ახლა დემონებმა გადმოსძახეს —
„აღარ ხარ აქ?
გავიმარჯვეთ? გავიმარჯვეთ?!“ —
ხარხარებენ, ხორცს უჭამენ, თმას უშლიან, აწამებენ.
ანგელოზებს აღარ ესმით ქალის კვნესა,
მიატოვეს, მიატოვეს!..
სანთელიც კი ისე ქრება, თითქოს ქარმა დაუბერა,
ბუნებაც კი აფუსფუსდა, ახარხარდა...
ზეცა ტირის, თანაუგრძნობს,
ქალი წელში მოხრილია, სარკესთან დგას,
მახინჯია, აღარ შერჩა სილამაზე!
დამსხვრეულ გულს დასევიან მატლები და...
მადიანად უწყეს ძიძგნა,
ვეღარ სუნთქავს, ვეღარ სუნთქავს!
თვალებს ხუჭავს, ნებდება და თვალებს ხუჭავს!..
ნაზი ხელი ულურჯდება, უშავდება,
ტუჩებიდან სისხლები სდის, უწითლდება,
ნაცრისფერ ცას შეუკრია ხარბად წარბი,
აწვიმს, აწვიმს,
დაიკარგა სადღაც მზე და
მთვარეც აღარ დარჩა ქვეყნად.

ზღვისფერი წვეთნი

ზღვისფერი ტალღა აბობოქრებს ჩემ სულს ცოდვიანს
მტრედისფერ ნისლში გახვეულან სახლის ბოძები,
მე მკარნახობენ მზისფერ რითმებს
ართქმულს, ახლანდელს!
შიშველ ტანზევე ჩამომდიან ზღვისფერი წყალნი,
თითქოს მაწერენ ნაწილ-ნაწილ დამალულ გრძნობებს...

წარსულისფერი ადევს თითოს და...
მოგონება ეთანხმება ზღვის ნამს ჩემ ტანზე,
სული თრთის თეთრად, ტალღები მღერის,
მე მაწრთობს ახლა შენი სახე უწინდებური!
მტრედისფერ ნისლში ეხვევიან სახლის ბოძები
და თითო წვეთი წყლისფერ დარდებს მიახლებს სულში!

ნიღბები ტალღებს სწრაფად მიაქვს დასალიერში,
ახლა წბილდები და მიყვირი ისევ გიჟივით:
„არ მაქვს ნიღბები, არ მაქვს არა!..“ და... იქვიშები!

ჩემი სული კი, შენი სულის დანახვით მკვდარი,
შიშნარევ ფიცებს დებს დაჩოქვით გახელებული!
ზღვისფერი წვეთი ჩემს სხეულზე იქცევა სარკედ
და... ირეკლება შენი სახე ამ სარკის ჩრდილში!

მხეცი და კაცი ებრძვიან ერთურთს,
შმაგი და წყნარი ჩხუბობენ შენთვის
და... ჩემს სხეულზე დადიან წვეთნი!
სარკის ჩრდილები და შენი ფერნი!

ნუშის კვირტი

მზის სხივები მიიმალნენ,
ენძელები ინამება,
ნუშის კვირტებს გამოსჭვივით ღვთიურობა...

დედამიწას ეფინება ზეცის ცრემლი
გაზაფხულდა,
კაცის სულშიც აყვავილდა ნუშის კვირტი,
გამოსჭვივის ღვთიურობა...

ეკლიან ვარდს სისხლები სდის,
ღვთისმშობელი ისევ ტირის...
ქრისტე ზეცის თვალს განაგებს,
მკვდრეთით აღსდგა,
ჩვენს სულშიაც ჩამოსახლდა!

ცოდვილ კაცსაც უხარია მისი სუნის შეთავსება,
ცოდვილ კაცსაც ისე სტკივა,
როგორც უწინ სტკიოდა ღმერთს,
დემონებიც დაიშალნენ,
იუდაც კი დაიმალა!

ზეცის თვალი გამობრწყინდა,
აყვავილდა ნუშის კვირტი,
ქრისტეს სუნი ჩვენ სულშია,
ცოდვილ კაცის ცოდვილ სულში.

ისე დიდი ხარ

ისე დიდი ხარ, რომ შენს გვერდით სულ ვიკარგები,
შენს სიახლოვეს სევდა მიპყრობს მარადიული,
ისე ბნელი ხარ — ჩემი სულის მცირე ნათება
ძალას კარგავს, რომ შენს ნაპირზე იყოს მზიური,
შენი სურვილი ტალღასავით იბადება და
მასში დღეები იხრჩობიან ყოველდღიურად.

მხოლოდ ჩემს სევდას შესწევს ძალა —
შენს ნიკაპს მისწვდეს,
ანგელოზივით იდგეს შენს წინ, ჩუმად იწვოდეს,
ასეთმა უცხომ, შეპყრობილმა და უფერულმა,
მაინც შეძლოს და თავის ფრთები გამოგიწოდოს.
მას აღარ უნდა უნაპირო, უსაზღვრო ფრენა,
არც ის,
ამ ფერმკრთალ მთვარეებს რომ თვალი ადევნოს,
დიდი ხანია, იცის უკვე სამყაროს ენა.

მას უნდა მხოლოდ ფრთებით,
როგორც ცეცხლის ალებით,
იდგეს შენს თვალწინ, შენს ჩრდილებთან ყოფნა ინებოს,
და ფრთების შუქზე დაინახოს, მის ბრწყინვალებას
შენი ჭაღარა წარბები თუ შეაჩვენებენ.

ღმერთო, არ უნდა გეშინოდეს

ღმერთო, არ უნდა გეშინოდეს, როცა ისინი
ყველაფერს თვლიან საკუთრებად, რაც მომთმენია,
ისინი ჰგვანან ქარს, რომელიც დახეტიალობს
ხის ტოტებში და თანაც ამბობს: ეს ხე ჩემია.

ნახე, ისინი ძლივს ამჩნევენ, როგორ ვარვარებს
ყველა ნივთი და გრძნობა მათი ხელის ხლებისას,
თუმცა, უფალო, იმასაც კი ვერ ახერხებენ,
არშიები რომ არ დაეწვათ ამ შეხებისას.

ჩემია —ისე აცხადებენ, როგორც მეგობარს
უწოდებს ხოლმე თავადს გლეხი ნაცნობ გლეხებთან,
თუმცა თავადი დიდია და სანატრელია,
თავისად თვლიან უცხო კედლებს და არ იცნობენ
ამ სახლის ნამდვილ მესაკუთრეს და არც ელიან.

თავის საკუთარს უწოდებენ ყველაფერს, რაც კი
გულის კარს ხურავს, როცა მასთან ახლოს მიდიან,
ისინი ჰგვანან თაღლითს, მზეს და ელვასაც თავის
საკუთრებად რომ მიიჩნევს და უშნოდ ფლიდია.

ამბობენ: აი, ჩემი ცოლი, ჩემი ცხოვრება,
ჩემი ძაღლი და ჩემი შვილი, თუმცა კი ზუსტად
იციან, რომ ეს ყველაფერი: ცოლიც, ცხოვრებაც,
ბავშვიც და ძაღლიც ქმნილებანი არიან უცხო,
ხელებს იწვდიან ბრმად იმათი მიმართულებით,
ეხლებიან და აგრძელებენ ლაპარაკს ურცხვად.

მხოლოდ დიდები უსწორებენ თვალს სინამდვილეს —
ცხოვრების ხელით დაპურებას და სილის გაწნას,
დანარჩენებს კი არც კი ესმით, რა კავშირი აქვს
ამ ყველაფერთან მათ საწყალ და უაზრო წანწალს.

დახარბებულებს ქონებაზე არ აღიარებს
თითქმის არავინ, გარიყულნი რჩებიან ბოლოს,
ცოლიც თანდათან ეკარგებათ, როგორც ყვავილი,
რომელიც ისეც მეტად უცხო ცხოვრებით ცხოვრობს.

ღმერთო, ოღონდაც არ დაკარგო წონასწორობა,
არც ის დაკარგო, ვისაც მართლა უყვარხარ, ვინაც
შენს სახეს იცნობს სიბნელეში და შეირხევა
სინათლის მსგავსად შენს სუნთქვაში ძალიან ხშირად,

არ გისაკუთრებს ის, ვისაც შენ უყვარხარ, ღმერთო,
და თუკი ღამით გეჭიდება, თავისთან გიხმობს,
უნდა შეხვიდე მის ლოცვაში და თან გახსოვდეს,
რომ სტუმარი ხარ და რომ მასთან დროებით მიხვალ.

ვის შეუძლია, დაგაბრკოლოს, შენ თავთან ხარ და,
უფალო, ქვეყნად ვერვინ დაგშლის, იცოდე უნდა,
შენ ჰგავხარ მაჭარს —
ახალს და ტკბილს, რომელიც უფრო
ტკბილდება, რადგან საკუთარ თავს ეკუთვნის მუდამ.

* * *

ყველა საგნიდან ხელს გვიქნევს,
რომ ვიგრძნოთ და ტანის
მოძრაობებით გვანიშნებს, რომ გვახსოვდეს უნდა,
რომ დღემ,
რომელსაც უცხოდ ვუვლით გვერდს, შეიძლება
ხვალ გადაწყვიტოს,
დიდ საჩუქრად რომ დაგვიბრუნდეს,
ჩვენს მონაპოვარს ვინ დაითვლის, ვიცოდეთ ნეტავ,
ვინ დაგვაშორებს ჩავლილ წლებთან,
ანდა ვინ გვიცნობს,
დასაბამიდან რა გვცოდნია ჩვენ ამის მეტი —
ერთი არსება მეორეში თავს რომ შეიცნობს.

ო, სახლო, მინდვრის ფერდობო და საღამოს სხივო,
ხომ გახსოვთ, ბევრი გულგრილი და ცივი სხეული
რომ გავათბეთ და ამიტომაც თითქმის ყველაფერს
ცხვირწინ გვიშლით და
დგახართ ჩვენთან გადახვეულნი.

ყველა არსების გავლით ერთი სივრცე იშლება:
სამყაროს შიდა სივრცე, სადაც ფრენენ ჩიტები
უხმოდ და ჩვენში მიმოდიან. მე კი გაზრდა მსურს,
ჩემი თავიდან გავდივარ და შორს ვიხედები.

ჩემში იზრდება ხე. ვზრუნავ და ჩემში დგას სახლი.
მე ვუფრთხილდები თავს და ჩემში არის სიფრთხილის
სახეც. და ვიცი, ბევრს ვუყვარვარ: უფლის ქმნილება
ჩემთან ისვენებს, ჩემთან ტირის გულამოსკვნილი.

ბნელ წუთებს ჩემი არსებისას

ბნელ წუთებს ჩემი არსებისას ვეტრფი და მათში
ჩაძირვას ჩემი ყველა გრძნობა ხშირად თხოულობს,
და, როგორც ჩემს ძველ წერილებში, — იქაც ვპოულობ
უკვე ნაცხოვრებ დღეებს ჩემსას —
დაღლილებს ყოფით —
ლეგენდასავით ჩავლილებს და ასე შორს მყოფებს.

მე მათგან ვსწავლობ, რომ მაქვს სივრცე —
მეორე, სრული
ცხოვრებისათვის —
რომ მთავაზობს სიცოცხლეს მარადს,
და რომ ხანდახან მოშრიალე, მწიფე ხეს ვგავარ,
საფლავზე რომ დგას და იმ ბიჭის ოცნებებს უვლის,
რომლის სხეულსაც თბილ ფესვებით გარშემორტყმია,
და ახსოვს, რომ ბიჭს —
წარსულის მკვიდრს — ეს ოცნებები
სიმღერებში და კაეშანში შემოჰფანტვია.

რამეთუ ჩვენ ვართ ნაჭუჭი და ფოთოლი მხოლოდ

რამეთუ ჩვენ ვართ ნაჭუჭი და ფოთოლი მხოლოდ,
დიდი სიკვდილი, — არსებაში რომ გვიზის ყველას,
არის ნაყოფი — ამ სამყაროს თავი და ბოლო.

ყველა სიახლეს გოგოები მისთვის იწყებენ
და ბარბითიდან* ხელახლა ხედ იბადებიან,
ბიჭებს ისინი სურთ კაცური თავდავიწყებით,
ხოლო უფროსი ქალები კი ხშირად ხდებიან
ახალგაზრდების მეგობრები და ერთგულებით
თვალს ადევნებენ მათ შიშებს და უფრთხილდებიან.

მისი გულისთვის ყოველგვარი შეხედულება
ხდება მარადი, — რაც არ უნდა ჩავლილი იყოს,
და ყველა, ვინც კი აშენებს და სწავლობს სამყაროს,
თავს გზების გავლით ამ ნაყოფის გარშემო იყრის.
და იყინება ყველაფერი და ისევ ლღვება
და მთელი ქვეყნის სინათლე და გულების ცეცხლი,
და ტვინის ცხელი ნაკვერჩხალი მასში გროვდება.
მიუხედავად ყველაფრისა, რაღაცის შეცვლა
სურთ ანგელოზებს და ფრინველთა გუნდის მაგვარად
მიფრინავენ და აწყდებიან დრო-ჟამის გამყოფს
და მწვანე ფერით იგონებენ ახლიდან ნაყოფს.

* ბარბითი — სიმებიანი საკრავი. აქვს ყელი და ფართო მუცელი, გამოსცემს დაბალ ხმას. სავარაუდოდ, უნდა მომდინარეობდეს ამავე ტიპის ბერძნული საკრავ — „ბარბიტონ“-იდან.

* * *

სულაც არ არის საჭირო, რომ ცხოვრებას ჩაწვდე —
მაშინ იქცევა ეს ცხოვრება დღესასწაულად,
ისე იცხოვრე ყოველდღე, რომ იმ ბავშვსა ჰგავდე,
ქარის ქროლვას რომ ეგებება და ქარის მოძღვნილ
ყვავილის ფურცლებს თავის თითებს სათუთად ადებს.

ხოლო აზრადაც კი არ მოსდის, რომ შეაგროვოს,
რომ შეინახოს ეს ყვავილის ფურცლები ბავშვმა,
მშვიდად ეხება თმებში ნაზად ჩახლართულ გროვას
ამ ფურცლებისას, იცლის ფრთხილად და მერე უცებ
ხელებს შლის, ღიად ეგებება მომავალ წლებს და
ასე ალალად სთხოვს მათ ახალ ყვავილის ფურცლებს.

წამები და მომენტები

მიყვარს ეს ჟამი — სხვანაირი, გამორჩეული,
ჩვენთან რომ მოდის და მერე გვტოვებს,
ჟამი კი არა, უფრო სწორედ, ის წამი მიყვარს —
სიჩუმეში რომ ჩაძირულა.

ის საწყისი პირველი წამი,
ეს პირველი ასო-ბგერა სიჩუმისა,
ეს პირველი ვარსკვლავი მიყვარს.
ფეხზე პირველად წარმოდგომა მიყვარს მე ჩემში,
ისე, როგორც ახალგაზრდა გოგოები დგებიან დილით
თეთრ მანსარდაში — სადაც ცხოვრობენ მას მერე,
რაც დაქალიშვილდნენ.
(და ამ დღიდან მთელმა სახლმა იცვალა სახე).
ახლა კი, თეთრი მანსარდია მათი ცხოვრება
და როცა ღია ფანჯარასთან მიდიან დილით,
მთელი სამყარო ერთიანად ეშლებათ თვალწინ.

ხედავენ ხეებს — დიდებს,
ზრდას რომ არ წყვეტენ ახლაც,
ხედავენ ჩიტებს და ხედავენ, ტოტები როგორ
იხრებიან, ფრინველები აფრენას რომ დააპირებენ.
და ყველაფერი ისე მოჩანს, თითქოს ქარი
ცხოველებში ცხოვრობდეს და სიჩუმე კი ხის ღეროებში.
მიყვარს ეს ქარი, ეს შორს მყოფი, სახეშეცვლილი,
გაზაფხულს რომ ასწრებს ხოლმე მოსვლას ჩვენამდე.
ხმაური მიყვარს ამ ქარისა, მისი ჟესტებით მოძრაობა,
რომელიც ყველა ნივთს და გრძნობას ისე კვეთავს,
თითქოს ისინი არც არსებულან!

ეს ღამე მიყვარს. თუმცა არა, ღამე კი არა,
ღამის საწყისი წამი მიყვარს,
ღამის პირველი გრძელი სტრიქონი,
რომელსაც მე არ წავიკითხავ,
რადგან იგი დამწყებთათვის არ შეუქმნიათ.
ეს წამი მიყვარს, რომელმაც უკვე ჩაიარა,
და ჩავლის მერე ვიგრძენი, რომ
მისი სიცოცხლე ახლა იწყება.

მაგია

აუღწერელი გარდასახვიდან
იღებს სათავეს შემოქმედება,
დაიჯერე და იგრძენ მისი ძალა და ფერი!
ჩვენ ხშირად გვტკივა,
რომ ცეცხლიდან ნაცარი გვრჩება,
ხელოვნებაში თუმცა ცეცხლად იქცევა მტვერიც.

აქ მაგიაა. ჯადოქრობის სამფლობელოში
ჩვეულებრივი სიტყვა აჰყავთ მაღალ მწვერვალზე.
აქ ხელოვნება ემსგავსება იმ მტრედის ღუღუნს,
უხილავ სატრფოს რომ მოუხმობს თავის ენაზე.

რას იზამ ნეტავ, ღმერთო, როცა გარდავიცვლები

რას იზამ ნეტავ, ღმერთო, როცა გარდავიცვლები,
შენი ჭურჭელი ვარ და როცა მთლად დავიმსხვრევი,
შენი სასმელი ვარ და როცა ძმრად გადვიქცევი,
სამოსელი ვარ შენი, შენი მე ვარ ხელობა,
უჩემოდ გონსაც დაკარგავ და ყველა წყალობას.

ღმერთო, ხომ იცი, შენ უჩემოდ დაკარგავ სახლსაც,
სადაც სიტყვები მუდამ თბილად გესალმებიან,
შენს დაღლილ ფეხებს ეს ხავერდის რბილი სანდლები
გასძვრება, რადგან სანდლები ხომ მე ვარ, წლებია!
შენს დიდ ქურთუკსაც მოსწყინდები, გაგიშვებს შიშველს
და შენი მზერა — მე რომ თბილად მწვდება ღაწვებზე —
დიდხანს მომძებნის, მერე მოვა და მზის ჩასვლისას
უცნობი ქვების ცივ კალთაში უცხოდ ჩაწვება.

რას იზამ ნეტავ, ღმერთო? ვშიშობ.

თარგმნა ირმა შიოლაშვილმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004